სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 10 ნოემბერი 1999 №216 (989) | ფასი 50 თეთრი

შოთა არველაძე მაგიდაზე

მომავალ კვირაში ამსტერდამის „აიაქსის“ ქართველი თავდამსხმელი შოთა არველაძე მუხლის ოპერაციას გაიკეთებს.

გუშინ ჩვენებური კიდევ ერთმა ექიმმა გასინჯა და უთხრა — შენი გადასაწყვეტია, როგორც იტყვი, ისე იყოსო. შოთას აღარ გადაუდია, ოპერაციას დათანხმდა. „აიაქსის“ მწვრთნელები კი ეუბნებოდნენ, ახალი წლის დამდეგს იმკურნალეო, მაგრამ ფეხბურთელმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო — იანვარში თითქმის ყველა შეებულებაში იქნება და უყურადღებოდ დავრჩები, აღდგენით პროცესს ხომ მწვრთნელების მეთვალყურეობაც სჭირდება — გვითხრა შოთამ და ისიც დაამატა, რომ „აიაქსის“ მაისურას ჰოლანდიის ჩემპიონატის მეორე წრის დაწყებამდე ველარ მოირგებს.

„ვალენსიადან“ კი ახალი არაფერია.

კოგა ინასარიძე

ლიდსი გროზნოსთან ახლოს?

UEFA CUP

მოსკოვის „სპარტაკმა“ ინგლისურ „ლიდსს“, შესაძლოა, ფრონტის ხაზთან ახლოს, ვლადიკავკაზში უმასპინძლოს

სასამართლო — დღე უკანასკნელი

ხულიგნებმა ჟანდარმი არ დაინდეს, მართლმსაჯულებამ — ხულიგნები

რეფერენდუმი საქართველოს საუკუნის სპორტსმენები

წარმოგიდგენთ ლაურეატებს

გალინა შარაბიძე

გიორგი დემეტრაძე: მისარია, ბომბარდირი ვარ!



ნუგზარ ბეთიღლაძის ფოტო

ყოველი მატჩის მერე გიორგი დემეტრაძე თბილისისკენ მოიჩქარის

EXCLUSIVE

რუსთა პირველი ქართველი ბომბარდირი მოსკოვშია და სანამ წუთი-წუთზე გაარკვევდეს იმას, სად განაგრძობს კარიერას, „სარბიელს“ ჩამთავრებულ სეზონზე ესაუბრა

იხილეთ მეორე გვერდი

ძოძუაშვილი მოდის და ფიქრობს: ლოკომოტივი თუ რიგა?

საუდის არაბეთში მომუშავე ქართველმა მწვრთნელმა რევაზ ძოძუაშვილმა წუხელ გადაჭრით გვითხრა, რომ დეკემბრის დამდეგს საქართველოში დაბრუნდება — „ალ იტიჰადთან“ ხელმოწერილი კონტრაქტის თანახმად 30 ნოემბრამდე აქაურობას ვერაფრით დავტოვებ. 30-ის მერე შეგიძლიათ პირდაპირ დაწეროთ, საქართველოში მოვდივარ, საუდეთში გამჩერებელი აღარ ვარ — ძოძუაშვილის სიტყვებია.

სამშობლოში დაბრუნებული მწვრთნელი კარიერას სავარაუდოდ თბილისში, „ლოკომოტივში“ გააგრძელებს.

როგორც თავად განგვიცხადა, იცის, რომ რკინიგზის დეპარტამენტის ხელმძღვანელობას მისი მწვრთნელად მიწვევა სურს, თუმცა, „ლოკომოტივიდან“ პირადად არავინ დალაპარაკებია — თუ შემომთავაზებენ, დავფიქრდები, ყველაფერს ავწონ-დავწონი და საბოლოო გადაწყვეტილებასაც ამის შემდეგ მივიღებ. ისე კი, დღესდღეობით საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, რატომაც არა, ჩავიბარებ „ლოკომოტივს“ — ამბობს ძოძუაშვილი.

ჩვენც ამ ამბის გაგებისთანავე რკინიგზის დეპარტამენტის თავმჯდომარეს, ბატონ აკაკი ჩხაიძეს შევეხმიანეთ — დიახ, ჩაფიქრებული გვაქვს და რევაზ ძოძუაშვილს უახლოეს დღეებში შევთავაზებთ ჩვენი გუნდის მწვრთნელობას. თუ დაგვთანხმდა, მაშინ, თავკაცად დავნიშნავთ — გვითხრა დეპარტამენტის შეფმა. „ლოკომოტივის“ ამჟამინდელი მწვრთნელი თეიურ მახარაძე კი ისევ ბავშვთა გუნდში იმუშავებსო, დააყოლა ჩხაიძემ.

რაკი „ლოკომოტივზე“ ვამბობთ, ბარემ ერთ სიახლესაც გაცნობებთ: ჩემპიონატის უახლოეს მატჩში რკინიგზელთა შემადგენლობაში საქართველოს ნაკრების კაპიტანი გიორგი ნემსაძეც ითამაშებს. აკაკი ჩხაიძემ ესეც გვითხრა — ნემსაძე უკვე „ლოკომოტივის“ წევრია და პირველი ეტაპის გასრულებამდე ჩვენთან ითამაშებს. მერე კი, თუ უცხოურ კლუბში გადასვლის შანსი მიეცა, ჩვენგან განთავისუფლდება.

ერთიც, ისევ რევაზ ძოძუაშვილზე. გამორიცხული არც ისაა, საუდეთიდან წამოსული კვლავაც ლატვიაში დაბრუნდეს, მასთან უკვე ულაპარაკიათ და რიგის „რიგის“ გაწვრთნა შეუთავაზებიათ. „რიგა“ ყოფილი „დაუგავაა“, რომლის მოღონიერებაც გადაუწყვეტიათ ლატვიელებს. რომელ ვარიანტს აირჩევს ძოძუაშვილი, ამას მალე შევიტყობთ.

კოგა ინასარიძე

ბორის დოლოვაშვილის ფოტო

ეს ალბომი ...

ეს ალბომი ...

ეს ალბომი ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონის მონაგარი: შვიდი ოქრო, ორი ვერცხლი

გასულ კვირაში რამდენიმე ქართველმა მოიპოვა უცხოური ჯილდო. რიგის „სკონტო“ ზედიზედ მერვედ გახდა ლატვიის ჩემპიონი და ერთბაშად 7-მა ქართველმა დაიმშვენა მკერდი ბალტიისპირული ოქროთი. ესენი არიან: დათო ჩალაძე, ლევან სილაგაძე, ალექსანდრე რეხვიაშვილი, ლევან კორღალიძე, ზურაბ მენთეშაშვილი, ცეზარ ხუროძე და დღეისთვის საუდის არაბეთის „ალ იტაჰიდში“ განათხოვრებული არმაზ ჯელაძე. დავით ჩალაძე კი ბომბარდირთა დავაში მესამე ადგილზე გავიდა — 16 გოლით.

რუსეთის ჩემპიონატის ვერცხლი მოიპოვა ზაზა ჯანაშიამ, თუმცა მოსკოვის „ლოკომოტივს“ ბოლო ტურებში იგი არ დახმარებია. გიორგი დემეტრაძე კი 21 გოლით რუსეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

ვერცხლის მედალი მოიგო ირაკლი ზოიძემაც, რომელიც ვილნიუსის „ჟალგირისის“ ღირსებას იცავს. ჩვენებურ გოლკიპერს ბოლო ორ ტურში ანდეს კარი. საბოლოოდ ვილნიუსელები ჩამორჩნენ კაუნასის „ჟალგირისს“, რომელიც პირველად გახდა ლიტვის ჩემპიონი.

ქუთაისელმა მამუკა ხუნდაძემ რუსეთის პირველი დივიზიონის კლუბი, გივი ნოდიას პეტერბურგული „ლოკომოტივი“ ბოლო ტურში გავარდნისგან იხსნა. სამი ქართველის „სოკოლი“ კი უმაღლესი დივიზიონის მიღმა დარჩა. საბოლოოდ მიხეილ ჯიშკარიანმა 20 გოლით ბომბარდირთა დავაში მეორე ადგილი დაიკავა, „სპორტ ექსპრესმა“ ექსცხუმელი პირველი დივიზიონის სიმბოლურ ნაკრებშიც შეიყვანა.

ტერნოპოლის „ნივაში“ ქართველმა კვლავ დუბლი შეასრულა, ოღონდ ამჯერად არა კაიდარაშვილმა, რომელიც რატომღაც საერთოდ არ ათამაშეს, არამედ მეორე ტაიმში მინდორზე გასულმა ავთანდილ კაპანაძემ. ამ 2 გოლით ავთანდილი „ნივას“ საუკეთესო ბომბარდირი გახდა. ახლა მას 5 ბურთი აქვს გატანილი. აქამდე 3-3 გოლს ითვლიდა, კიდევ ორი ქართველი — კაიდარაშვილი და სიხარულიძე.

კიდევ ერთი ქართული გოლი გავიდა ბუნდესლიგაში. ლევან კობიაშვილმა ლიტველ გინტარას სტაუჩეს გაუტანა. პოლონეთში კი ხანგრძლივი შესვენების შემდეგ ჩემპიონატის ლიდერის — ხოჟუვის „რუხის“ რიგებს დაუბრუნდა ზუგდიდელი მამია ჯიქია, თუმცა მხოლოდ რამდენიმე ათეული წუთით. ჯიქია 39-ე წუთზე შევიდა მინდორზე და 72-ე წუთზე ისევ სათადარიგოთა სკამს დაუბრუნდა.

თავისი მეოთხე გოლი გაიტანა ციურიხელმა გოჩა ჯამარაულმა, თუმცა ჩემპიონატის ფავორიტ „ლოზანასთან“ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. „ციურიხი“ შეიძლება ფინალური ტურნირის მიღმა დარჩეს.

მერვე გოლი შეაგდო „ბრედას“ რიგებში არჩილ არველაძემ, თუმცა მის გუნდს ჰოლანდიის უმაღლეს დივიზიონში დასაბრუნებლად ძალიან დიდი ბრძოლა მოუწევს. იან ვოუტერსი კი უკვე საერთოდ აღარ ათამაშებს შოთა არველაძეს, რომელიც კლუბის დატოვებას აპირებს.

სიმონ მენაბდე

რუსებმა ქართველები დააფასეს და... არც დააფასეს

რუსული „სპორტ ეკსპრესის“ ნომინაციებში, რომელიც გაზეთმა რუსეთის ჩემპიონატის დასრულებისთანავე გამოაქვეყნა, 5 ქართველი და 2 აფხაზი მოხვდა.

მათგან საუკეთესო, გაზეთის აზრით, გიორგი დემეტრაძეა. ვლადიკავკაზის „ალანიას“ ფორვარდმა 21 გატანილი ბურთით რუსეთის საუკეთესო ბომბარდირის ტიტული მოიპოვა, მოხვდა რუსეთის ჩემპიონატის სიმბოლურ ნაკრებში, მოიგო საუკეთესო მეორე თავდამსხმელის კონკურსი, ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელის ნომინაციაში კი მეექვსე ადგილი დაიკავა. აქ დემეტრ 6,43 ქულა დააგროვა და 0,41 ქულით ჩამორჩა რუსეთის საუკეთესო ფეხბურთელს, სპარტაკელ ანდრეი ტიხონოვს. დემეტრაძე მეორე ადგილზე გავიდა საუკეთესო უცხოელი ფეხბურთელის კონკურსში. იგი 0,10 ქულით ჩამორჩა მოსკოვის „სპარტაკის“ უკრაინელ ლეგიონერ დიმიტრი ბარფიონოვს.

დემეტრაძის შემდეგ ყველაზე დიდი აღიარება მოსკოვის „ლოკომოტივის“ ფორვარდს, ზაზა ჯანაშიას ერგო. მან რუსეთის ჩემპიონატის ვერცხლი მოიგო, გაიმარჯვა საუკეთესო პირველი თავდამსხმელის კონკურსშიც. აქ ჯანაშია შარშანაც პირველ ნომრად დაასახელეს. საუკეთესო უცხოელი ფეხბურთელის ნომინაციაში ჯანაშია მე-4 ადგილზე გავიდა. ზაზა შარშანაც პირველობდა ამ კონკურსში, სადაც 1997 წელს ლევან კობიაშვილმა გაიმარჯვა. საუკეთესო ფეხბურთელთა შეჯიბრში კი ჯანაიამ მე-10 ადგილი დაიკავა. ჟურნალისტებმა ჩემპიონატის სიმბოლურ ნაკრებში დემეტრაძესთან ერთად ჯანაშიაც შეიყვანეს.

საუკეთესო ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელთაგან მე-4 იყო ვლადიკავკაზის „ალანიას“ მცველი მამუკა წერეთელი. ეს კონკურსი რამენსკოეს „სატურნის“ ფეხბურთელმა მაქსიმ ბუზნიკინმა მოიგო, 1997 წლის ლაურეატი კი ლევან კობიაშვილია. წერეთელი მე-5 იყო საუკეთესო ლიბეროს კონკურსში. აქ ჟემჩუჟინელმა მაქსიმ დემენკომ გაიმარჯვა. საუკეთესო ახალბედის ნომინაციაში მე-3 ადგილზე დაასახელეს სამარის „კრილია სოვეტოვის“ მეკარე დავით გვარამაძე, გამარჯვებული კი მოსკოვის ცსკა-ს ფეხბურთელი ოლეგ შიშკინია. 1997-98 წლებში ამ ნომინაციაშიც გაუმარჯვიათ ქართველებს — კობიაშვილსა და დემეტრაძეს.

საუკეთესო ვეტერანებში კი მე-10 ადგილზე გავიდა 35 წლის გოჩა გოგრიჭიანი, რომელიც „ნიჟნი ნოვგოროდის“ ღირსებას იცავს.

„სპორტ ექსპრესის“ კონკურსში ორი აფხაზიც მოხვდა: ალანიელი გერმან კუტარბა საუკეთესო მარცხენა მცველად დასახელდა. აქ 1995-96 წლებში მურთაზ შელია პირველობდა, 1992 წელს კი კახი ცხადაძეს გაუმარჯვია. ელისტის „ურალანის“ ვეტერანი ახრიკ ცვეიბა საუკეთესო ლიბეროს ნომინაციაში მე-4 იყო, მისი ჩემპიონატში დაბრუნება კი ჟურნალისტებმა მე-3 ადგილად შეაფასეს.

სიმონ მენაბდე

სახელი გვარი	კლუბი	სად	მეტოქე	წთ	შენიშვნა
ინგლისი					
პრემიერლიგა					
თემურ ქეცბაია	ნიუკასლი	შ	ევერტონი 1:1	0	ტრავმა
გიორგი ქინქლაძე	დერბი	ს	ლივერპული 0:2	0	სამუშაო ვიზას ელოდება
პირველი დივიზიონი					
კახი ცხადაძე	მანჩესტერ სიტი	ს	ქუინზ პარკი 1:1	0	ტრავმა
გერმანია					
ბუნდესლიგა					
ალექსანდრე იაშვილი	ფრაიბურგი	შ	დუისბურგი 3:0	0	ტრავმა
ლევან კობიაშვილი	ფრაიბურგი	შ	დუისბურგი 3:0	90	1 გოლი
ლევან ცქიტიშვილი	ფრაიბურგი	შ	დუისბურგი 3:0	0	ტრავმა
მეორე ბუნდესლიგა					
რევაზ არველაძე	ობერჰაუზენი	შ	მაინცი 0:0	0	შემადგენლობაში ვერ ხვდება
ჰოლანდია					
უმაღლესი დივიზიონი					
შოთა არველაძე	აიაქსი	ს	სპარტა 2:1	0	შემადგენლობაში ვერ მოხვდა
პირველი დივიზიონი					
არჩილ არველაძე	ბრედა	ს	ვოლენდამი 3:1	90	1 გოლი
ბელგია					
უმაღლესი დივიზიონი					
გელა შეყილაძე	ლიერსი	ს	ბევერენი 1:1	0	ტრამვა
ლაშა ჯაკობია	სტანდარდი	შ	ს. ტრიუდენი 2:1	0	შემადგენლობაში ვერ ხვდება
შვეიცარია					
უმაღლესი დივიზიონი					
მიხეილ ყაველაშვილი	ციურიხი	შ	ლოზანა 2:2	0	შემადგენლობაში ვერ მოხვდა
გოჩა ჯამარაული	ციურიხი	შ	ლოზანა 2:2	90	1 გოლი
რუსეთი					
უმაღლესი დივიზიონი					
გიორგი დემეტრაძე	ალანია	ს	სპარტაკი 0:3	90	
გიორგი ჩხაიძე	ალანია	ს	სპარტაკი 0:3	57	შეცვალეს
მამუკა წერეთელი	ალანია	ს	სპარტაკი 0:3	0	ტრავმა
დავით ჭიჭვეიშვილი	ალანია	ს	სპარტაკი 0:3	90	
ზაზა ჯანაშია	ლოკომოტივი	შ	როსტელმაში 3:0	0	ტრავმა
გოჩა გოგრიჭიანი	ნ.ნოვგოროდი	ს	სატურნი 1:1	90	
დავით გვარამაძე	კრილია სოვეტოვი	შ	ცსკა 1:1	90	
ზურაბ ფოფხაძე	კრილია სოვეტოვი	შ	ცსკა 1:1	90	
ზურაბ წიკლაური	კრილია სოვეტოვი	შ	ცსკა 1:1	90	
ბადრი სპანდერაშვილი	ჩერნომორეცი	შ	შინიკი 1:1	90	1 გოლი
პირველი დივიზიონი					
მიხეილ ჯიშკარიანი	სოკოლი	შ	არსენალი 2:0	90	1 გოლი
ზვიად ჯელაძე	სოკოლი	შ	არსენალი 2:0	90	
გიზო ჯელაძე	სოკოლი	შ	არსენალი 2:0	45	შეცვლაზე ითამაშა
ალექსანდრე გოგობერიშვილი	ანჟი	ს	მეტალურგი 2:0	90	გაფრთხილება
ვასილ სეფაშვილი	ნალჩიკი	ს	კრისტალი 2:6	90	1 გოლი
გერონტი ფრუიძე	ვოლგარი	ს	ფაკელი 0:2	68	შეცვალეს
მამუკა ხუნდაძე	ლოკომოტივი (ს-პ)	შ	ტიუმენი 1:0	59	1 გოლი, შეცვალეს, გაფრთხილება
უკრაინა					
უმაღლესი დივიზიონი					
კახა კალაძე	დინამო	ს	ცსკა 3:0	90	
ტარიელ კაპანაძე	ნივა	ს	მეტალისტი 2:5	90	
ავთანდილ კაპანაძე	ნივა	ს	მეტალისტი 2:5	45	2 გოლი, შეცვლაზე ითამაშა
ავთანდილ სიხარულიძე	ნივა	ს	მეტალისტი 2:5	0	ტრავმა
ალექსანდრე კაიდარაშვილი	ნივა	ს	მეტალისტი 2:5	0	ძირითადში ვერ მოხვდა
კახა დგებუაძე	ნივა	ს	მეტალისტი 2:5	56	შეცვალეს
ალექსანდრე გვიანიძე	ნივა	ს	მეტალისტი 2:5	0	ტრამვა
ვიტალი დარასელია	ცსკა	შ	დინამო 0:3	0	ტრავმა
მიხეილ ფოცხვერია	შახტარი	ს	მეტალურგი 3:2	0	შემადგენლობაში ვერ ხვდება
თურქეთი					
უმაღლესი დივიზიონი					
გიორგი კიკნაძე	სამსუნსფორი	შ	ქოჯაელი 5:1	0	შემადგენლობაში ვერ მოხვდა
საბერძნეთი					
უმაღლესი დივიზიონი					
გოდერძი ნატროშვილი	პანაჰაიკი	ს	პანიონიოსი 1:2	90	გააფრთხილეს
ისრაელი					
უმაღლესი დივიზიონი					
გიორგი დარასელია	ჰაპოელი (ქვარ საგა)	შ	ირონი 2:0	90	2 საგოლე პასი
გიორგი გახოკიძე	მაკაბი (ჰაიფა)	შ	აშდოდი 0:0	90	
პოლონეთი					
უმაღლესი დივიზიონი					
მამია ჯიქია	რუხი	შ	ოდრა 3:1	31	შეცვლაზე ითამაშა, შეცვალეს
ლატვია					
უმაღლესი დივიზიონი					
დავით ჩალაძე	სკონტო	ს	რეზეკნე 5:0	90	1 გოლი
ლევან სილაგაძე	სკონტო	ს	რეზეკნე 5:0	90	
ალექსანდრე რეხვიაშვილი	სკონტო	ს	რეზეკნე 5:0	90	1 გოლი
ლევან კორღალიძე	სკონტო	ს	რეზეკნე 5:0	45	შეცვალეს
ზურაბ მენთეშაშვილი	სკონტო	ს	რეზეკნე 5:0	55	შეცვალეს
ლიტვა					
უმაღლესი დივიზიონი					
ირაკლი ზოიძე	ჟალგირისი	შ	დაინავა 4:0	37	შეცვალეს

ბადრი კეთილაძის ფოტო

დავით დათუაძე

ჩვენში მეტ-ნაკლებად ყველა გუნდს ჰყავს ერთი გამოკვეთილი ფეხბურთელი, რომელზეც აწყობილია თამაში. ფეხბურთელი, რომელიც გუნდის ლიდერია. მას კრიტიკულ სიტუაციაში სხვაზე მეტად ძალუძს მატჩის ბედის განსაზღვრა. თუმც ისიც სათქმელია, რომ ისინი ბევრ შემთხვევაში ვერ ახერხებენ ბოლომდე ლიდერობას და მატჩის ბედის შეტრიალ-შემოტრიალება ასეთ დროს მათ ჩაურევლადაც ხერხდება. მაგრამ, ჩვენს გასაცოდავებულ ჩემპიონატშიც არსებობს ამ მხრივ გამონაკლისი და თითო-ოროლა ლიდერი ბოლომდე ლიდერად რჩება. სწორედ ერთ-ერთი მათგანი მინდა გაგაცნოთ, დავით დათუაძე. თუმც, დარწმუნებული ვარ, ბევრმა ალბათ აქამდე, მოასწრო ბოლნისური „სიონის“ ტანმორჩილი გამთამაშებლის გაცნობა.

არა მგონია, ზემოთ ნათქვამი გადაჭარბებულად ჩამეთვალოს, რადგან ფაქტია, უდავოდ ძლიერ „ა“ ზონაში ხუთი თბილისური გუნდის გარემოცვაში მყოფი პროვინციული „სიონი“ მართლაც სასწაულებს სჩადის და დათუაძე ამის მთავარი სულისჩამდგმელია. ბოლნისური კლუბი მართლაც დროული გაჩერება აღმოჩნდა მისთვის. შეგნებულად გადავათვალიერე XI ეროვნულ ჩემპიონატში „სიონის“ ჩატარებული მატჩების ანგარიშები. „დათუაძე საუკეთესო იყო თანაგუნდელთა შორის“... „ტანმორჩილი ნახევარმცველის გამოზომილ პასს მეორე გოლი მოჰყვა მეტოქის კარში“... „დათუაძემ მორიგი რბევა მოუწყო მცველებს ფლანგზე და მოხდენილი პასით თავზე დასცა ბურთი პარტნიორს“... „მოედნის ცენტრალურ ხაზში სოლოლამვილი და დათუაძე ბატონობდნენ, განსაკუთრებით „სიონის“ ტანმორჩილი ნახევარმცველი გამოირჩეოდა“... „წყალტუბოელებმაც ჯეროვნად დააფასეს მეტოქის გარჯა და დათუაძის მისამართით ტაშიც არ დაინანეს“...

ჩვეულებრივი ბიჭია, მოკრძალებული, თავაზიანი, ეტყობა, ჟურნალისტებთან ურთიერთობას ნაჩვევი არ არის, თუმც მის პასუხებს ერთგვარი თავდაჯერება მაინც არ აკლია...

ბოლნისის სიონი — დროული გაჩერება

— 12-13 წლის ვიყავი, ფეხბურთის თამაში რომ დავიწყე. ახლა ვფიქრობ, რომ ცოტა დავაგვიანე კიდეც. 35-ე სკოლიდან კასპის „განთიადში“ მოვხვდი, შემდეგ აკობიას ხელმძღვანელობით „შეკარდენშიც“ ვითამაშე, „ლოკომოტივშიც“ ვიყავი, თუმცა დიდხანს ვერსად დავმკვიდრდი და მალე აშშიც წავედი სათამაშოდ.

— იმ პერიოდში ქართველები ძირითადად ყოფილი საბჭოეთის და ახლო ევროპული ქვეყნების საფეხბურთო ბაზრის ათვისებით იყვნენ დაინტერესებული და ამ ფონზე შენი „ამერიკული ნაბიჯი“ ერთობ ორიგინალურადაც ჩანს.

— შტატებში, ზონალურ პირველობაზე ვთამაშობდით მე და გიორგი ყოფიანი. არის ასეთი გუნდი— ლოს ანჯელესის „დინამო“. იქაური რუსების გუნდია და მშვენიერი პირობებიც გვქონდა. ლოს ანჯელესში ათი თვე ვიყავი და „დინამოს“ შემადგენლობაში ზონის ჩემპიონებიც გავხდით. ნახევარმცველად ვთამაშობდი, გოლებიც გამქონდა და ჩემპიონატის დასრულების შემდეგ საუკეთესო ფეხბურთელის წოდებაც მომცეს. მალე კალიფორნიის პირველობაზე უნდა გამოვსულიყავით, მაგრამ იმ პერიოდში მენეჯერმა ჰოლანდიური ვარიანტი შემომთავაზა და უყოყმანოდ დავთანხმდი. ასე აღმოვჩნდი ორი თვით სიტარდის „ფორტუნაში“.

— „ფორტუნაში“ დამკვიდრებაში ხელი რამ შეგიშალა?

— მიზეზი ბევრი იყო. მთავარი მაინც ის გახლდათ, რომ რაკი საქართველო ევროკავშირის წევრი არ არის, დამატებით 120 ათასი დოლარი იყო გადასახდელი, ამ თანხას კი ჰოლანდიური კლუბი რიგით, უცნობ ქართველ ფეხბურთელში არანაირად არ გადაიხდიდა და საქართველოში დავბრუნდი. ისევ „ლოკომოტივს“ მივაშურე...

— რა თქმა უნდა, დიდხანს არც იქ დარჩენილხარ...

— ექვსი თვე ვიყავი თემურ მახარაძის გუნდში და შემდეგ ერთწლიანი კონტრაქტი გავაფორმე ტულის „არსენალთან“, მაგრამ იქ მხოლოდ ნახევარი სეზონი ვითამაშე. უსიამოვნება შემემთხვა და ისევ თბილისში დავბრუნდი, კვლავ „ლოკომოტივში“, მაგრამ გუნდში თამაში ვერ შევძელი, ტულიდან ტრანსფერი აგვიანებდა, „არსენალიდან“ განთავისუფლების ფურცლის ლოდინში კი მეორე ჯგუფელ „ღარწყალს“ შევეურთდი, მაგრამ ამ გუნდის შემადგენლობაში ოფიციალური მატჩი არ მითამაშია...

— და კიდევ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები... მაშინ, უკრაინელებთან ამხანაგური შეხვედრისთვის, ცოტათი მოულოდნელიც იყო, რომ გიგლა იმნაძემ ბევრისთვის უცნობი და უთამაშოელი ფეხბურთელი ნაკრებში გამოგიძახა...

— ჩემთვისაც მოულოდნელი იყო, მაგრამ რა ვიცი, იმნაძემ ასე გადაწყვიტა. მას არაერთხელ ვყავდი საქმეში ნანახი... ისე, იმ თამაშში ბევრიც არაფერი გამიკეთებია...

— დავით, შენ მდგომარეობაში ბევრი ქართველი ფეხბურთელი ყოფილა, ადრეულ წლებში აომ-დაომა სიარულით ბევრმა კინაღამ დაოუბა თავისი კარიერა, ხომ არ ფიქრობ, რომ ამ უიღბლო „ადრეულ გასვლებს“, ჯერ ეროვნულ ჩემპიონატში დამკვიდრება სჯობდა?

— მართალია, ნაადრევი იყო ამდენი სიარული, ჩემი შესაძლებლობები ჯერ აქ საქართველოში უნდა დამემტკიცებინა, შემდეგ, ალბათ, დრო გამოაჩენდა ყველაფერს, მაგრამ მაშინ სხვაგვარად ეფიქრობდი.

— დღეს ბოლნისის „სიონის“ წარმატებას ბევრი არცთუ უსაფუძვლოდ დავით დათუაძეს უკავშირებს...

— მასაც არ არის საქმე. მშვენიერი პარტნიორები მყავს, მათ კარგად შევეწყვე და ჩვენ ერთად ვაკეთებთ საქმეს. „სიონის“ წარმატება სიონელების დამსახურებაა. გარდა ამისა, ჩვენ მთავარ მწვრთნელად გვყავს თავისი საქმის მცოდნე კაცი, გარკვეული წვლილი არც სპარტაკ არჩვაძეს დაეკარგება. დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ ბოლნისში ფეხბურთის განვითარებისთვის ისეთი ადამიანი ზრუნავს, როგორიც ზურაბ ჯაფარიძეა. ბოლნისის გამგებელი გადაყოლია გუნდზე და სწორედ მისი დამსახურებაა, რომ ხელფასპრემიებს სამყოფს ვილებთ და თანაც დაუგვიანებლად. ეს ფაქტორი საოცრად მოქმედებს გუნდის თითოეულ ფეხბურთელზე და აქედან გამომდინარე, უფლებაც არ გვაქვს, კარგი შედეგი არ გვაჩვენოთ.

— ცოტა ხნის წინ საუბარი იყო „სიონში“ თემურ ჭყონიას და „კოკა-კოლას“ მოსვლაზე...

— იქნებ სამომავლოდ ასეც მოხდეს, მაგრამ ჯერჯერობით ისევ ბოლნისის გამგებელი და ფირმა „კვარციტი“ გვპატრონობს, თუმცა ბატონი თემური „ლოკომოტივთან“ საშინაო მატჩის დროს გვესტუმრა, გასახდელშიც გაგვამხნევა და ნამატჩევს ფინანსურადაც შეგვეწია.

— ბევრს უთქვამს, დათუაძეს რომ კარგი ფიზიკური მონაცემები ჰქონდეს, გაცილებით უკეთ წარმოაჩენდა თავსო...

— რაც ღმერთმა მომანიჭა, იმით უნდა დავკმაყოფილდე, მეტი ვარჯიშით და საქმისადმი პროფესიული მიდგომით უნდა შევეცადო ხარვეზების გამოსწორებას, თუმცა, რა თქმა უნდა, ფიზიკურ მონაცემებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება, სწორედ ამის გამოა, რომ პერსონალური მეურვეობის დროს გარგვეულწილად შებოჭილიც ვარ.

— ბურთის ზედმეტად თრევა ქართველი ფეხბურთელის სენია. ცალკეულ ეპიზოდებში ამ მხრივ შენც არ ხარ გამონაკლისი.

— გეთანხმები, რომ ბურთის ზედმეტად ტარებას არ უნდა შეეჩვიოს ფეხბურთელი, დროულ და მოქნილ პასს ხშირ შემთხვევაში გაცილებით დიდი ეფექტი აქვს, მაგრამ გაჩნია, რა ხასიათის შეხვედრაში თამაშობ. ცუდად ნუ გამიგებ და „სიონში“ თამაშისას ცალკეულ ეპიზოდებში, ინდივიდუალურ მოქმედებას (ამას მარტო ჩემზე არ ვამბობ) უფრო მეტი სარგებელი მოაქვს გუნდისთვის. ერთი სიტყვით, თამაშის ხასიათი და ხარისხი მაინც ყველაფრის განმპირობებელია.

— ტრადიციულად ბოლნისში თამაში ნებისმიერ გუნდს უჭირს. შენი აზრით, რა არის ამის მიზეზი?

— ალბათ მაყურებლის ზეგავლენის ქვეშ არიან. ჩვენ ხომ მართლაც გამორჩეული გულშემატკივარი გვყავს, თავის მხრივ სათვალავშია ჩასაგდები ბოლნისის არასტანდარტული სარბიელიც, მაგრამ მთავარი მიზეზი მაინც გუნდის მონდომებულ თამაშშია საძიებელი.

— „თბილისის“ და „ლოკომოტივის“ სტუმრად დამარცხების შემდეგ „სიონს“ ოთხეულში მოხვედრის მშვენიერი პერსპექტივა გაუჩნდა...

— ამ მატჩებში გამარჯვებას მართლაც დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ და სტუმრად მოპოვებული 6 ქულა კარგი სტიმული გამოდგა ჩვენთვის, მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე „სამგურალთან“ გამარჯვებაც. ჯერ ერთი, ამ მოგებამ საბოლოოდ დაგვარწმუნა ჩვენ შესაძლებლობებში და მეორეც — ეს მატჩი პირადად არასდროს დამავიწყდება...

— ვიცი, რასაც გულისხმობ — წყალტუბოელების კარში გატანილ მეორე გოლს...

— როდესაც აუტიდან ბურთს ვიღებდი, გადაწყვეტილება უკვე მიღებული მქონდა, კარში უნდა დამერტყა, რადგან ზურგს უკან სამი მეურვე მდგარაჯობდა, თანაც სტუმართა მეკარეც ოდნავ წინ იყო გამოსული და... ეს გოლი აღბათ არასდროს დამავიწყდება.

— „სიონში“ დარჩენას რამდენი ხნით აპირებ?

— რამდენიმე ქართული გუნდია ჩემით დაინტერესებული, ყველაზე მეტად ფოთის „კოლხეთი“ აქტიურობს,მეც არაფერი მაქვს საწინააღმდეგო, მაგრამ თუ ოთხეულში მოვხვდით, ისევ „სიონში“ დავრჩები, შუა გზაზე არ მივატოვებ ბოლნისელებს, შემდეგ კი ვნახოთ...

პაატა კვანტალიანი

რეგიონალური ჩემპიონატი

დასავლეთი

„ა“ ზონა

IX ტური

6 ნოემბერი

მაღაროელი 2:0 გურია

1:0 კავთელაძე (22პ), 2:0 ლოლაძე (88)
გაფრთხილება: წილოსანი, პატარაია (ორივე გურია)
მსაჯი: გ. ასკაროლლი (ქარელი)

რაჭა 0:2 მარგვეთი

0:1 მუმლაძე (18), 0:2 გეწაძე (70)
გაფრთხილება: სახელაშვილი, შარაბიძე (ორივე რაჭა), ორბელაძე (მარგვეთი)
მსაჯი: ლ. ფანიაშვილი (თბილისი)

არეულობის გამო 72-ე წუთზე მატჩი ჩაიშალა

7 ნოემბერი

მეშახტე 0:3 ოკეანე

0:1 კაცაძე (42), 0:2 კრავეიშვილი (55), 0:3 კაცაძე (60)
გაფრთხილება: ხელაძე (მეშახტე)
მსაჯი: ა. სამხარაძე (სოხუმი)

გაგრა 3:3 რწმენა

0:1 სოფრომაძე (24), 0:2 ქიმაძე (30), 1:2 ტ. მანაგაძე (43პ), 1:3 გაბუნია (50პ), 2:3 ქუთათელაძე (67), 3:3 მუშკუდიანი (87)
გაფრთხილება: ბენიძე, გაბუნია, შავგულიძე (ყველა რწმენა)
გაძევება: აბუთიძე (79, რწმენა)
მსაჯი: თ. გიორგაძე (სამტრედია)

იბერია 2 2:1 მეტალურგი

8 ნოემბერი

ინტერი 3:1 სულორი

1:0 ლომთაძე (27), 2:0 ნაროუშვილი (30), 3:0 ასათიანი (37), 3:1 დვალიშვილი (42)
გაფრთხილება: ფუტკარაძე (ინტერი)
მსაჯი: კ. მესხი (ზუგდიდი)

მარგვეთი	8	7	1	0	25:5	22
ინტერი	9	4	4	1	14:5	16
მეტალურგი	9	4	3	2	14:11	15
იბერია 2	9	3	5	1	12:8	14
ოკეანე	8	4	1	3	14:11	13
სულორი	9	2	5	2	10:15	11
გაგრა	8	2	5	1	15:13	11
მაღაროელი	9	2	3	4	15:16	9
რაჭა	9	1	5	3	7:9	8
რწმენა	9	1	4	4	5:13	7
მეშახტე	8	1	3	4	11:22	6
გურია	9	1	1	7	3:17	4

„ბ“ ზონა

IX ტური

6 ნოემბერი

ჩელა 1:2 მერცხალი

0:1 წივწივაძე (47), 0:2 გოგუა (55), 1:2 აბსანძე (89)
გაფრთხილება: როხაძე (მერცხალი)
მსაჯი: თ. გიორგაძე (სამტრედია)

ბახმარო 1:2 ბათუმი 2

0:1 ფირცხალაიშვილი (10), 1:1 თავბერიძე (45), 1:2 დარჩიძე (56)
გაფრთხილება: გიორგაძე, ბერაძე (ორივე ბახმარო)
მსაჯი: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)

7 ნოემბერი

კოლხეთი 2 3:2 სქური

0:1 ჯოლოხავა (20), 1:1 კრასოვსკი (47), 2:1 ბურჭულაძე (70), 3:1 კვირკველია (85), 3:2 ჭანია (86)
გაფრთხილება: ნადარაია (კოლხეთი 2), კვირკვია (სქური)
გაძევება: ჯაბუა (70, სქური)
მსაჯი: გ. მაჭარაშვილი (ქუთაისი)

ლაზიკა 1:1 შუქურა

0:1 ფუტკარაძე (75), 1:1 ლიპარტია (82)
ო. გვაზავამ ვერ გაიტანა პენალტი (60, ლაზიკა)
გაფრთხილება: ბაეუნაიშვილი (შუქურა)
მსაჯი: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

ფაზისი 1:0 მეგრი

1:0 მაკალათია (80)
გაფრთხილება: ყურაშვილი, ნაცვლიშვილი, ყორშია (ყველა ფაზისი), მებონია, იოსავა (ორივე მეგრი)
მსაჯი: გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი)

სამეგრელო 3:3 ზუგდიდი

შუქურა	9	7	2	0	28:8	23
ლაზიკა	9	6	2	1	21:10	20
მეგრი	9	6	1	2	14:9	19
ზუგდიდი	9	5	2	2	25:10	17
კოლხეთი 2	9	4	3	2	11:11	15
ფაზისი	9	3	3	3	10:17	12
სამეგრელო	9	3	2	4	13:11	11
სქური	9	3	1	5	16:21	10
მერცხალი	9	1	4	4	6:10	7
ბათუმი 2	9	1	4	4	9:14	7
ჩელა	9	1	1	7	7:25	4
ბახმარო	9	1	1	7	6:20	4

აღმოსავლეთი

„ა“ ზონა

IX ტური

6 ნოემბერი

საუ 0:4 ცხუმი

0:1 ბოჯგუა (13), 0:2 კაკაბაძე (50), 0:3, 0:4 ბოჯგუა (74, 75)
გაფრთხილება: კიბირია (საუ)
მსაჯი: ბ. ბერგაძე (ჭიათურა)

იბერია 3:1 მრეტები

1:0 კასრაძე (10), 1:1 ფოფხაძე (22), 2:1 ღვინცაძე (29), 3:1 კოჩაძე (34)
გაფრთხილება: ხაინდრავა (იბერია), მგელაძე (მრეტები)
მსაჯი: ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა)

7 ნოემბერი

ვარძია 3:0 არაგვი

1:0 გელაშვილი (32), 2:0 ჩილაძე (75), 3:0 გელაშვილი (77)
მსაჯი: ლ. რაზმაძე (გორი)

მესხეთი 0:0 ცხინვალი

გაფრთხილება: მერაბიშვილი, გიგოლაშვილი, მაჭარაშვილი (ყველა მესხეთი)
მსაჯი: დ. რეხვიაშვილი (რუსთავი)

განთიადი 2:1 ივერია

1:0 ყაჩლავაშვილი (56), 2:0 ფეიქრიშვილი (88), 2:1 ხმალაძე (90)
გაფრთხილება: მაქაცარია (განთიადი), ნიკლაური, ტოკლიკიშვილი (ორივე ივერია)
მსაჯი: ს. კახიანი (თბილისი)

განთიადი	7	6	1	0	19:4	19
ცხინვალი	7	5	2	0	10:1	17
ივერია	8	5	0	3	19:10	15
თორი	7	4	1	2	13:6	13
ცხუმი	7	4	1	2	16:9	13
საუ	9	3	1	5	11:15	10
იბერია	8	3	1	4	12:12	10
მესხეთი	8	2	3	3	10:16	9
მრეტები	8	1	4	3	6:12	7
ვარძია	8	2	1	5	6:20	7
არაგვი	9	0	1	8	8:25	1

„ბ“ ზონა

IX ტური

6 ნოემბერი

ენერგეტიკოსი 2:1 დურუჯი

0:1 ოსეფაშვილი (72), 1:1 კალანდაძე (81), 2:1 კიკნაველიძე (85)
გაფრთხილება: ხაჩიშვილი (დურუჯი)
მსაჯი: ლ. რაზმაძე (გორი)

აკადემია 0:1 ჭაბუკიანი

0:1 ომანიშვილი (26)
გ. მეტრეველმა ვერ გაიტანა პენალტი (58, ჭაბუკიანი)
მსაჯი: ვ. ჩოჩიშვილი (თბილისი)

8 ნოემბერი

არსენალი 2 1:1 ამირანი

0:1 მიკუჩაძე (74), 1:1 ნ. ჩალაძე (88)
გაფრთხილება: ჩიღვინიძე (ამირანი)
გაძევება: ბერიანიძე (82, არსენალი)
მსაჯი: მ. მალაღურაძე (თბილისი)

ზოოვეტი 1:1 ლოკომოტივი 2

0:1 ბაქრაძე (52), 1:1 გუგუშვილი (72)
მსაჯი: ა. შილაკაძე (თბილისი)

თბილისი 2 1:2 ალაზანი

0:1 აგაბაბიანი (10პ), 1:1 ახალაია (34), 1:2 ვარამაშვილი (50)
გაფრთხილება: გუდურაშვილი, იაგანაშვილი (ორივე ალაზანი)
მსაჯი: ა. კრიჭაშვილი (თბილისი)

არსენალი 2	8	6	2	0	22:7	20
ლოკომოტივი 2	7	5	1	1	17:8	16
ჭაბუკიანი	8	5	0	3	14:7	15
ზოოვეტი	7	4	2	1	19:9	14
ამირანი	9	4	2	3	15:17	14
ალაზანი	7	4	1	2	15:9	13
ხალიბი	8	2	2	4	7:14	8
აკადემია	7	1	3	3	3:6	6
ენერგეტიკოსი	9	2	0	7	13:29	6
თბილისი 2	8	1	2	5	9:16	5
ყვარელი	8	1	1	6	7:18	4

საქართველოს ჩემპიონატი 11 ტური

COSA NOSTRA

გაზეთი „სარბიელი“, მისი ქართული ფეხბურთის განყოფილება და მკითხველის მორჩილი ამ სტრიქონების ავტორი სახალხოდ აცხადებს — მდგომარეობა მეთერთმეტე ეროვნული ჩემპიონატის „ა“ ზონაში ერთობ დაძაბულია, გუნდები ერთმანეთს არაფერს უთმობენ და მოსალოდნელია შემდგომი გამწვავებანი. საუკეთესო ოთხეულში მოხვედრის დიდი შანსი აქვთ „ვიტ ჯორჯიას“, „ბათუმს“, „სიონს“, ეს შანსი ჯერაც არ დაუკარგავს „ლოკომოტივს“ და თუკი „თბილისს“ საფეხბურთო არსთა გამრიგემ თავისი სპორტული უნიფორმის კალთაც დააბერტყა, შეიძლება „თბილისიც“ ვიხილოთ იქ, ზევით...

მეთერთმეტე ტურის ანონსირებისას „ა“ ზონას „დაცენტრილი“ ვაკადრეთ, ახლა ეს სიტყვა უკან მიგვაქვს და მეთერთმეტე ეროვნულის ღრმად პატივცემულ ნახევარს „თვრამეტიანების ზონად“ გადავნათლავთ.

საქმე „ბათუმის“, „სიონის“ მოგებებმა და „ვიტ ჯორჯიის“ წაგებამ გაამწვავა. ამ მოგება-წაგებების შემდეგ სამივე გუნდს 18-18 ქულა დაუგროვდა და ამბავი დატრიალდა, დედა შვილს ვერ აიყვანს...

ყველაფერი რიგზე იქნებოდა, ვეტერინარებს ქულები რომ არ გაფლანგვოდათ ბოლო ტურებში, ანაც სეზონის დასაწყისში აუტსაიდერად მიჩნეულ „სიონს“ კარის ბჭენი არ დაელეწა მეტოქეთათვის. ისე, მთლად უცოდველი არც იტალიურ მადლმოყრილი „ბათუმია“. თუ ამდენი შეეძლოთ, „0:0“-ებსა და „ბუბლიკებს“ რას შეგვაჩვევს, ეს დალოცვილი ფეხბურთი მარტო კარნევალესი და „ბათუმის“ კი არა, „COSA NOSTRA“-ცაა.

სიტყვამ მოიტანა და სწორედ „COSA NOSTRA“-ს ჯალათი პროფესიონალებივით გაუსწორდნენ ბათუმელები ქართული რკინიგზის საფეხბურთო სახეს. ისევ ჯანელიძემ ივარგა და პენალტი აუღო მაჭუტაძეს, თორემ ქუთაისურად ვიტყვით — რკინიგზას საფეხბურთო სახე მთლად აუკაპიწდებოდა. „ლოკომოტივის“ კარში გატანილი ერთბაშად ოთხი ბურთი მშვენიერი წინაპირობა იქნება „ბათუმის“ საუკეთესო ოთხეულში გასვლისათვის.

კიდევ ორი შეხვედრა დასრულდა მსგავსი ანგარიშით. ეტყობა, „დინამომ“ მეორე ტაიმის დასაწყისში „გალუაზ ბლონდი“ გააფუილა, „ლიბერტე ტუჟური“ (თავისუფლება ყველგან) „დაემართა“ და საკუთარი თავის რწმენა აღიდგინა, წლეულს ამოდენა ანგარიშით პირველად დამარცხებულმა „ვიტ ჯორჯიამ“ კი ერთობ გაირთულა საქმე. აფსუსი კია, ვეტერინართა სიმპათიური და კარგი ფეხბურთის პატივისმცემელი გუნდი საუკეთესოთა მიღმა დარჩეს.

4:1 იმსხვერპლა თსუ-მ „ხობი“. სტუდენტები გვარიანად მოიჩიტნენ, გოლების გატანასაც მოუხშირეს და პრინციპულ თამაშს რომ დიდი ანგარიშით მოიგებ, გუნდი ხარ, მაშ რა. კი, მართალია, ბურთების უმეტესობა შეხვედრის ბოლოსთვის გავიდა ამ მატჩში, მაგრამ ფეხბურთი პირველიდან 90-ე წუთამდე გრძელდება და გოლს როდესაც გინდა, მაშინ გაიტან. ამ შეხვედრაზე მისულმა ორასიოდე კაცმა ერთი უფასო სპორტული სანახაობაც იხილა — სტუდენტმა დეკანოსიძემ და ხობელმა ჭიჭინაძემ კრივი გააჩაღეს და მსაჯმა კრიჭაშვილმაც, აქაოდა საფეხბურთო მინდორი კრივისთვის დიდი ვერაფერი სარბიელიაო, სულ წითელ-წითელი ბარათებით დაიფრინა ორივე.

ზემოთ „სიონზე“ ვთქვით და ორი უპასუხო გოლით „სამგურალს“ აუგო წესი „აღას და ფანების“ სალოცავმა. განსაკუთრებით ლამაზი დათუაძის ლამის ცენტრიდან გატანილი ბურთი გამოდგა — ჭიტლაყი ამოსცხეს თუ არა, ეტყობა, გულიც მაშინვე მოუვიდა ტყავის სფეროს, დედამიწის თანამგზავრივით იფრინა და რომ დაატყო, უკეთეს ადგილს ვერსად წავიდოდა, იმერელთა კარის ბადეში აფართხალდა პატიოსნად. ისე, ბოლნისელთა ადგილზე რომ ვიყო, იმ ბურთს მოვიძიებდი და „ფრენის სიშორისთვის“ რომელიმე მუზეუმურ ადგილს მივაბარებდი.

სერიოზულ ხლაფორთში ჩაიგდო თავი „დილამ“. სამი ტურია, შინ და გარეთ აგებენ გორელები და საშველიც რომ არ ჩანს?! შეგეცოდებოდათ „გორდასთან“ მატჩის შემდეგ ხელებში თავჩარგული მერაბ კოჭლაშვილი... „დილამ“ ნამდვილად მოსაგები მატჩი დაუთმო „გორდას“ და ამით ოთხეულში მოხვედრის შანსიც აღუდგინა.

არმიისგან აფხაზეთივით მიგდებული „არსენალი“ „თბილისთან“ დამარცხდა. ენთუზიაზმით დღეს კატა არ დარბის და არმიელი ფეხბურთელები როგორ ახერხებენ ამას, თავად იციან. თუმც კი ქულების დაგროვება არასოდესაა გვიან, ოთხეულში ვერმოხვედრა ნამდვილად „გაინაღდა“ გეგეჭკორის გუნდმა და აწი მოგებას და წაგებას ერთი ფასი აქვს (ყოველ შემთხვევაში, სეზონის ბოლომდე).

„ტორპედო“ ახალი და სუფთა „დაფით“ ეწვია ავჭალას და მთელ „სინათლეს“ თვალი მოსჭრა ფეხბურთითა და ახალშეძენილი ავტობუსით. გაუჭირვებლად მოიგეს ქუთათურებმა (პირველად მთელი ისტორიის მანძილზე) ავჭალაში და სტუმრად აღებული იმდენი ქულა დააგროვეს, მარტო მათი საშუალებით გაელენ საუკეთესოებში. „მერანმა“ კი ამ მარცხით მეოთხედან მეექვსე ადგილზე ისკუპა და — არც „გორდაა“ უიმედოდ ჩამორჩენილი. ასე რომ, სერიოზული ფიქრი სიჭრდებათ ტრანსპორტელებს, თუკი წიწილების დათვლას საუკეთესოთა შორის დააპირებენ.

ასეთი ამბებია. კარგი ტური იყო, ბევრი გოლითა და წითელ-ყვითელი ბარათების ცვენით. ოთხი ფეხბურთელი გააძევეს მსაჯებმა, თვრამეტჯერ ყვითელი „აანთეს“ და კარგია ეს?!

არა, ფეხბურთს პატიოსანი ბრძოლა უხდება, ამდენი წითელ-ყვითელი კი მხოლოდ აუშნოვებს ფეხბურთს. მაყურებელსაც უნდა პატივისცემა.

კონსტანტინე გოგიშვილი

ბომბარდირები

10 - აშვეთია	*დინამო*
იონანიძე	*ტორპედო*
9 - ალექსიძე	*დინამო*
7 - მეგრელაძე	*ტორპედო*
6 - გ. ქორიძე	*ვიტ ჯორჯია*
ლ. მელქაძე	*თბილისი*

სიმბოლური ნაკრები

გუნდი: ბათუმი

- *კარი:* ჯანელიძე *ტორპედო*
- *მცველები:* ბაბუაძე *ბათუმი*, ბერიძე *ბათუმი*, ბურკაძე *ბათუმი*, ბურჭულაძე *ბათუმი*
- *ნახევარმცველები:* ბაბალიკაშვილი *ბათუმი*, ბერიძე *ბათუმი*, ბაბალიკაშვილი *ბათუმი*, ბურკაძე *ბათუმი*
- *თავდამსმელები:* ბაბალიკაშვილი *ბათუმი*, ბურკაძე *ბათუმი*, ბურჭულაძე *ბათუმი*

მწვრთნელი: ჯანი კარნევალე *ბათუმი*

- *მარკოლა:* ბ. ბაბალიკაშვილი (*ბათუმი*)
- *ბანდერა:* ბ. ბურკაძე (*ბათუმი*)
- *ბანდერა:* ბ. ბურჭულაძე (*ბათუმი*)
- *ბანდერა:* ბ. ბერიძე (*ბათუმი*)
- *ბანდერა:* ბ. ბაბალიკაშვილი (*ბათუმი*)
- *ბანდერა:* ბ. ბაბალიკაშვილი (*ბათუმი*)
- *ბანდერა:* ბ. ბერიძე (*ბათუმი*)
- *ბანდერა:* ბ. ბაბალიკაშვილი (*ბათუმი*)
- *ბანდერა:* ბ. ბაბალიკაშვილი (*ბათუმი*)
- *ბანდერა:* ბ. ბაბალიკაშვილი (*ბათუმი*)
- *ბანდერა:* ბ. ბაბალიკაშვილი (*ბათუმი*)

«ა» ზონა	სულ							შინ							სტუმრად						
№ გუნდები	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ
1 დინამო	11	8	1	2	26:9	17	25	6	5	1	0	17:5	12	16	5	3	0	2	9:4	5	9
2 ბათუმი	11	4	6	1	10:4	6	18	6	4	2	0	8:1	7	14	5	0	4	1	2:3	-1	4
3 ვიტ ჯორჯია	11	5	3	3	14:10	4	18	5	3	1	1	9:3	6	10	6	2	2	2	5:7	-2	8
4 სიონი	11	5	3	3	11:12	-1	18	6	3	3	0	6:2	4	12	5	2	0	3	5:10	-5	6
5 ლოკომოტივი	11	4	2	5	15:16	-1	14	5	2	2	1	6:4	2	8	6	2	0	4	9:12	-3	6
6 თბილისი	11	3	3	5	20:25	-5	12	6	3	1	2	14:15	-1	10	5	0	2	3	6:10	-4	2
7 არსენალი	11	2	3	6	10:17	-7	9	5	2	1	2	6:8	-2	7	6	0	2	4	4:9	-5	2
8 სამგურალი	11	2	1	8	7:20	-13	7	5	2	0	3	3:6	-3	6	6	0	1	5	4:14	-10	1

«ბ» ზონა	სულ							შინ							სტუმრად						
№ გუნდები	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ
1 ტორპედო	11	10	1	0	30:5	25	31	5	4	1	0	15:4	11	13	6	6	0	0	15:1	14	18
2 კოლხეთი	11	7	0	4	16:12	4	21	5	4	0	1	9:3	6	12	6	3	0	3	7:9	-2	9
3 დილა	11	4	2	5	12:18	-6	14	6	3	1	2	8:8	0	10	5	1	1	3	4:10	-6	4
4 თსუ	11	3	4	4	9:10	-1	13	6	2	1	3	6:7	-1	7	5	1	3	1	3:3	0	6
5 მერანი	11	2	6	3	10:10	0	12	6	1	3	2	5:5	0	6	5	1	3	1	5:5	0	6
6 იბერია	11	3	3	5	6:15	-9	12	6	3	1	2	5:6	-1	10	5	0	2	3	1:9	-8	2
7 გორდა	11	3	1	7	9:15	-6	10	5	2	1	2	6:4	2	7	6	1	0	5	3:11	-8	3
8 ხობი	11	2	3	6	13:20	-7	9	5	1	2	2	7:7	0	5	6	1	1	4	6:13	-7	4

«ა» ზონა

თბილისი 3:1 არსენალი

თბილისი
6 ნოემბერი
15 საათი
ეროვნული
700 (ტევადობა (5 000)

0:1 გონჩაროვი (9), 1:1, 2:1 მელქაძე (43, 50), 3:1 კვარაცხელია (77)
თბილისი: ა. ჩიხრაძე, რუხაძე, მაჭავარიანი, აბრამიძე, ზამთარაძე, ო. გველესიანი, კვარაცხელია, ქემოკლიძე, ისიანი (გ. მიქაძე 46), ხიზანიშვილი (ვალერი გაგუა 83), ლ. მელქაძე
სათადარიგონი: ბეგდიაშვილი; ტყებუჩავა, ი. შენგელია, ნორაკიძე, ბურდული
არსენალი: ჩლაიძე, ირემაშვილი, ასპინძელაშვილი,* ლაცაბიძე, ყუფარაძე, ყოლბაია (კვირკველია 68), ვახტანგ გაგუა, თარგამაძე, გონჩაროვი, კაკაშვილი (რობაქიძე 64), სულაძე (ტარიელაშვილი 58)
სათადარიგონი: კუპატაძე; ჩალაძე, ცოტაძე, ამირიძე
გაფრთხილება: ხიზანიშვილი (24), ვახტანგ გაგუა (73)
მსაჯები: ა. შილაკაძე (თბილისი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), ზ. ჯვარიძე (თბილისი); დ. ხარიტონაშვილი (თბილისი)
სფფ-ის დელეგატი: გ. ძამუკაშვილი

ბოლნისი
6 ნოემბერი
15 საათი
თეიფურ სტეფანია
700 (ტევადობა 3 000)

სიონი 2:0 სამგურალი

1:0 შაკიაშვილი (31პ.), 2:0 დათუაძე (50)
სიონი: ვოლკოვი, დიმიტრიშვილი, შაკიაშვილი, სიდამონიძე, ნ. მინდიაშვილი, თ. სამხარაძე (სვანიძე 88), მ. გოგოლაძე, სოლოღაშვილი (ვ. ჯაფარიძე 90), დათუაძე, მოსეშვილი, დ. გოდერძიშვილი (ი. კაპანაძე 82)
სათადარიგონი: დალაქიშვილი; მ. სამხარაძე, ლ. გაგუა, ტარიელაშვილი
სამგურალი: ბოდოკია, ქობულაძე, ფრანგიშვილი, ჭელიძე, ვოსკანოვი (სალილიანი 82), ძაგნიძე, სუხიაშვილი, ჭყონია, ძოძუაშვილი, ფხაკაძე (ქუთათელაძე 82), ზურაბიანი
სათადარიგონი: ბობოხიძე; გაბლაია, ნებიერიძე, კოპალიანი
გაფრთხილება: ზურაბიანი (2), გოდერძიშვილი (50)
მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი), მ. ელიკაშვილი, ზ. დოლიძე, ა. ნონიკაშვილი (ყველა თბილისი)
სფფ-ის დელეგატი: მ. მიმინოშვილი

FC DINAMO TBILISI 1925
თბილისი
7 ნოემბერი
15 საათი
ეროვნული
1 000 (ტევადობა 75 000)

დინამო 4:1 ვიტ ჯორჯია

0:1 ხართიშვილი (27), 1:1 წიტაიშვილი (40), 2:1 აშვეთია (48), 3:1 ალექსიძე (49), 4:1 გიგიაძე (90)
დინამო: გრიშიკაშვილი, ხიზანეიშვილი, დიდავა, ა. სახვაძე, ალექსიძე, წიტაიშვილი (ვ. გიგიაძე 68), აშვეთია, სიჭინავა, ი. ვაშაკიძე, გ. შენგელია (ვ. ჯინჭარაძე 65), ანჩაბაძე (შაშიაშვილი 89)
სათადარიგონი: ლომაია; ზირაქიშვილი, ს. გიგიაძე
ვიტ ჯორჯია: მამარდაშვილი, ჯ. მუჯირი, ხართიშვილი (დიღმელაშვილი 59), ჭანკოტაძე, თოდუა, საჯაია, ლ. ნოზაძე, ზ. გვაზავა, კოტორაშვილი (ვ. გოჩაშვილი 65), გ. ყიფიანი (ა. ბოკერია 81), გიორგი ქორიძე
სათადარიგონი: ჭურაძე; რ. გოცირიძე, მაზიაშვილი
გაფრთხილება: სახვაძე (42), მუჯირი (83)
გაძევება: სახვაძე (78)
მსაჯები: მ. მალალურაძე; ვ. ჩოჩიშვილი (ორივე თბილისი), ბ. ბრეგვაძე; ჯ. ბუაშვილი (ორივე ჭიათურა)
სფფ-ის დელეგატი: ა. ბაჩუკაშვილი

ბათუმი
7 ნოემბერი
15 საათი
დინამო
4 000 (ტევადობა 20 000)

ბათუმი 4:1 ლოკომოტივი

1:0 ქორიძე (28), 1:1 ქებაძე (37), 2:1, 3:1 მუჯირი (68, 75), 4:1 რომანაძე (84) მაჭუტაძემ ვერ გაიტანა პენალტი (72, მეკარე)
ბათუმი: ტოგონიძე, ი. მახარაძე, ზ. არჩვაძე, მ. მახარაძე, შ. ხუჯაძე, მინდაძე (რომანაძე 56), კობიძე, გელა ქორიძე, ა. მუჯირი (ქაცარავა 80), ტულუში (სიხარულიძე 83), მაჭუტაძე
სათადარიგონი: ვარშანიძე; გადელია, აფხაზავა, თეფორაძე
ლოკომოტივი: ასლანაძე (დ. ჯანელიძე 26), ბალაშვილი, ლ. მიქაძე, ბაქრაძე (იაგორაშვილი 46), ჩიხრაძე, ამაშუკელი, კაციაშვილი, მ. ქობულაძე, ქებაძე, ჩომახიძე, რუსია
სათადარიგონი: მორჩილაძე, სალუქვაძე, ბარნოვი, გილაური
გაფრთხილება: ამაშუკელი (36)
მსაჯები: ა. მეშკოვი (თბილისი); კ. მესხი (ზუგდიდი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); ჰ. დოგრაშვილი (ქუთაისი)
სფფ-ის დელეგატი: ა. მილჩენკო
სფფ-ის ინსპექტორი: გ. ფირცხალავა

«ბ» ზონა

იბერია 1:0 კოლხეთი

IBERIA
სამტრედია
6 ნოემბერი
15 საათი
ეროსი მანჯგალაძე
1000 (ტევადობა 14 000)

1:0 მუმლაძე (76)
იბერია: გ. დოლიძე, ფვანია, გეგეშიძე, მიქელთაძე, ნ. გიორგაძე (მუმლაძე 76), მ. ჯინჭარაძე, ხმალაძე (ბინაძე 89), გ. ლურსმანაშვილი, ივეჩიანი (ხურციძე 77), ზ. მეტრეველი, კ. მეტრეველი
სათადარიგონი: ვარდანიძე; ოდიკაძე, დარსაძე
კოლხეთი: მ. გვასალია, ანჯაფარიძე, ტორჩინავა, ქუნთელია, დავითნიძე, შალამბერიძე, ტრაპაიძე (მელაძე 85), კედელაშვილი (ბულუსია 78), კიკლიაშვილი, ე. გვასალია, ღაღანიძე
სათადარიგონი: პაპავა, ჯღარკავა, ბურკვაძე, ჭოხონელიძე
გაფრთხილება: დავითნიძე (86)
მსაჯები: დ. სანაია; ა. სამხარაძე (ორივე სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ნ. რუსიშვილი (ქუთაისი)
სფფ-ის დელეგატი: ბ. ქარქაშაძე

გორი
6 ნოემბერი
15 საათი
ცენტრალური
1 500 (ტევადობა 8 230)

დილა 1:2 გორდა

0:1 ალადაშვილი (54), 1:1 მარღიშვილი (59), 1:2 კილასონია (77)
დილა: მდივანი, რ. ხაჭაპურიძე, გაგნიძე, ლ. გოჩაშვილი, სულთანიშვილი, თაყაძე, მარღიშვილი, ციცქიშვილი, ხორგუაშვილი, შატაკიშვილი, ლომიძე
სათადარიგონი: სოღოლაშვილი; დ. მაისურაძე, აკოფიანი, ფეზუაშვილი, არუთინიანი, გ. ჩიტაია, საყვარელიძე
გორდა: მ. ქორიძე, მჭედლიძე, ინასარიძე, გაბელაია, ბერიძე, კილასონია, თედიშვილი, მ. სახვაძე, ბაჩილავა, კიტეიშვილი, ლ. ალადაშვილი
სათადარიგონი: გონგაძე; ჩიგოშვილი, ჩიტაური
გაფრთხილება: სახვაძე (38)
მსაჯები: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი); ს. კახიანი, მ. მაისურაძე; ზ. მენთეშაშვილი (ყველა თბილისი)
სფფ-ის დელეგატი: კ. ყრუაშვილი

TSU
თსუ
6 ნოემბერი
15 საათი
არმაზი
200 (ტევადობა 3 000)

თსუ 4:1 ხობი

1:0 დეკანოსიძე (4), 2:0 ახალაძე (63), 3:0 გ. გვაზავა (74), 3:1 ჩიტაია (83), 4:1 გ. გვაზავა (83)
თსუ: მერლანი, სვანაძე, ნინუა, გ. მიქაძე (გ. გვაზავა 71), ნუნუნავა (ფარქოსაძე 53), დეკანოსიძე, მესხი (ჯობაძე 79), ახალაძე, ერაძე, კვიციანი, დ. არჩვაძე
სათადარიგონი: გუგუნავა; გვირჯიშვილი, ადამია, თ. ბოკერია
ხობი: ბაბუაძე, ონიანი (ვ. ჩიტაია 70), ზ. კვეკვესკირი, ალანია, ზურაბ აიანადი, ხურციანა, გოგიტაძე, ლ. გვაზავა (დ. დანელია 60), ლ. ბუკია (ჯამბურია 78), ჭიჭინაძე, თორია
სათადარიგონი: ნიქაბერიძე; ზაზა აიანადი, ქაშიბაძე
გაფრთხილება: კვეკვესკირი (2), ერაძე (22), ჭიჭინაძე (26), ალანია (52), ნინუა (53), ბაბუაძე (57)
გაძევება: დეკანოსიძე (65), ჭიჭინაძე (65)
მსაჯები: ა. კრიჭაშვილი (თბილისი); კ. გაბრიაძე, გ. კიკალეიშვილი (ორივე ქუთაისი); ზ. ანიაშვილი (გორი)
სფფ-ის დელეგატი: ა. დურსუნიში

TBILISI
თბილისი
7 ნოემბერი
15 საათი
სინათლე
2 500 (ტევადობა 3 000)

მერანი 0:1 ტორპედო

0:1 იონანიძე (9)
მერანი: ნაჭყვეშია, ლ. ამბიძე, ჰ. ლურსმანაშვილი, ჯიშკარიანი (კოშკაძე 61), ხარებავა, ჭინჭარაული, კარიაული (როსტიაშვილი 46), ე. ალადაშვილი, ბ. ამბიძე, დევიძე, დავითაშვილი
სათადარიგონი: კოროშინაძე; ივანიშვილი, ცქიფურიშვილი, ბაჯელიძე, ლ. ჩხაიძე
ტორპედო: ჭანტურია, მაღლაკელიძე, ხვადგიანი, თურმანიძე, შეყრილაძე, კვეტენაძე, ჩხეტიანი, ვაჩიბერაძე (მახვილაძე 51), იონანიძე, დ. ჯანაშია (სტურუა 89), იმედაძე (გოგიაშვილი 71)
სათადარიგონი: ამისულაშვილი, ვ. მაისურაძე, მ. ბობოხიძე, ასათიანი
გაფრთხილება: ჯანაშია (40), თურმანიძე (77)
გაძევება: ჭანტურია (88)
მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); გ. ასკაროლი (ქარელი), ლ. ფანიაშვილი; ლ. სილაგავა (ორივე თბილისი)
სფფ-ს დელეგატი: შ. ხინჩაგაშვილი

ევროპის ჩემპიონი რუმინეთის ნაკრები გახდება

რუმინეთის ნაკრები მომავალ ჩემპიონობას ზეიმობს

რომის პაპის საქართველოში ვიზიტიდან ჩანს, რომ ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის შესარჩევ პლეი ოფს ინგლისსა და შოტლანდიას შორის ინგლისი მოიგებს, ხოლო ევროპის ჩემპიონი რუმინეთის ნაკრები გახდება.

დავიწყოთ იმით, რომ მსოფლიოში შემთხვევით არაფერი ხდება და, ბუნებრივია, არც პაპის თბილისში სტუმრობა გახლავთ ბედის თამაშის შედეგი, მით უფრო, რომ ბედს სათამაშოდ ფეხბურთის მოედანზეც ალარ უშვებენ — იქაც ყველაფერი იმთავითვე გათვლილი გახლავთ. მაგალითად, რა დიდი მიზვედრა უნდოდა იმას, რომ 1998 წელს მსოფლიოს ჩემპიონი საფრანგეთი გახდებოდა? თავად განსაჯეთ: სახეობის გამომგონებლებს, ინგლისელებს 1966 წელს უკვე ერგოთ ტიტული, ყველაზე ნიჭიერი ერი, ბრაზილია, ოთხჯერ ვიხილეთ თასით ხელში, კოლექტიური ბრძოლისა და ასეთივე კრიმინალის სწორუპოვარ წარმომადგენლებს გერმანიასა და იტალიას სამ-სამჯერ ხვდათ ტრიუმფი, ორ-ორჯერ შანსი მასებსაც მიეცათ — ურუგვაიმ და არგენტინამ ისარგებლეს. მაშ ვინღა რჩებოდა, ვინ უნდა გამხდარიყო საუკუნის ბოლო ჩემპიონატის გამარჯვებული? ცხადია ქვეყანა, რომლის შვილებმაც მოიგონეს ბანგი ხალხთათვის — საერთაშორისო შეჯიბრებები. ასწლეული, საფრანგეთის ჩემპიონობის გარეშე ვერ დამთავრდებოდა.

აქედან დასკვნა პირველი: თუკი ბურთისთვის ფეხისა და თავის მირტყმაშიც კი ყველაფერი გათვლილია, მით უმეტეს გახლავთ რომის პაპის ვიზიტის დროს.

პაპის სტუმრობამ თვალი ავუხილა. ვნახეთ, როგორ ცდილობს მათი სამყარო ჩვენთან დაახლოებას. აქ მარტო რელიგიაზე არ არის საუბარი, აქ საუბარია მთლიანად ყოფაზე, კულტურაზე, მსოფლმხედველობაზე, ფეხბურთზე... შესაბამისი და მართალია ჩვენი რეაქციაც: გონს მოგეთ და გაზიარეთ ჭეშმარიტ... ფეხბურთს. და ვინაიდან კარს ათასწლეულის ბოლო ევროპის ჩემპიონატი მოგვდგომია — შემთხვევით კი ვიმეორებთ, არაფერი ხდება — მასში გამარჯვებული ჩვენი ორიენტაციის ქვეყნებში უნდა ვეძებოთ.

ამიტომაც, გადავხედოთ ფინალურ ეტაპზე გასულთა სიას (საქართველო ჯერ კიდევ გასაბრწყინებელია). მათგან ჩვენი ორიენტაციის ორია, იუგოსლავია და რუმინეთი. ამათ შესაძლოა პლეი ოფიდან უკრაინა შეემატოს. განვიხილოთ სამივე. იუგოსლავია ომშია ჩათრეული, მის მიწაზე ცოდვა-ბრალი და სლობოდან მილოშევიჩი ტრიალებს, შესაბამისად, მისი ჩემპიონობა საეჭვოა. უკრაინა დასავლეთ ნაწილში კათოლიკურია, თან პოლონეთთან — პაპის სამშობლოსთან — მიახლოებული. აი, რუმინეთი კი არც ომობს და არც საქართველოს ნაკრებთან ამხანაგურ თამაშზე ამბობს უარს.

აქედან დასკვნა მეორე: ევროპის 2000 წლის ჩემპიონი რუმინეთის ნაკრები გახდება.

მაგრამ — მერამდენედ გვიწევს გამეორება, რომ — შემთხვევით არაფერი ხდება. პაპის ვიზიტიდან ჩანს, თანაშშრომლობის, თანადგომისა და ერთსულოვნების უპირატესობა გათიშულობასა და დაპირისპირებაზე, რასაც შემწყნარებლობის იდეასაც თუ დაკუკავშირებთ, იოლად მივალთ შემდგომ დასკვნამდე:

დასკვნა მესამე: ინგლის-შოტლანდიის პლეი ოფში ერთგვაროვანი, ანგლიკანური ინგლისი პროტესტანტულ („სელტიკის") — კათოლიკურ („რეინჯერსის") შოტლანდიას დაამარცხებს.

გაიხსენეთ გლაზგოური დერბი და...

პაპუნა კედია

ავტორი 9 ნოემბერს სპორტის სასახლეში გამართულ მესსას არ დასწრებია

პლეი ოფის მატჩი 13 ნოემბერი. სლოვენია — უკრაინა

მეკარეები: ალექსანდრ შოვკოვსკი, ვიაჩესლავ კანუზინი (ორივე დინამო), ალექსანდრ ლავრენცოვი (ლოვატელი); მცველები: ალექსანდრ გოლოვკო, ვლადისლავ ვაჩეუკი, იური დმიტრულინი, სერგეი ფიოდოროვი (ყველა დინამო), ოლეგ ლუტენი (ბოსტონი, ინგლისი), ვლადიმირ მიკიტინი, სერგეი პოლოვი (ორივე მახტარი), დმიტრი პარფიონოვი (სპარტაკი, რუსეთი) ნახევარმცველები: ანდრეი გუსინი, ვიტალი კოსოვსკი (ორივე დინამო), სერგეი კოვალევი (მახტარი), იური მაქსიმოვი (ვერდერი, გერმანია), გენადი მოროზი (კრივბასი), ედუარდ ციხმეისტრუკი (ცსკა), სერგეი კანდაუროვი (ბენფიკა, პორტუგალია) თავდამსხმელები: ანდრეი შევჩენკო (მილანი, იტალია), სერგეი რებროვი (დინამო), სერგეი სკაჩენკო (მეცი, საფრანგეთი)

პლეი ოფის მატჩი 13 ნოემბერი. ისრაელი — დანია

მეკარეები: დუდუ ავატი (ჰაპოელი, ჰაიფა), შავიტ ელიმელეხი (ჰაპოელი, თელ ავივი); მცველები: შიმონ გერშონი (ჰაპოელი, თელ ავივი), რან ბენ-შიმონი, ამირ შელახი, ალონ ჰალფონი, ოფერ ტალქარი, დავიდ ამსალემი (ყველა ჰაპოელი, ჰაიფა), არიკ ბენადო, ალონ ხარაზი (ორივე მაკაბი, ჰაიფა), ნაივან გრაიები (ასტონ ვილა, ინგლისი); ნახევარმცველები: იან ტალასნიკოვი (დანდი იუნაიტედი, შოტლანდია), ვალიდ ბადირი (უიმბლდონი, ინგლისი), ალონ ჰასანი (აშდოდი), იოსი აბუქსისი (ბეითარი), ტალ ბანინი (ბრეშა, იტალია), ეიალ ბერკოვიჩი (სელტიკი, შოტლანდია), იდან ტალი (მერიდა, ესპანეთი), ჰაიმ რევივო (სელტა, ესპანეთი), იოსი ბენაიონი (მაკაბი, ჰაიფა); თავდამსხმელები: რონენ ხარაზი (ჰაპოელი, თელ ავივი), ამირ ტურჯემანი (ჰაპოელი, ჰაიფა)

ამხანაგური მატჩი 27 ნოემბერი. სამხრეთ აფრიკა — შვედეთი

მეკარეები: მატიას ასპერი (აიკ), მაგნუს კილშტედტი (ბრანი, ნორვეგია); მცველები: კრისტოფერ ანდერსონი, ანდრეას იაკობსონი, როლანდ ნილსონი (ყველა ჰელსინგბორგი), ტომას გუსტაფსონი, პონტუს კამარკი (ორივე აიკ), კლებერ სარენპაა (ნორჩოპინგი); ნახევარმცველები: კარლ კორნელიუსონი, დანიელ ტიერნსტრიომი (ორივე აიკ), ტობიას ლინდეროთი (სტაბეკი, ნორვეგია), ჰაკან მილდი (გიოტებორგი), მაგნუს სვენსონი (ვიკინგი, ნორვეგია), ანდერს სვენსონი (ელფსბორგი); თავდამსხმელები: მარკუს ალბაკი (იორგრიტე), ანდრეას ანდერსონი (აიკ), იონას უოლერსტედტი (ნორჩოპინგი), მატიას იონსონი (ჰელსინგბორგი)

ამხანაგური მატჩი 13 ნოემბერი. იტალია — ბელგია

მეკარეები: ჯანლუიჯი ბუფონი (პარმა), ფრანჩესკო ტოლდო (ფიორენტინა); მცველები: ფაბიო კანავარო (პარმა), ჩირო ფერარა, მარკ იულიანო (ორივე იუვენტუსი), ალესანდრო ნესტა, ჯუზეპე პანკარო (ორივე ლაციო), კრისტიან პანუჩი (ინტერი); ნახევარმცველები: დემეტრიო ალბერტინი (მილანი), დინო ბაჯო, დიეგო ფუზერი, პაოლო ვანოლი (ყველა პარმა), ანტონინო კონტე, ჯანლუკა პესოტო (ორივე იუვენტუსი), ეუსებიო დი ფრანჩესკო (რომა), ლუიჯი დი ბიაჯო (ინტერი), თომას ლოკატელი (უდინეზე); თავდამსხმელები: ალესანდრო დელ პიერო, ფილიპო ინძაგი (ორივე იუვენტუსი), ვინჩენცო მონტელა, ფრანჩესკო ტოტი (ორივე რომა)

ამხანაგური მატჩი 13 ნოემბერი. საფრანგეთი — ხორვატია

მეკარეები: სტეფან პორატო (მარსელი), ულრიხ რამე (ბორდო); მცველები: ლორან ბლანი (ინტერი, იტალია), მარსელ დესაი, ფრანკ ლებეფი (ორივე ჩელსი, ინგლისი), ლილიან ტურამი (პარმა, იტალია), ბიქსენტ ლიზარაზუ (ბაიერნი, გერმანია), ვინსენ კანდელა (რომა, იტალია), ფრედერიკ დეუ (ბარსელონა, ესპანეთი); ნახევარმცველები: ალენ ბოგოსიანი (პარმა, იტალია), დიდიე დეშამპი (ჩელსი, ინგლისი), პატრიკ ვიეირა (არსენალი, ინგლისი), ზინედინ ზიდანი (იუვენტუსი, იტალია), იური ჯორკაეფი (კაიზერსლაუტერნი, გერმანია), იოან მიკუ (ბორდო); თავდამსხმელები: რობერ პირესი (მარსელი), სილვენ ვილტორდი, ლილიან ლასლანდი (ორივე ბორდო), ტონი ვერელი (ლიონი), სტეფან გივარში (ოსერი).

იორგ ალბერტცი

გლაზგოური დერბის შედეგები

„გლაზგო რეინჯერსის" გერმანელ ნახევარმცველს, იორგ ალბერტცს, კვირას, „რეინჯერსისა" და „სელტიკის" გლაზგოური დერბის დამთავრებიდან რამდენიმე საათის შემდეგ ქვით სახლის შუშა ჩაუმტვრიეს.

პოლიცია ინციდენტს იძიებს. თავდასხმის დროს ალბერტცი შინ იყო და ოჯახთან ერთად ისვენებდა.

სახლი, რომელსაც ქვა ესროლეს, გლაზგოს შემოგარენში, ჰელენსბროში მდებარეობს.

„ძიება გრძელდება. ნებისმიერ მოქალაქეს, ვისაც რაიმე ინფორმაცია აქვს, ვთხოვთ მობრძანდეს" — განაცხადა პოლიციის პრეს-მდივანმა.

ალბერტცმა „სელტიკის" კარში პენალტი გაიტანა. ოერთმეტმეტრიანი პოლ ლამბერტის მიერ მისივე წაქცევისთვის დაინიშნა.

მოგეხსენებათ, ამ ორთაბრძოლის დროს ლამბერტს გერმანელის ფეხი სახეში მოხვდა, კბილი ჩაუმტვრია და გონება დაუკარგა. ამის გამო ლამბერტი ევრო 2000-ის შესარჩევ პლეი ოფში ინგლისის ნაკრების წინააღმდეგ ვერ ითამაშებს.

„რეინჯერსმა" გაიმარჯვა 4:2.

დიქსონის ბენეფისი ჰაიბერიზე



ლი დიქსონი

ლი დიქსონი, ინგლისის ნაკრების მცველი, ლონდონის „არსენალში" გატარებული 12-წლიანი კარიერის აღსანიშნავად საბენეფისო მატჩით დააჯილდოვეს. მის საპატივცემულოდ „ჰაიბერიზე" „არსენალმა" მადრიდის „რეალს" უმასპინძლა.

ლონდონელებმა 3:1 გაიმარჯვეს. 22 ათასმა მოსეირემ იხილა შეხვედრა, რომლის მონაწილენიც ერთმანეთს საუკეთესო თვისებების გამოვლენის საშუალებას აძლევდნენ.

ამავე შეხვედრაში „რეალის" ინგლისელმა ნახევარმცველმა, სტივ მაკმანამანმა თანამემამულეებს აჩვენა, რომ ტრავმის შემდეგ ჯანზეა და ქვეყნის ეროვნული გუნდის შემადგენლობაში შოტლანდიელების წინააღმდეგ ევრო 2000-ის პლეი ოფში სათამაშოდ მზადაა.

მატჩის გმირს, ლი დიქსონს, ინგლისის ნაკრებში 22 შეხვედრა აქვს ჩატარებული. 35 წლისამ „არსენალის" მაისურა 1988 წელს, „სტოკ სიტიდან" გადასვლის მერე მოირგო და „მეთოფეთა" გუნდს 527 შეხვედრაში ემსახურა. დიქსონმა ლონდონელთა შემადგენლობაში 23-ჯერ დალაშქრა მეტოქეთა კარი.

„რეალთან" შეხვედრაში მარჯვენა მცველს სამჯერ ჰქონდა გოლის გატანის შესაძლებლობა. მე-60 წუთზე მისი თავურით, ბურთი სულ ოდნავ ასცდა მადრიდელთა კარის ძელს.

არსენალელთა გოლები გაიტანეს პატრიკ ვიეირამ (მე-13 წუთზე), დენის ბერხკამპმა (41-ზე) და სტეფან მალცმა (72-ზე). სამეფო გუნდის წევრთაგან თავი კრისტიან კარემბუმ ისახელა. ეს 74-ე წუთზე მოხდა.

ბოლო 20 წუთის განმავლობაში „ჰაიბერის" აღფრთოვანებულმა საზოგადოებამ იხილა ლონდონური კლუბის საყოველთაო რეკორდსმენი — მეგოლე იან რაიტი, რომელიც დღეს გლაზგოს „სელტიკში" თამაშობს.



ჰარი კიუელი

კიუელი ნაკრებს ვერ დაეხმარება

ინგლისის პრემიერლიგის წლევანდელი გათამაშების ერთ-ერთი ლიდერის, „ლიდს იუნაიტედის“ ავსტრალიელი ფორვარდი ჰარი კიუელი თავისი ქვეყნის ნაკრებს ბრაზილიის ოლიმპიურ ნაკრებთან შეხვედრაში ვერ დაეხმარება. ეს ინფორმაცია კლუბის ოფიციალურმა პრესატაშემ გავრცელა. მან განაცხადა, რომ 14 ნოემბრისთვის დაგეგმილი ამხანაგური მატჩისთვის, კიუელი ინგლისში დარჩება და ავსტრალიაში ვერ გაემგზავრება. პრემიერლიგის წინა ტურში ფეხბურთელი დაშავდა და ასეთი შორეული მგზავრობა ტრავმას გაუმიზეზებდა. სამშობლოში წასვლა თავად კიუელმა არ ისურვა.

ამ გადაწყვეტილებამ ძლიერ აღაშფოთა ავსტრალიის ფეხბურთის ფედერაცია, რომლის თავმჯდომარე ბასილ სკარსელამაც „ლიდს იუნაიტედი“ არაპროფესიონალური საქციელისთვის დაგმო.

თავის მხრივ, „ლიდსის“ ხელმძღვანელობა ერთობ განაცვიფრა სკარსელას განცხადებამ. „ჩვენ ყოველთვის ვცდილობთ, უცხოელ ფეხბურთელებთან და მათი ქვეყნის ფედერაციებთან ნორმალური და კოლეგიალური ურთიერთობა გვქონდეს. ასე იყო ამჯერადაც. ჩვენ ნება დავრთეთ კიუელს, ავსტრალიაში პირველი შეხვედრის ჩასატარებლად გამგზავრებულიყო, მერე კი ინგლისში უნდა დაბრუნებულიყო. თუმცა თავად კიუელმა არ მოინდომა თავისიანების დახმარება. ასე რომ, „ლიდსი“ არაფერ შუაშია.“ კლუბის მესვეურთა თქმით, ეს საკითხი თვით კიუელმა და ავსტრალიის ფეხბურთის ფედერაციამ უნდა გაარკვიონ.

ამხანაგური მატჩი 14 ნოემბერი. ნორვეგია — **გერმანია**

გერმანიის ნაკრები 14 ნოემბერს ამხანაგურ მატჩს გამართავს ნორვეგიელებთან. გერმანელთა რიგებში არ ითამაშებს ამომავალი ვარსკვლავი სებასტიან დაისლერი. მას მუხლის ტრავმა აქვს.

ერიხ რიბეკმა ნაკრებში ერთადერთი ახალწვეული მიიპატიჟა. „ვერდერის“ მცველი ფრანკ ბაუმანი გუნდში გამოძახებით მეტად კმაყოფილი დარჩა.

დაისლერის თანაგუნდელს „ჰერტაში“, დარიუს ვოშსაც მუხლი აწუხებს, მაგრამ ტრავმა, ალბათ, არც ისე სერიოზულია. ფეხბურთელმა თავად შეატყობინა რიბეკს, თამაში შემიძლიაო.

ნაკრებს დაუბრუნდნენ ლევერკუზენელი იენს ნოვოტნი და დორტმუნდელი კრისტიან ვიორნსი. ორივენი დაშავებულნი იყვნენ.

გერმანიის ნაკრების ეს შეხვედრა წლეულს ბოლო იქნება. გაისად ევრო-2000-ისთვის მზადების პერიოდში ევროპის ჩემპიონებს ხუთი ამხანაგური შეხვედრა დაუგეგმავთ. მათი მეტოქეები ჰოლანდია, ხორვატია, შვეიცარია და კიდევ ორი, ჯერ უცნობი გუნდი იქნებიან.

მეკარეები: ოლივერ კანი (ბაიერნი), იენს ლემანი (დორტმუნდი); მცველები: მარკუს ბაბელი, თომას ლინკე, ლოთარ მათეუსი (ყველა ბაიერნი), ფრანკ ბაუმანი (ვერდერი), იენს ნოვოტნი (ლევერკუზენი), კრისტიან ვიორნსი (დორტმუნდი); ნახევარმცველები: დიტმარ ჰამანი (ლივერპული, ინგლისი), იენს იერემისი, მეჰმეთ შოლი (ორივე ბაიერნი), ბერნდ შნაიდერი (ლევერკუზენი), დარიუს ვოში (ჰერტა), კრისტიან ციგე (მიდლსბრო, ინგლისი); თავდამსხმელები: ოლივერ ბირჰოფი (მილანი, იტალია), მარკო ბოდე (ვერდერი), კარსტენ იანკერი (ბაიერნი), ულფ კირსტენი, ოლივერ ნოვილი (ორივე ლევერკუზენი)

ამხანაგური მატჩი 13 ნოემბერი. ესპანეთი — ბრაზილია

ესპანეთის ნაკრები 13 და 16 ნოემბერს შინ შესაბამისად ბრაზილიელებს და არგენტინელებს გაეჯიბრება.

გუნდში დაბრუნდა ჩელსელი ალბერტ ფერერი. 28 წლის ფეხბურთელს, რომელსაც ეროვნული ნაკრების ღირსება 35-ჯერ დაუცავს, „ბარსელონადან“ „ჩელსიში“ გადაბარგების შემდეგ აღარ იწვევდნენ. ესპანელთა თავკაცმა კამაჩომ მასზე თქვა: „ფერერი არასდროს დამვიწყებია, მაგრამ მისი ინგლისიდან ჩამოყვანა და სათადარიგოთა სკამზე დასმა უაზრობა იყო. ახლა, როდესაც ზედიზედ ორი თამაში გველის, მისი გამოძახება მიზანშეწონილია“.

ფერერს ბედნიერი კვირა აქვს. მან, ჯერ იყო და, „ჩელსის“ რიგებში თავისი პირველი გოლი შეაგდო 58 ჩატარებული მატჩიდან. იმ დღეს ლონდონელებმა „ჰერტას“ მოუგეს. ორიოდე დღეში ფეხბურთელი ნაკრებშიც დაბრუნეს.

მეკარეები: ტონი მოლინა (ატლეტიკო), სეზარ სანჩესი (ვალიადოლიდი); მცველები: აბელარდო ფერნანდესი, სერხი ბარხუანი (ორივე ბარსელონა), ფერნანდო იერო, მიჩელ სალგადო (ორივე რეალი), ალბერტ ფერერი (ჩელსი, ინგლისი), სანტიაგო არანსაბალი (სოსიედადი), პაკო ხემესი (სარაგოსა); ნახევარმცველები: იულენ გერერო (ბილბაო), სებასტიან ვალერონი (ატლეტიკო), ხოსეპ გვარდიოლა, ლუის ენრიკე (ორივე ბარსელონა), მაურისიო ენგონგა (მალიორკა), გაისკა მენდიენტა (ვალენსია); თავდამხსმელები: ისმაელ ურსაისი, ხოსება ეჩებერია (ორივე ბილბაო), ალფონსო პერესი (ბეტისი), პედრო მუნიტისი (რასინგი), ფერნანდო მორიენტესი, რაულ გონსალესი (ორივე რეალი)

SKY და სიტი

ფეხბურთის ქართველ გულშემატკივრებს „მანჩესტერ სიტის“ წარდგენა არ სჭირდებათ. რამდენიმეწლიანი ჩავარდნის შემდეგ გუნდი ძალას იკრებს, ინგლისის პირველ დივიზიონს ლიდერობს და პრემიერლიგაში დაბრუნებას სერიოზულად ფიქრობს.

ფეხბურთში ფულის დაბანდების მსურველებიც სწორედ ამგვარი კლუბებით ინტერესდებიან. პარასკევს კლუბის ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ მზადაა აქციების 9,9 პროცენტი 5,5 მილიონ ფუნტად გაყიდოს. ეს არის პასუხი წინადადებაზე, რომლითაც „სიტის“ ბრიტანულმა ტელეკომპანია **SKY**-მ მიმართა. გუნდის პრეზიდენტმა დევიდ ბერშტეინმა ისიც გაამხილა, რომ **SKY** ყაბულსაა, კიდევ ერთი ამდენი გადაიხადოს, ოღონდ „სიტის“ მატჩების მიმოხილვის ექსკლუზიური უფლება მიიღოს.

SKY-ის უკან ცნობილი ავსტრალიელი მაგნატი რუპერტ მერდოკი დგას. ამ კაცის ხელშია პრემიერლიგის მატჩების ტრანსლაციის უფლება. ამას წინათ მერდოკმა „მანჩესტერ იუნაიტედის“ ყიდვა მოინდომა, მაგრამ გარიგება არ შედგა. თავმოყვარე ინგლისელებმა ავსტრალიელს უარი უთხრეს. როგორც ჩანს, მერდოკმა არ მოისვენა და მანჩესტერელთა მეორე გუნდს დაადგა თვალი.

დაველოდოთ, რა რეაგირებას მოახდენენ ამაზე მანჩესტერელი გულშემატკივრები. ქომაგობა კი მათ მართლაც სანაქებო იციან. ორი წლის წინ, როცა გუნდი თავის 112-წლიანი ისტორიის მანძილზე მეორე დივიზიონში პირველად დაქვეითდა, მაყურებლებმა სტადიონზე სიარული არ შეწყვიტეს.

ვერტიგანი

მარიტიმუ 2:1 პორტუ

1:0 ალბერტინო ალვეში (21), 1:1 ტარდელი (54), 2:1 რეიოსკარი (87)

ბენფიკა 2:1 ბრაგა

1:0 ნუნუ გომეშში (12), 1:1 ტონი დუარტე (59), 2:1 კანდაუროვი (81)

სანტა კლარა 0:1 ბოავიშტა

0:1 ვილიტონ სილვა (75)

ბენფიკა	10	7	2	1	17:6	23
მარიტიმუ	10	6	2	2	16:8	20
პორტუ	10	5	4	1	17:7	19
გიმარაეში	10	5	3	2	18:12	18
სპორტინგი	10	5	3	2	15:10	18
ბოავიშტა	10	5	3	2	9:7	18
ჟილ ვისენტე	10	5	2	3	13:8	17
ალვეიკა	10	5	2	3	13:12	17
ბელენენსეში	10	4	3	3	14:11	15
ამადორა	10	2	6	2	11:12	12
რიუ ავე	10	2	5	3	11:16	11
სანტა კლარა	10	2	4	4	13:15	10
სალგეირუში	10	3	1	6	8:13	10
კამპომაიორ.	10	3	1	6	9:16	10
ფარენსე	10	1	5	4	7:16	8
ლეირია	10	1	4	5	8:12	7
სეტუბალი	10	1	3	6	10:18	6
ბრაგა	10	1	1	8	10:20	4

წაგებული, რომელიც მოიგებს

ინგლისური ფეხბურთის ისტორიაში პირველად: ერთ-ერთი იღბლიანი კლუბი, რომელიც ფეხბურთის ასოციაციის თასის გათამაშებას გამოეთიშება, შეჯიბრებას გააგრძელებს და შესაძლოა ჯილდოც მოიპოვოს.

დიახ, ასოციაციის თასის კომიტეტმა გამოაცხადა, რომ მეორე ეტაპზე დამარცხებული 20 გუნდიდან რომელიმე შემდგომ საფეხურზე გადავა და „მანჩესტერ იუნაიტედის“ მაგივრად განაგრძობს ბრძოლას.

მოგეხსენებათ, „მანჩესტერ იუნაიტედი“ გახლავთ პირველი კლუბი, რომელმაც შეჯიბრების 127 წლიან ისტორიაში უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო. იგი თასის მფლობელია, რომელმაც ტიტულის დაცვაზე უარი განაცხადა. მანჩესტერელები სანაცვლოდ ბრაზილიას მიემგზავრებიან კლუბთა მსოფლიოს საინაოგურაციო ჩემპიონატში სათამაშოდ.

ახალი წესი პრაქტიკულად ასე განხორციელდება: მეორე ეტაპზე დამარცხებულ 20 კლუბს კენჭს უყრიან და ბედის რჩეულს მესამე ეტაპზე სტუმრად თამაშს არგუნებენ.

„ჩვენ ისე განვსაზღვრეთ, რომ ის, ვისაც ამ უჩვეულო სიტუაციაში ფორტუნა გაუღიმებს, იქნება პრემიერლიგის გარეთ, სავარაუდოდ პირველ დივიზიონში მოთამაშე გუნდი“ — განმარტა ასოციაციის პრეს-მდივანმა.

თეორიულად სრულიად შესაძლებელია, რომ მეორე რაუნდში დამარცხებულმა იღბლიანმა გუნდმა მესამეში თავის დამმარცხებელზე შური იძიოს.

1945-46 წლების გათამაშებაში — მეორე მსოფლიო ომის შემდგომ — იყო ერთადერთი შემთხვევა, როდესაც გუნდმა წააგო და მაინც განაგრძო სვლა ჯილდოსაკენ, თუმცა ამის ახსნა ერთობ იოლად შეიძლება: მაშინ თითოეული ეტაპი შინ და სტუმრად შეხვედრებისგან შედგებოდა. ეს გუნდი გახლდათ „ჩარლტონ ატლეტიკი“, რომელიც „ფულემთან“ 1:2 დამარცხდა, მაგრამ ორი თამაშის ჯამში 4:3 მოიგო. იმ გათამაშებაში „ჩარლტონმა“ ფინალამდე მიაღწია, სადაც „დერბი ქაუნთისთან“ 1:4 წააგო.

მას მერე ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასზე ეტაპი მხოლოდ ერთი მატჩისგან შედგება.

მცხუნვარე მზე, ანუ სერ ალექსის საფიქრალი

ალექს ფერგიუსონი

მსოფლიოს ყველაზე მდიდარი კლუბი, „მანჩესტერ იუნაიტედი“ კიდევ 3,75 მილიონი გირვანქით გამდიდრდება, თუ მოახერხებს და იანვრის თვეში ბრაზილიაში გასამართ საკლუბო მსოფლიოს ჩემპიონატს მოიგებს. ეს მხოლოდ ოფიციალური თანხა, რომელიც ტურნირის ტრიუმფატორს პრიზად ერგება და თუ ამას რეკლამა — ტელევიზიის შემოსავლებს დავუმატებთ, ჯამში საკმაოდ სოლიდურ თანხას მივიღებთ. მოკლედ, დაინტერესება უდიდესია და „მანჩესტერი“ ალბათ არც კი ნანობს იმას, რომ ინგლისის ასოციაციის ტურნირი ამჯობინა.

ჩემპიონატის ვერმოგების შემთხვევაშიც საკმაო დიდძალი თანხაა დანესებული — 3,2 მილიონი ფინალისტზე, 2,5 მილიონი გირვანქა ბრინჯაოს პრიზორზე და 1,9 მილიონი მეოთხეადგილოსანზე — ყველა წინასწარი მონაცემით, „მანჩესტერს“ ჩემპიონობა თუ არა, 8 მონაწილე გუნდიდან ოთხეულში მოხვედრა მაინც არ უნდა გაუჭირდეს.

სათამაშო დროის საკითხიც შეთანხმებულია. მატჩები რიო დე ჟანეიროში ადგილობრივი დროით საღამოს ექვსი საათის შემდეგ დაიწყება და თუ ელემენტარულ არითმეტიკასა და ბრაზილია-ცენტრალურ ევროპას შორის საათობრივ სხვაობას მოვიშველიებთ, რომელიც (კონკრეტულად რიოსა და ინგლისს შორის) 2 საათს უდრის, საფეხბურთო საღამოსათვის ზუსტად ზედგამოჭრილ დროს მივიღებთ. მოკლედ, ეს პრობლემა წარმატებით მოგვარდა.

ახლა შემადგენლობების საკითხი. ფიფამ ნება დართო გუნდებს ბრაზილიას 23 ფეხბურთელის შემადგენლობით ესტუმრონ, ოღონდ ამის შესახებ განაცხადის საბოლოო ვადა ჩემპიონატის დაწყებამდე 10 დღით ადრე უნდა დაადგინონ. ცნობილია აგრეთვე, რომ 15 ნოემბრის შემდეგ შეძენილ მოთამაშეთა წარდგენა გუნდებს არ შეეძლებათ. კლუბები ჩემპიონატზე უნდა გამოცხადნენ არა უგვიანეს 2 იანვრისა. აქაც თითქმის ყველაფერი ნათელია.

ერთადერთი საფიქრალი, რომელიც ფერგიუსონს და მის შეგირდებს გასჩენიათ — ამინდია. ინგლისური ჰავა ყველას კარგად მოგეხსენებათ, მით უმეტეს, წლის ამ მონაკვეთში, რა თქმა უნდა, ალბიონის კლიმატს შეგუებულ ბრიტანელებს, ბრაზილიურ თბილ, ტენიან ჰავასთან შეგუება ძალიან გაუჭირდებათ. წელიწადის ამ პერიოდში სამხრეთ ამერიკაში, კონკრეტუად კი ბრაზილიაში, დაახლოებით 25-30 გრადუსი ჰაერის ტემპერატურა და მომატებული ტენიანობა აღინიშნება.

შეძლებენ კი მანჩესტერელები აკლიმატიზაციის გადატანას? მოკლედ, ნაახალწლევს დაველოდოთ და ყველაფერს საკუთარი თვალით ვიხილავთ.

ისე კი, ევროპის საკლუბო ფეხბურთის გასული სეზონის ჰეთ-თრიქის ავტორ „მანჩესტერ იუნაიტედს“ აქვს შანსი, კლუბის ისტორიაში კიდევ ერთი ლამაზი ფურცელი ჩაწეროს.



როი კინი

რაღა უნდა?..

ინგლისის ჩემპიონის, თასის მფლობელისა და ევროპის საკლუბო ფეხბურთის გასული სეზონის ტრიუმფატორის — „მანჩესტერ იუნაიტედის“ ირლანდიელმა კაპიტანმა როი კინმა ჯერჯერობით უარყო გავრცელებული ხმები იმის თაობაზე, თითქოს სეზონის ბოლოს, კლუბთან კონტრაქტის გასვლის შემდეგ, გუნდს დატოვებს და სხვას მოძებნის. ქალაქის გაზეთის, „მანჩესტერ ივნინგ ნიუსისთვის“ მიცემულ ინტერვიუში მან განაცხადა, რომ ძლიერ აფასებს თავის გუნდს და მის ყოველ წინადადებას გულდასმით განიხილავს, თუმც დაამატა, კლუბის ხელმძღვანელობამაც უნდა გაითვალისწინოს ჩემი მოთხოვნებიო. ამ არცთუ დამაჯერებელმა პასუხმა კლუბის დირექციასა და გულშემატკივრებს საყოყმანოდ გაუხადა საქმე. იმავე ინტერვიუში კინმა აღნიშნა, რომ სხვა კლუბებსაც მისცემს მასთან მოლაპარაკების შანსს, ოღონდ იმ პირობით, თუ ისინი მის ყველა პირობას შეასრულებენ. მოკლედ, იმ საღამოს კინს გადაჭრით არაფერი უთქვამს, ამიტომაც მისი მომავალი ჯერჯერობით ბურუსითაა მოცული.

სხვა კლუბებიდან ოფიციალური შეთავაზება კი 1 იანვრიდანაა მოსალოდნელი. ცნობისთვის: ეს ის თარიღია, რომლის შემდეგაც კლუბებს თავისუფალ აგენტებთან მოლაპარაკების წარმოების უფლება ეძლევათ. შეგახსენებთ იმასაც, რასაც ამბობდნენ 28 წლის ირლანდიელ ნახევარმცველზე - მისი გადაბირება რამდენიმე წამყვან ევროპულ კლუბს განუზრახავსო. მათ შორის ყველაზე ხშირად რომის „ლაციოს“, მილანის „ინტერს“ და მადრიდის „რეალს“ ასახელებდნენ.

საერთოდ კი უნდა ითქვას — როი კინს უდიდესი წვლილი მიუძღვის „მანჩესტერ იუნაიტედის“ ბოლოდროინდელ წარმატებებში.

კლუბის პრეზიდენტი მარტინ ედუარდსი ამას ნათლად ხედავს და ცდილობს, შეინარჩუნოს ფეხბურთელი. მას იმედი აქვს, რომ როი არ დატოვებს კლუბს, სადაც საუკეთესო პირობები აქვს შექმნილი.

ტოტენჰემი ლაუტერნს უჩივის

ხუთშაბათს, უეფას თასზე, „კაიზერსლაუტერნი“ „ტოტენჰემს“ მასპინძლობდა. პირველი შეხვედრა ინგლისელებს შინ 1:0 მოეგოთ. საპასუხო მატჩში 89-ე წუთამდე ყველაფერი მათდა სასიკეთოდ მიმდინარეობდა. ამ დროს გერმანელებმა გაიტანეს და ორი თამაშის ჯამში ანგარიში გათანაბრდა. სტუმრები დაიბნენ და ბოლო წუთზე ქარმა საკუთარ კარში შეაგდო. „ლაუტერნი“ შემდეგ ეტაპზე გავიდა.

ინგლისელებს თითქოს საყვედური არავისზე ეთქმოდათ — მატჩი ხომ ბოლო წუთში საკუთარი უნიათობით წააგეს. თუმცა არც ასე ყოფილა საქმე.

უეფას თასის გათამაშების დებულებაში წერია: „მასპინძელმა გუნდმა განაცხადი თამაშის დაწყებამდე 75 წუთით ადრე უნდა წარმოადგინოს, სტუმრებმა — 60 წუთით ადრე“.

აქ კი აი, რა მოხდა. ლონდონელებმა თავისი განაცხადი დათქმულ დროს წარადგინეს. ოტო რეჰაგელს, „ლაუტერნის“ მწვრთნელს კი უეშმაკია. მან ჯერ სტუმართა შემადგენლობას გადახედა და იქ დავიდ ჟინოლას გვარი ვერ იხილა. რეჰაგელი იქამდე ჟინოლასთან პერსონალურ მეურვედ მარტინ ვაგნერის მიჩენას ფიქრობდა. ჟინოლას არყოფნამ ვაგნერიც უფუნქციოდ დატოვა და ეს უკანასკნელი ბრაზილიელი თავდამსხმელით, რატინიოთი შეიცვალა. მასპინძლებმაც უეფას დელეგატს სწორედ ეს შეცვლილი განაცხადი ჩააბარეს.

გერმანელთა ზღვარგადასული (ქართული გაგებით) პუნქტუალობა ცნობილია. მათ არც ინგლისელები ჩამორჩნენ. წამზომი მოიმარჯვეს და ზემოთ აღწერილი დარღვევა დაფიქსირეს. ისიც იფიქრეს, ეგებ თამაში მოვიგოთ და მასპინძელთა მზაკვრობის საშკარაოზე წინასწარ გატანა არ ღირსო. მატჩის დასრულებას დაელოდნენ. შეხვედრა როცა დასრულდა — უსინდისოდ მოგვექცნენ და გვიშველეთო.

„ჰოსტსპურის“ მენეჯერმა ჯორჯ გრემმა თქვა: „ასე არაფერი გამოვა. მაგალითად, გერმანელებმა რომ შემადგენლობა შეცვალეს, მეც ხომ შემეძლო, მატჩის დაწყებამდე ხუთი წუთით ადრე მათი ახალი განაცხადით მესარგებლა და თავადაც მეეშმაკა. ვიმედოვნებ, უეფა დაფიქრდება და ისეთ გადაწყვეტილებას მიიღებს, რაც სამომავლოდ ასეთ რამეებს აღკვეთს“,

უეფაში განაცხადეს, სადისციპლინო კომისია ამ საკითხს განიხილავსო. ვნებათაღელვის დასაცხრომად კი დაუმატეს, შედეგის გაუქმებას ნუ ელოდებით, ბევრი-ბევრი „კაიზერსლაუტერნი“ სიტყვიერად გავაფრთხილოთ, ანდა მცირეოდენი ჯარიმა დავაკისროთო.

მავანი იტყვის: „ტოტენჰემი“ ბჭობდა, უეფა იცინოდაო.

გიორგი დარჯანია

ფეხბურთის რუკასთან

ესპანური მადრიდის „ატლეტიკოს“ პარაგვაელი ცენტრალური მცველი კარლოს გამარა კვირას პრიმერადივიზიონის მორიგ ტურში, „ნუმანსიას“ წინაალმდეგ გამართულ მატჩში დაშავდა და სავარაუდოა, რომ მინიმუმ ოთხი კვირა ველარ ითამაშებს. მომდევნო შეხვედრები კი მადრიდულ კლუბს ბილბაოს „ატლეტიკთან“, „დეპორტივოსა“ და „მალაგასთან“ უწევს. მოსალოდნელია, რომ გამარა უეფას თასის მატჩსაც გამოტოვებს, რომელშიც „ატლეტიკო“ გერმანულ „ვოლფსბურგს“ დაუპირისპირდება. კვირის მატჩში კიდევ ერთმა ატლეტიკელმა მიიღო ტრავმა. ეს არგენტინელი ხოსე ანტონიო შამოტია. იგი, ალბათ, 17 ნოემბერს არგენტინასა და ესპანეთს შორის გასამართ ამხანაგურ შეხვედრაში თავის ეროვნულ ნაკრებს ვერ დაეხმარება.

არგენტინული „ბოკა ხუნიორსის“ ფეხბურთელი როდოლფო არუაბარენა სეზონის დასასრულამდე ესპანეთის მეორე დივიზიონში მოასპარეზე „ვილიარეალში“ გადავა. იგი მეორე არგენტინელი ფეხბურთელი იქნება, რომელიც ამ კლუბს შეუერთდება. გასულ პარასკევს ესპანურმა გუნდმა იმავე „ბოკა ხუნიორსის“ კაპიტანი დიეგო კანგა 2,75 მილიონ დოლარად გადაიბირა.

ინგლისურმა „ნიუკასლ იუნაიტედმა“, შესაძლოა, ესპანურ „დეპორტივოსთან“ აწარმოოს მოლაპარაკება მცველის, როდრიგეს ჰელდერის გადაბირების თაობაზე. „ნიუკასლის“ თავკაცმა ბობი რობსონმა განაცხადა, რომ სურს, ფეხბურთელი თავის გუნდში მინიმუმ სეზონის ბოლომდე იხილოს. ინგლისური კლუბი იმედოვნებს, რომ მოახერხებს კიდეც ჰელდერის ინგლისში დატოვებას.

პოლონელმა თავდამსხმელმა რადოსლავ გილევიჩმა მძიმე ოპერაცია გადაიტანა და თავის კლუბს, ინსბრუკის „ტიროლს“ მინიმუმ წლის ბოლომდე ვერ დაეხმარება. გილევიჩმა, რომელმაც მიმდინარე სეზონში 11 გოლის გატანა მოახერხა, ტრავმა გასული ტურის მატჩში მიიღო, როდესაც ვენის რაპიდელი ოლივერ ფროინდი შეეჯახა.

განელი ფორვარდი ენტონი იებოა, რომელიც მიმდინარე სეზონში გერმანული „ჰამბურგის“ რიგებში ირიცხება, აცხადებს, რომ ძლიერ სურს, კარიერა ამერიკის შეერთებულ შტატებში გააგრძელოს. იებოა, რომელიც ადრე ფრანკფურტის „აინტრახტისა“ და „ლიდს იუნაიტედის“ ღირსებასაც იცავდა, ჟურნალისტებთან აცხადებს, რომ მისი აგენტი უკვე აწარმოებს მოლაპარაკებას აშშ-ს უმაღლესი საფეხბურთო ლიგის კლუბ „ნიუ იორკ მეტროსტარზთან“. ცნობისთვის, 33 წლის განელს „ჰამბურგთან“ კონტრაქტი მიმდინარე სეზონის ბოლოს უმთავრდება.

შოტლანდიის ნაკრებში დანაკლისია. ინგლისის წინააღმდეგ შეხვედრებში სქოთებს „სელტიკის“ ნახევარმცველი პოლ ლამბერტი ვერ დაეხმარება. „რეინჯერსი“ — „სელტიკის“ მატჩში ლამბერტი „რეინჯერ“ ალბერტცს შეეჯახა. შეტაკება იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ ფეხბურთელს წინა კბილები ჩამოსცვივდა. ექიმები შიშობდნენ, ლამბერტს ყბის მოტეხილობა არ ჰქონდესო. შოტლანდიელს ყბა კი გადაურჩა, მაგრამ ძლიერ ტკივილს გრძნობს, რის გამოც ფეხბურთს სამი კვირით ჩამოსცილდა. სქოთთა ნაკრების მწვრთნელის, კრეიგ ბრაუნის განცხადებით, ახლა მისი მთავარი თავსატეხი 34 წლის ყოფილი დორტმუნდელის შემცვლელის ძებნაა.

ჰოლანდიის ნაკრებისა და „რეინჯერსის“ ფეხბურთელი მიხაელ მოლსი სეზონის ბოლომდე იძულებით დაისვენებს. მიზეზი მუხლის სერიოზული ტრავმაა, რომელიც მოლსმა ოთხშაბათს ლიგაში „ბაიერნი“—„რეინჯერსის“ შეხვედრის დროს მიიღო. ფეხბურთელს სასწრაფო ოპერაცია გაუკეთეს. „მიხაელს ექვსიდან ცხრა თვემდე გაუცდება. ჩვენთვის მოლსის დაშავება, „სელტიკისთვის“ ლარსონის დაშავების ტოლფასია. ორივენი თავ-თავიანთი გუნდებისთვის ერთნაირ მალას ასრულებენ“ — აცხადებს „რეინჯერის“ მენეჯერი დიკ ადვოკატი. მოლსი „რეინჯერსისთვის“ მართლაც მძიმე დანაკარგია. 28 წლის თავდამსხმელი გლაზგოელებმა გასულ ივნისს „უტრეხტიდან“ 4 მილიონ ფუნტად შეიძინეს. ფეხბურთელს ჰოლანდიის ნაკრებში 7 მატჩი ჩაუტარებია, ხოლო მიმდინარე სეზონში შოტლანდიის ჩემპიონატში 10 გოლის გატანა მოასწრო.

უკრაინული კიევის „დინამოს“ კაპიტანი ალექსანდრ გოლოვკო ეროვნული ჩემპიონატის მორიგ ტურში მძიმედ დაშავდა. „დინამო“ თანაქალაქელ არმიელებს ხვდებოდა. უკვე მერვე წუთზე შეტაკების შედეგად ფეხბურთელმა მუხლი დაზიანა, იგი შეცვალეს. ვალერი ლობანოვსკის თანაშემწემ, ანატოლი დემიანენკომ უკრაინელ გულშემატკივრებს სამწუხარო ამბავი აცნობა: „ტრავმა მეტად სერიოზულია. გოლოვკოს ჭრილობაზე შვიდი ნაკერი დაადეს“. და ეს მაშინ ხდება, როდესაც უკრაინის ნაკრებს უმნიშვნელოვანესი შეხვედრა ელის სლოვენიელებთან. თუმცა ნაკრების მწვრთნელმა იოჟეფ საბომ გუნდის ქომაგებს ცოტაოდენი იმედი მაინც ჩაუსახა. მან განაცხადა: „მწამს, ექიმები ყველაფერს გააკეთებენ, რათა გოლოვკომ 13 ნოემბერს თამაში შეძლოს“. შეგახსენებთ, ამ დღეს უკრაინელები სლოვენიელებთან სტუმრობენ, საპასუხო შეხვედრა კი 17 ნოემბერს კიევში გაიმართება.

ნორვეგიულ „ბრანს“ ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს. ეს პოსტი ისლანდიელმა ტეიტურ ტორდარსონმა დაიკავა. იგი ნორვეგიაში ესტონეთიდან ჩავიდა, სადაც ამ ქვეყნის ეროვნულ ნაკრებს წვრთნიდა... ტორდარსონი კარგად იცნობს ნორვეგიულ ფეხბურთს. სხვადასხვა დროს იგი „ლილესტრიომისა“ და იმავე „ბრანის“ მენეჯერი გახლდათ. ისლანდიელის კონტრაქტი 2000 წლის იანვრიდან ამოქმედდება და სამწლიანია. ამ დროის განმავლობაში მწვრთნელი 1 მილიონ კრონს (126 ათასი დოლარი) და კლუბის მოგებიდან წილს მიიღებს. წლის დასაწყისში „ბრანის“ ფეხბურთელებმა უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღეს. კლუბს მძიმე ფინანსური მდგომარეობა ჰქონდა. ამიტომაც მოთამაშეები ერთხმად დათანხმდნენ ხელფასების 10 პროცენტით შემცირებას. წინა სეზონში „ბრანი“ ჩემპიონატში მესამე იყო. ამასთანავე კლუბი ქვეყნის თასის გათამაშების ფინალში გავიდა, სადაც „რუსენბორგთან“ წააგო.

შვედეთის წლის საუკეთესო ფეხბურთელად პრემიერლიგაში მოასპარეზე „სანდერლენდის“ ფეხბურთელი სტეფან შვარცი დასახელდა. 30 წლის შვარცი, რომელიც მიმდინარე წლის ივლისში 6,5 მილიონ დოლარად „ვალენსიადან“ გადავიდა ინგლისში, ახალ გუნდს მშვენივრად მოერგო და საკმაოდ წარმატებითაც ასპარეზობს. ჯერ კიდევ 16 წლისა იგი ლევერკუზენის „ბაიერის“ რიგებში ირიცხებოდა. მას „მალმიოს“, „ფიორენტინას“, „არსენალისა“ და „ბენფიკას“ მაისურაც მოურგია. გამოცდილმა შვარცმა პრიზი შვედი არბიტრის, ტომი სოდერბერგის ხელიდან მიიღო, ხოლო სამადლობელ სიტყვაში განაცხადა, რომ საუკეთესო მატჩები საკუთარი ქვეყნის რიგებში ჩაუტარებია. 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე, რომელშიც შვედებმა ნახევარფინალამდე მიაღწიეს, ნაკრების რიგებში შვარცმაც იასპარეზა, თუმც ბრაზილიელთა წინააღმდეგ ნახევარფინალური მატჩი დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა.

ავსტრიის ჩემპიონატის მატჩი „ბრეგენცსა“ და „ლუსტენაუს“ შორის უკვე მეორედ გადაიდო. მიზეზი თითქმის 12 საათიანი გადაუღებელი წვიმა გახლდათ. ეს შეხვედრა შაბათს, 6 ნოემბერს, უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ სამშაბათისთვის გადაიდო. ახლა კი 16 ნოემბრისათვის გეგმავენ.

ქვათა ღაღადი

ირანის ჩემპიონატში მორიგი ტურის მატჩი გაიმართა. ამ შეხვედრის მონაწილე გუნდების სახელწოდება იმდენად არ არის საინტერესო, რამდენადაც მატჩის დროს განვითარებული მოვლენები. თუმცა ცნობისათვის მაინც მოგახსენებთ, რომ ერთმანეთს „ფაირე სეპასი“ და თეერანის „ესტეგლალი“ ხვდებოდნენ. მატჩის დროს მაყურებელმა ერთმანეთს ქვების სროლა დაუწყეს, რაც მალე ხელჩართულ ბრძოლაში გადაიზარდა. შედეგად სტადიონზე 40 ათასი გულშემატკივრიდან ათეულობით ადამიანი დაშავდა, მათგან უმეტესი მცირეწლოვანი აღმოჩნდა. ჩხუბის მიზეზი შეხვედრის რეფერი გახლდათ, რომელმაც მინდვრიდან ორი „ესტეგლალის“ მოთამაშე გააძევა და ამისთვის კეფაში ქვა მიიღო. დაზიანდა პატარა ბიჭუნაც, რომელსაც ბურთი შეჩქონდა თამაშში. ჩხუბი და აყალმაყალი ქუჩაშიც გაგრძელდა. შედეგად, სტადიონთან მდგომი რამდენიმე ავტომობილიც დაზიანდა. განრისხებულ ფანთა დაშომშინებას პოლიცია ამაოდ ეცადა. თითო-ოროლა გალანძულს სამართალდამცავებს შორისაც შენიშნავდით.

გროზნოსთან ახლოს

რუსეთის ჩემპიონმა მოსკოვის „სპარტაკმა“ გამოთქვა სურვილი, რომ უეფას თასის მომავალი მატჩი „ლიდს იუნაიტედის“ წინააღმდეგ, რომელიც 25 ნოემბერსაა დაგეგმილი, დედაქალაქის ნაცვლად ვლადიკავკაზში გაიმართოს. ამის თაობაზე უეფაშიც კი აპირებენ წინადადების შეტანას. ვლადიკავკაზის 40 ათასიანი სტადიონი, რომელზეც თავის საშინაო მატჩებს „ალანია“ მართავს, უკვე ყოფილა რამდენიმე ევროტურნირის მატჩის მასპინძელი. ამ სარბიელზე თავად „ლივერპულსა“ და „გლაზგო რეინჯერსს“ უთამაშიათ.

წლის ამ პერიოდში ვლადიკავკაზში მოსკოვთან შედარებით გაცილებით ლმობიერი ამინდია და მატჩის გამართვის ძირითადი მოტივიც ეს გახლავთ. თუმცა, ახლა პრობლემა ის არის, რომ ქალაქი დაახლოებით 50 კილომეტრითაა დაშორებული ჩეჩნეთიდან და იქ რა სიტუაციაა, ყველამ კარგად იცის.

რუსეთის საფეხბურთო კავშირს წლის დასაწყისში, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის გამართვაც სურდა ვლადიკავკაზში, მაგრამ მაშინ, ქალაქის ბაზარში მძლავრი აფეთქება მოხდა, რომელმაც 50 ადამიანი იმსხვერპლა და, რაღა თქმა უნდა, იდეა აღარ განხორციელებულა.

ნიკა შუბლაძე

სამხრეთ ამერიკა

ფლამენგო (ბრაზილია) 4:0 ინდეპენდიენტე (არგენტინა)

1:0, 2:0 ლეონარდო მაჩადო (17, 55), 3:0 ფაბიო ბაიანო (20), 4:0 რომარიო (20)

სამხრეთ ამერიკაში მერკოსურის თასის მეოთხე ნახევარფინალისტის ვინაობა გაირკვა. ნახევარფინალის ბოლო საგზურს ბრაზილიური „ფლამენგო“ არგენტინულ „ინდეპენდიენტეს“ ეცილებოდა.

გუნდების პირველ შეხვედრაში ბრაზილიელებმა ბოლო 20 წუთი 9 კაცით ითამაშეს და 1:1 გაახერხეს.

საპასუხო მატჩში პოპულარულმა ბრაზილიურმა კლუბმა მეტოქეს შანსი არ დაუტოვა. თამაშის დებიუტშივე მაჩადომ, ბაიანომ და მიმქრალმა ვარსკვლავმა რომარიომ სამჯერ შეარხიეს არგენტინელთა კარის ბადე. მეორე ტაიმში „ინდეპენდიენტეს“ განადგურება პირველი გოლის ავტორმა მაჩადომ დაასრულა. ფლამენგომ 4:0 მოიგო და ნახევარფინალში ურუგვაის „პენიაროლს“ დაუპირისპირდება. მეორე ნახევარფინალში ერთმანეთს თასის ამჟამინდელი მფლობელი, ბრაზილიური „პალმეირასი“ და არგენტინული „სან ლორენსო“ დაუპირისპირდებიან.

REUTERS რიო დე ჟანეიროდან

არგენტინელი თავდამსხმელი დანიელ გრანიერო და ბრაზილიელი მცველი ჟუანი (№20) ბურთისთვის იბრძვიან

არგენტინა

მე-13 ტური: სან ლორენსო — ბელგრანო 1:0; ბოკა ხუნიორსი — ნიუელს ოლდ ბოიზი 2:1; ჩაკარიტა — ლანუსი 2:0; როსარიო სენტრალი — კოლონი 1:0; ხიმნასია ლა პლატა — ხიმნასია ხუხუი 2:0; ინსტიტუტო — ესტუდიანტესი 2:2; უნიონი — რივერ პლეიტი 1:2; ტალერესი — ველეს სარსფილდი 3:2; რასინგი — არგენტინოს ხუნიორსი 3:3, ფერო კარილი — ინდეპენდიენტე 0:2

რივერ პლეიტი	13	9	3	1	28:13	30
ბოკა ხუნიორსი	13	8	3	2	24:11	27
სან ლორენსო	13	8	3	2	23:12	27
ტალერესი	13	7	3	3	25:16	24
ველესი	13	6	5	2	18:9	23
ოსარიო	12	7	1	4	22:14	22
რასინგი	13	5	7	1	18:14	22
ჩაკარიტა	13	5	4	4	25:18	19
ინდეპენდიენტე	13	4	6	3	13:12	18
ლა პლატა	13	3	8	2	17:13	17
ლანუსი	13	5	2	6	16:21	17
ხუნიორსი	13	3	6	4	17:17	15
ესტუდიანტესი	13	4	3	6	18:24	15
უნიონი	13	4	2	7	13:18	14
ბელგრანო	13	3	5	5	14:21	14
კოლონი	13	3	4	6	15:20	13
ინსტიტუტო	12	2	6	4	14:19	12
ოლდ ბოიზი	13	2	4	7	13:18	10
ფერო კარილი	13	0	4	9	6:28	4
ხიმნასია ხუხუი	13	1	1	11	9:30	4

ბრაზილია

მე-20 ტური: კორინთიანსი — პონტე პრეტა 1:2; კურიტიბა — ჟუვენტუდე 1:1; ფლამენგო — სანტოსი 0:1; კრუზეირო — პარანა 5:2; სპორტ რესიფე — ვიტორია 1:1; გამა — პორტუგეზა 2:1; პალმეირასი — ბოტაფოგო 6:0; გუარანი — ატლეტიკო მინეირო 4:0; ბოტაფოგო რიბეირაო — ატლეტიკო პარანანსე 2:1

კორინთიანსი	20	13	2	5	46:29	41
კრუზეირო	20	12	5	3	43:29	41
ვასკუ და გამა	20	10	5	5	32:22	35
ვიტორია	20	10	4	6	31:30	34
პონტე პრეტა	20	10	4	6	23:16	34
გუარანი	20	10	3	7	31:21	33
სან პაულუ	20	10	2	8	34:25	32
პალმეირასი	20	8	7	5	36:22	31
მინეირო	20	9	3	8	37:30	30
ფლამენგო	20	9	2	9	29:30	29
სანტოსი	20	8	5	7	22:23	29
კურიტიბა	20	7	8	5	29:26	29
პარანანსე	20	8	4	8	33:30	28
გამა	20	7	4	9	24:29	25
ბოტაფოგო	20	7	2	11	22:37	23
პარანა	20	6	5	9	21:27	23
გრემიო	20	6	4	10	24:41	22
რიბეირაო	20	5	5	10	26:37	20
ინტერნასიონ.	20	5	4	11	18:28	19
ჟუვენტუდე	20	4	7	9	15:31	19
პორტუგეზა	20	4	5	11	25:29	17
სპორტ რესიფე	20	3	8	9	13:22	17

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 93 16 08

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია **საქტელეკომ პლუსი**
☎ 99 67 67, 98 30 20

სასამართლო — დღე შკანასკნელი

ესენი, გერმანიის დასავლეთით მდებარე ინდუსტრიული ქალაქ
9 ნოემბერი, 1999 წელი. სასამართლო ადგენს:
ანდრე ცავაცკის მიესაჯოს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.
ტობიას არნო რაიფშლაეგერს მიესაჯოს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.
ფრანკ რენგერს მიესაჯოს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.
კრისტოფერ რაუხს მიესაჯოს სამი წლით და ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა.

მოსამართლე რუდოლფ ესდერსის სიტყვიდან: „თქვენი დამოკიდებულება და ქცევა ნებისმიერი ცივილიზებული მოქალაქისთვის დაშაფეთრელი იყო. ბატონებო, ბრალდებულნი ურჩხულები არ გახლავან, მაგრამ იმ ავბედით დღეს ურჩხულებივით იქცეოდნენ.“

დანაშაული: 1998 წლის 21 ივნისს, მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის დროს, გერმანიისა და იუგოსლავიის ნაკრებების შეხვედრის დღეს, საფრანგეთის ქალაქ ლანსში, სადაც თამაში მიმდინარეობდა, ოთხმა მთვრალმა გერმანელმა ახალგაზრდამ განსაკუთრებული სისასტიკით სცემა ჟანდარმი დანიელ ნიველი. ბოროტმოქმედნი ლანსში თამაშისა და დანაშაულის დღეს ჩავიდნენ. ისინი მღეროდნენ საომარ სიმღერებს, რომელთა ტექსტებშიც იყო სიტყვები „ჩვენ ჩამოვედით, რათა ზიზღი, ზიზღი, ზიზღი ჩამოგიტანოთ.“ სასამართლოს მსვლელობისას ოთხივემ აღიარა, რომ ჟანდარმს დაარტყა, მაგრამ მათ შორის განსაკუთრებული სისასტიკე ანდრე ცავაცკიმ გამოიჩინა. მან უკვე ნაცემ და მიწაზე უმწეოდ დავარდნილ ადამიანს მისივე ცრემლმდენი გაზის बალონი მთელი ძალით ჩასცხო თავში. ამის გამო ცავაცკის დანაშაულს სასამართლო განიხილავდა, როგორც მკვლელობის მცდელობას.

დაზარალებულის მდგომარეობა: ოთხეულის მიერ დაუნდობლად ნაცემი და სასიკვდილოდ გამეტებული დანიელ ნიველი ექვსი კვირის განმავლობაში კომაში იყო. ცოცხლად გადარჩენის შემდეგ იგი ცალი თვალით ბრმაა, აზროვნების უნარი დაუქვეითდა, ხოლო 21 ივნისის ამბები არ ახსოვს.

ადვოკატთა იმედი: ოთხეულის ვექილები იმედოვნებდნენ, რომ სასამართლო ანგარიშს გაუწევდა მათი კლიენტების სიმთვრალეს. ისინი იმდენად დამთვრალიყვნენ, რომ ვერც აცნობიერებდნენ, რას აკეთებდნენ. მოსამართლე ესდერსმა ბრალდებულთა სიმთვრალე არგუმენტად არ მიიღო.

დაზარალებულის რეაქცია: განაჩენის გამოცხადების დროს დანიელ ნიველი სასამართლოს დარბაზში იჯდა, მაგრამ რეაქცია არ ჰქონია. მოგვიანებით მოეჩვენათ, რომ გაიღიმა.

ოჯახის რეაქცია: დანიელ ნიველის მეუღლემ, 40 წლის ლორეტმა განაჩენით გამოწვეული სიხარული ვერ დამალა. მოგვიანებით პრესკონფერენციაზე კი განაცხადა: „სასამართლო პროცესი ძალიან გაიწელა და ძნელი გადასატანი გახლდათ. კიდევ კარგი, ყველაფერი დასრულდა. ერთი ხანი ეჭვიც კი გამიჩნდა, რომ ბრალდებულებს სულაც გაანთავისუფლებდნენ“. გაიხარა ნიველის ვაჟმა, 17 წლის ვინსენმაც.

სხვათა რეაქცია: დანიელ ნიველის წარმომადგენელს, ჰარალდ ვოსტრის, განაჩენი მეტნაკლებად აკმაყოფილებს. ასევე ფიქრობს ანდრე ცავაცკის ვექილიც, რომელიც ნასიამოვნებია, რომ კლიენტი სამუდამო პატიმრობისგან იხსნა. გერმანიის საფეხბურთო კავშირის აზრით, სასამართლომ მილიონობით გერმანელ გულშემატკივარს ოთხეულის ნაცხები ჩირქი ჩამორეცხა.

გერმანია 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობისთვის იბრძვის.

მიხეილ სურგულაძე

REUTERS ესენიდან

დამნაშავენი: რაიფშლაეგერი, რენგერი, ცავაცკი (უკანა რიგში) და რაუხი (წინა რიგში, შუაში) ადვოკატებთან ერთად

იუჰანსონი დიდ ფულს დიდი ფულით ებრძვის

უეფას პრეზიდენტს, ლენარტ იუჰანსონს პარასკევს 70 წელი შეუსრულდა. თუმცა, როგორც ჩანს, მას ასაკთან ერთად პრობლემებიც ემატება (ცხადია, საფეხბურთო პრობლემები იგულისხმება, თორემ იუჰანსონი ჯანმრთელობას არ უჩივის).

გეხსომებათ, არც ისე დიდი ხნის წინ ერთმა სოლიდურმა კომპანიამ — „მედია პარტნერსმა“ ევროპის სუპერლიგის შექმნის იდეა წამოაყენა. ევროლიგაში კონტინენტის საუკეთესო კლუბებს უნდა ეასპარეზათ. შესაბამისად, ისინი თავიანთ ეროვნულ ჩემპიონატებსა და ევროთასებზე უარს იტყოდნენ. საქმე ძალიან დიდ ფულს ეხებოდა. სწორედ ზღაპრული თანხებით აპირებდა „მედია პარტნერსი“ ევროპული ფეხბურთის გრანდების მოთაფვლას.

უეფა შეშინდა. გეგმის განხორციელების შემთხვევაში ევროპული ფეხბურთის ყველაზე გემრიელ ლუკმას აღნიშნული კომპანია იგდებდა ხელთ, უეფა კი გაღარიბებული ეროვნული ჩემპიონატების და ფუნქციადაკარგული ევროთასების ამარა რჩებოდა. ფეხბურთის მამები ამას შეურიგდებოდნენ? ცხადია, არა. შედეგიც სწრაფად მივიღეთ: ჩემპიონთა ლიგა — გაზრდილი ფორმატით და გაზრდილი ჰონორარებით. უეფამ 800 მილიონი შვეიცარიული ფრანკი დახარჯა, რათა ევროპის სუპერკლუბები თავის დაქვემდებარებაში დაეტოვებინა.

იუჰანსონს რომ მებრძოლი სული აქვს, რა ხანია, ცნობილია. თუნდაც „ბოსმანია“ ავიღოთ. რამდენიმე წლის წინ ევროკომისიის მიერ მიღებულ წესს ეს კაცი დღემდე ებრძვის. მისმა მონდომებამ შედეგი გამოიღო. ევროკავშირში განაცხადეს, „ბოსმანის წესს“ უახლოეს მომავალში გადავხედავთო.

თითქოს ორ ფრონტზე ბრძოლა არ ეყოფოდა, იუჰანსონს ახალი თავსატეხი გამოუჩნდა. მის ახალ პრობლემას ზეპ ბლატერი ჰქვია. გეხსომებათ, ფიფას ახალმა პრეზიდენტმა საფეხბურთო სამყაროს ამცნო, მსოფლიოს ჩემპიონატების ორ წელიწადში ერთხელ გამართვა მსურსო.

‘იუჰანსონს ბლატერთან ფიფას პრეზიდენტობისთვის წაგებული ბრძოლა არ დავიწყებია და ახალი იდეის ავტორს უკბინა: „ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატები ორი უდიდესი მოვლენაა და მათი დამთხვევა რა უბედურებაა. ეს იმას ჰგავს, შობის და აღდგომის დღესასწაულები ერთმანეთს რომ დავამთხვიოთ“.

იუჰანსონი უეფას სათავეში 2002 წლამდე იქნება. როგორც უკვე ვთქვით, ჯანმრთელობას არ უჩივის და საბრძოლო სულისკვეთებაც საკმარისზე მეტი აქვს. ვნახოთ, რას გააკეთებს.

ლენარტ იუჰანსონი

გიორგი დარჯანია

სარბიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

საფრანგეთი. I დივიზიონი. XV ტური

10 ნოემბერი

004	ნანსი — მონაკო	3,5	2,8	2,0
005	ლე ავრი — ბორდო	3,3	2,8	2,1
006	სენტ ეტიენი — ლიონი	2,6	2,8	2,5
007	ლანსი — პსჟ	2,6	2,8	2,5
008	ბასტია — მეცი	1,9	2,8	3,8
009	მონპელიე — რენი	2,3	2,8	2,9
010	მარსელი — ნანტი	1,5	3,5	4,0
011	ოსერი — ტრუა	1,4	3,5	7,0
	0:1	2,0	3,2	2,3

ბელგია. XIII ტური

10 ნოემბერი

022	ბრიუგე — მუსკრონი	1,3	4,0	7,5
	0:1	1,9	3,2	2,6
023	სენტ ტრუიდენი — შარლერუა	2,3	2,9	2,8
024	ლოკერენი — სტანდარდი	2,6	2,9	2,4
025	გენკი — ბეერსხოტი	1,8	3,0	4,0
026	აალსტი — გენტი	2,6	2,9	2,4
027	ანდერლეხტი — ვესტერლო	1,2	5,0	9,0
	0:1	1,7	3,2	3,2
028	ჰარელბეკე — მეხელენი	2,2	2,9	3,0
029	ლომელი — ბეევერენი	1,7	3,0	4,7
030	გეელი — ლიერსი	4,4	3,1	1,7

უკრაინა. გადადებული მატჩები

11 ნოემბერი

031	ზაპოროჟიე — დინამო	5,0	2,9	1,7
032	ცსკა — დნიპრო	1,7	3,0	4,7
033	მარიუპოლი — შახტარი	3,1	2,8	2,2

ესპანეთი. თასის II ეტაპი. I წრე

10 ნოემბერი

040	ოსასუნა — სევილია	2,4	2,8	2,7
041	კორდობა — ესპანიოლი	2,9	2,8	2,3
042	სალამანკა — რაიო ვალეკანო	2,4	2,9	2,6
043	უელვა — სარაგოსა	4,7	3,0	1,7
044	ლოგრონიესი — სოსიედადი	3,4	2,9	2,0
045	ესტრემადურა — ალავესი	2,3	2,8	2,9
046	კომპოსტელა — ნუმანსია	2,3	2,9	2,8
047	ვილიარეალი — ლეგანესი	1,4	3,5	7,0
048	ბადახოსი — ლას პალმასი	2,4	2,9	2,6
049	ეიბარი — ტოლედო	1,4	3,5	7,0

პოლონეთი. თასის მერვედფინალი

10 ნოემბერი

050	პლოცკი — პოლონია	2,7	2,8	2,4
051	ოდრა — ლეგია	3,0	2,9	2,2
052	ლკს — ამიცა	2,5	2,9	2,5

ამხანაგური მატჩი

11 ნოემბერი

501	ბოსნია — გერმანია	5,6	3,4	1,5

კალათბურთი. NBA

10 ნოემბერი

806	ბოსტონი — დეტროიტი	1,6	12,0	1,8
807	ნიუ ჯერსი — ფინიქსი	1,7	12,0	1,7
808	ვაშინგტონი — სიეტლი	1,9	12,0	1,55
809	ორლანდო — ფილადელფია	1,4	12,0	2,3
810	შარლოტი — მილუოკი	1,7	12,0	1,7
811	ჰიუსტონი — ლეიკერსი	1,8	12,0	1,6
812	კლიპერსი — სან ანტონიო	3,5	12,0	1,2
813	ვანკუვერი — ატლანტა	2,0	12,0	1,5

11 ნოემბერი

814	მაიამი — დალასი	1,1	12,0	5,0
815	კლივლენდი — სიეტლი	1,5	12,0	2,0
816	დეტროიტი — ტორონტო	1,4	12,0	2,3
817	ინდიანა — ორლანდო	1,25	12,0	3,1
818	მინესოტა — ნიუ იორკი	1,7	12,0	1,7

კალათბურთი. ევროლიგა. VII ტური

10 ნოემბერი

819	ეფესი (თურქეთი) — ფორტიტუდო (იტალია)	2,0	12,0	1,5
820	შოლე (საფრანგეთი) — პაოკ (საბერძნეთი)	1,9	12,0	1,55
821	ვილერბანი (საფრანგეთი) — ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი)	1,7	12,0	1,7
822	ბუდუჩნოსტი (იუგოსლავია) — ციბონა (ხორვატია)	1,7	12,0	1,7
823	ულქერი (თურქეთი) — ვარეზე (იტალია)	1,5	12,0	2,0
824	პივოვარნა (სლოვენია) — მაკაბი (ისრაელი)	2,0	12,0	1,5
825	ჟალგირისი (ლიტვა) — რეალი (ესპანეთი)	1,7	12,0	1,7
826	კახა სან ფერნანდო (ესპანეთი) — პო ორტეზი (საფრანგეთი)	1,25	12,0	3,1
827	ბენეტონი (იტალია) — ბარსელონა (ესპანეთი)	1,5	12,0	2,0
828	ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) — ცსკა (რუსეთი)	1,7	12,0	1,7
829	ოლიმპია (სლოვენია) — ალბა (გერმანია)	1,15	12,0	4,0
830	პანათინაიკოსი (საბერძნეთი) — თოფაში (თურქეთი)	1,1	12,0	5,0

ჰოკეი. NHL

10 ნოემბერი

837	ბუფალო — ბოსტონი	1,9	4,4	2,1
838	რეინჯერსი — ოტავა	2,1	4,4	1,9
839	პიტსბურგი — მონრეალი	1,4	4,4	3,4
840	კაროლინა — აილენდერსი	1,4	4,4	3,4
841	ფლორიდა — ატლანტა	1,4	4,4	3,4
842	ჩიკაგო — ნეშვილი	1,7	4,4	2,4
843	დალასი — დეტროიტი	2,0	4,4	2,0
844	კალგარი — სან ხოსე	2,1	4,4	1,9
845	ფინიქსი — ედმონტონი	1,4	4,4	3,4

11 ნოემბერი

846	ბოსტონი — ტორონტო	2,0	4,4	2,0
847	ოტავა — ნეშვილი	1,3	4,4	4,0
848	ვაშინგტონი — რეინჯერსი	2,0	4,4	2,0
849	მონრეალი — ანაჰაიმი	2,0	4,4	2,0
850	ფილადელფია — კაროლინა	1,3	4,4	4,0
851	ლოს ანჯელესი — კოლორადო	1,8	4,4	2,2

ჩემპიონთა თასის მოგება

	თასის მოგება	ჯგ. I ადგ.	ჯგ. გასვლა
ბარსელონა	2,5	1,05	1,02
ლაციო	2,5	1,4	1,15
მანჩესტერი	2,5	1,4	1,1
ჩელსი	3,5	1,9	1,25
ბაიერნი	6,0	1,8	1,3
ფიორენტინა	6,0	2,0	1,5
რეალი	6,0	1,8	1,3
ვალენსია	10,0	4,0	2,5
მარსელი	10,0	4,0	2,8
ბორდო	15,0	7,0	3,5
ჰერტა	15,0	4,5	2,2
პორტუ	20,0	4,5	2,3
დინამო	20,0	3,5	2,2
ფეიენოორდი	20,0	8,0	5,0
სპარტა	30,0	7,0	3,2
რუსენბორგი	30,0	8,0	4,0

რომელი ქვეყნის გუნდი მოიგებს

ინგლისი	2,0
იტალია	2,0
ესპანეთი	2,0
გერმანია	5,0
საფრანგეთი	8,0
პორტუგალია	20,0
უკრაინა	20,0
ჰოლანდია	20,0
ჩეხეთი	30,0
ნორვეგია	30,0

უეფას თასის მოგება

იუვენტუსი	2,5	კაიზერსლაუტერნი	15,0
არსენალი	2,5	მალიორკა	15,0
რომა	3,0	ლიონი	15,0
პარმა	4,0	რეინჯერსი	20,0
ლიდსი	4,0	ვოლფსბურგი	20,0
დორტმუნდი	7,0	ნანტი	30,0
ბოლონია	7,0	ლანსი	30,0
უდინეზე	8,0	ბენფიკა	30,0
დეპორტივო	8,0	სპარტაკი	50,0
სელტა	8,0	გალათასარაი	50,0
აიაქსი	10,0	სლავია	50,0
ნიუკასლი	10,0	ოლიმპიაკოსი	50,0
ლევერკუზენი	10,0	პანათინაიკოსი	50,0
მონაკო	10,0	აეკ	50,0
ატლეტიკო	10,0	სტიაუა	50,0
ვერდერი	15,0	შტურმი	50,0

რომელი ქვეყნის გუნდი მოიგებს

იტალია	1,5
ინგლისი	2,0
გერმანია	6,0
ესპანეთი	6,0
საფრანგეთი	8,0
ჰოლანდია	10,0
შოტლანდია	20,0
პორტუგალია	30,0
საბერძნეთი	40,0
რუსეთი	50,0
თურქეთი	50,0
ჩეხეთი	50,0
რუმინეთი	50,0
ავსტრია	50,0

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

გათამაშების წესები

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, ტოტალიზატორ „სარბიელში" მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასვწრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება. შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასნორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

რეფერენდუმი

საქართველოს საუკუნის სპორტსმენები

XX საუკუნის საქართველოს ათეული

სამი კითხვა ლაურეატს

1. დაგვახასიათეთ თქვენი სპორტული კარიერის ყველაზე სახიხარული და ყველაზე გულდასაწყვეტი ეპიზოდები.

2. ქართული სპორტი კრიზისშია. რაში ხედავთ გამოსავალს?

3. ვინ მიგაჩნიათ საქართველოს XX საუკუნის სამ საუკეთესო სპორტსმენად?

გალინა შარაბიძე

ტანვარჯიში

დაიბადა 1929 წლის 29 დეკემბერს მოსკოვში. სპორტის დამსახურებული ოსტატი. სსრკ ჩემპიონი დვირზე ვარჯიშში (1952), მსოფლიოს ჩემპიონი გუნდურ ასპარეზობაში (1954) და ვერცხლის პრიზიორი საგნით გუნდურ ვარჯიშში (1954), ჰელსინკის 1952 წლის ოლიმპიადის ჩემპიონი გუნდურ ასპარეზობაში, ვერცხლის პრიზიორი საგნით გუნდურ ვარჯიშში, ბრინჯაოსი — ბჯენით ხტომებში.

1. 1952 წელს ჰელსინკში ოლიმპიადაზე რომ გავიმარჯვე, ეს მართლაც დაუვიწყარი და სხვათაგან გამორჩეული წარმატება იყო. ოლიმპიური ჩემპიონობა ხომ ყველა სპორტსმენისთვის საოცნებოა. ეს სპორტული მოღვაწეობის მწვერვალია და ამაზე მეტად რა უნდა გამხარებოდა. ყველაზე მძიმე კი ალბათ სპორტული კარიერის დასასრული იყო. ესეც ყველა სპორტსმენისთვის გამორჩეული, ოღონდ რთული მომენტია.

2. ქვეყანაში უნდა შეიქმნას სათანადო პირობები სპორტსმენთა მოსამზადებლად. ისეთი, როგორიც ადრე იყო. კრიზისიდან მხოლოდ მაშინ თუ გამოვა ქართული სპორტი. ეს კი პირდაპირ კავშირშია ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებასთან. სიცივეში, სიბნელეში უხელფასო მწვრთნელმა როგორ უნდა ავარჯიშოს ბავშვები! თუ ამ პრობლემებს არ მოვევლება, ჩვენთან სპორტი ვერ აღორძინდება.

3. ვიქტორ სანეევი, გივი კარტოზია, ლევან თედიაშვილი, ნონა გაფრინდაშვილი, ნინო სალუქვაძე, ნინო დუმბაძე

დონა ჯოვანა დაქვრივდა
დედოფალი დაობლდა
სპორტს კი ბურჯთაგანი გამოეცალა



პრიმო ნებიოლო მონაკოში, იაიფ-ის შტაბ-ბინაში

ᲓᲦᲔᲡ ტურინში მიწას მიაბარებენ თანამედროვე სპორტის ერთ-ერთ უთვალსაჩინოეს ბურჯთაგანს, პრიმო ნებიოლოს, რომელიც 18 წლის განმავლობაში მართავდა მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციას (იაიფ).

გუშინ რომში, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩმა სიკვდილის შემდეგ ოქროს ოლიმპიური ორდენით დაჯილდოვა პრიმო ნებიოლო. სოკ-ის ეს უმაღლესი ჯილდო მან დაქვრივებულ ჯოვანა ნებიოლოს გადასცა.

„ნებიოლოსთვის ოლიმპიური ორდენის მიკუთვნება განაპირობა ოლიმპიურ მოძრაობასა და საერთოდ მსოფლიოს სპორტის წინაშე მისმა უდიდესმა წვლილმა“ — იტყობინება იაიფ-ი.

დღეს ნებიოლოს ცხედარს დაასვენებენ მშობლიური ტურინის ჩიეზა დელა კრონეტას ტაძარში, სადაც გაიმართება გამოსათხოვარი პანაშვიდი.

კვირას, გარდაცვალების დღეს, როგორც მისი პირადი ექიმი დარიო პეტრუჩი ამბობს, პრიმო ნებიოლო „ფიატის“ საპატიო თავმჯდომარეს ანგელს უნდა შეხვედროდა, რათა 2006 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებული საკითხები მოეგვარებინა.

სამწუხაროდ, პრიმოს ეს არ დასცალდა. მან თავი შეუძლოდ იგრძნო, გულის უკმარისობა დაემართა და უმალ გაქანეს მატერ დეის კლინიკაში, სადაც ექიმებისა და ცოლის ხელში სული დალია.

პრიმო ნებიოლოს არ დასცალდა არც ზამთრის ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებული საკითხების ბოლომდე მიყვანა და არც მრავალი სხვა ჩანაფიქრის განხორციელება, თუმცა ამ 76 წლის კაცმა რაც მოსწრო, არა ერთსა და ორს ეყოფოდა.

— ის იყო პიროვნება, რომელმაც მსოფლიოს სპორტში წარუშლელი კვალი დატოვა — ამბობს იაიფის მდივანი ჯორჯო რეინერი — როცა კიდევ ერთხელ თვალს გადავავლებთ თანამედროვე მსოფლიოს სპორტის ისტორიას, იქ დავინახავთ ნებიოლოს უდიდეს ხნულს, რომელიც მან ამ სფეროში დატოვა. ნებიოლო თავს დაგვამახსოვრებს თავისი ნაკლოვანებებითაც, თუმცა იგი არასოდეს გახვეულა სკანდალში, რომელიც მის მრავალ სამოღვაწეო სფეროში დროდადრო იჩენდა თავს.

მართლაც, ეს კაცი წინააღმდეგობებით აღსავსე პიროვნება იყო. მას ხშირად აკრიტიკებდნენ თვითნებობისა და პირდაპირობის გამო. მაგრამ ხომ გაგიგონიათ, ვინც რა უნდა თქვასო...

და ისიც აკეთებდა თავის საქმეს სპორტის სფეროში, სადაც მან კარიერა, როგორც ადმინისტრატორმა, დაიწყო. ტურინში, სადაც იგი დაიბადა 1923 წლის 14 ივლისს.

ნებიოლო ახალგაზრდობაში სწავლობდა სამართლისა და პოლიტიკურ მეცნიერებებს, მეორე მსოფლიო ომის დროს იგი იტალიის ეროვნული არმიის რიგებში მოხალისედ იბრძოდა, მანამ, სანამ პარტიზანების მოძრაობას შეუერთდებოდა, 1944 წელს კი გერმანელებმა ტყვედ აიყვანეს, რასაც მალევე დააღწია თავი.

დოქტორი ნებიოლო ფლობდა იტალიურ, ესპანურ, ინგლისურ, ფრანგულ და პორტუგალიურ ენებს; მიღებული ჰქონდა უამრავი საპატიო ჯილდო და მთელს მძლეოსნურ სამყაროში თავისი მმართველობისას არაერთი სიახლე დანერგა: მსოფლიოს ჩემპიონატების ოთხის ნაცვლად ყოველ ორ წელიწადში ჩატარება; 1997 წლის მსოფლიოს ჩემპიონატიდან საპრიზო ფონდის დაწესება, ევროპაში პრესტიჟული ოქროს ლიგის დაარსება...

იაიფ-ის პრეზიდენტის სავარძლის პოსტზე მოსვლით ნებიოლომ სხვაც მრავალი კარდინალური ცვლილებები განახორციელა, რამაც ეს ორგანიზაცია ერთ-ერთ ყველაზე დაწინაურებულ სპორტულ ფედერაციად აქცია და თავად მძლეოსნობის პრესტიჟიც ერთი-ორად აამაღლა.

აღსანიშნავია, რომ „სპორტის დედოფლის“ სათავეში მოსვლისას იაიფის წლიური ბიუჯეტი სულ რაღაც 50 ათასი ამერიკულ დოლარი იყო, დღეს კი ეს 40 მილიონი დოლარია, რაც განპირობებულია სატელევიზიო და სპონსორული შემოსავლებით, რაც ცხადია, ნებიოლოს მარიფათიანობაზეც მიუთითებს.

ნებიოლომ დიდი როლი ითამაშა სტუდენტური სპორტის საერთაშორისო ფედერაციის შექმნაში (ფისუ), რომელსაც 1961 წლიდან გარდაცვალებამდე მეთაურობდა. ასევე გარდაცვალებამდე მეთაურობდა ზაფხულის ოლიმპიური თამაშების ფედერაციას.

1992 წელს იგი „განსაკუთრებული დამსახურებებისთვის“, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრად მიიღეს.

პრიმო ნებიოლო თავის დროზე იყო იტალიის მძლეოსანთა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტიც, რომელსაც 1989 წელს გამოეთხოვა.

აი, აგვისტოში კი კიდევ ოთხი წლით აირჩიეს იაიფის პრეზიდენტად, სადაც მრავალი წლის განმავლობაში მედგრად იცავდა ძალაუფლებას და არ იკარებდა მემკვიდრეს.

პრიმო ნებიოლო თავისი მარიფათით წლის დასაწყისში დიდად დაეხმარა ფავის მშობლიურ ქალაქს 2006 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის უფლების მოპოვებაში მაშინ, როდესაც ფავორიტად შვეიცარიის სიონი უფრო ითვლებოდა.

და მაშინ, გასულ კვირას, როცა პრიმო ნებიოლო „ფიატის“ საპატიო პრეზიდენტთან სწორედ ტურინის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებული საკითხების მოსაგვარებლად ემზადებოდა, მოულოდნელად მას გულმა უმტყუნა.

რაც შეეხება ნებიოლოს, როგორც სპორტსმენს, იგი ვარჯიშობდა სიგრძეზე ხტომაში, სადაც თავის შესაძლებლობებზე ხშირად იუმორითაც საუბრობდა.

გიგა გურასაშვილი

პრიმო ნებიოლო და ფიდელ კასტრო. ასე იყო, ნებიოლო დიქტატორებთანაც პოულობდა საერთო ენას და დემოკრატებთანაც

პრიმო ნებიოლო თავის ცოლთან, ჯოვანასთან ერთად რომში, საკუთარ მამულში

სლოვენია

IX ტური

ლოკა კავა — კრკა 69:78, ჰელიოსი — ზაგორიე 89:73, სავინსკი — მარიბორი 84:62, ტრიგლავი — პივოვარნა 75:79, კრაშკი ზიდარი — როგლა ატრასი 74:90

ოლიმპია 74:37 სლოვანი

ოლიმპია: ბეჩეროვიჩი (9), გოლემაცი (6), მილაჩიჩი (9), დუშჩაკი (9), ზადრავეცი (8), ბრეეეცი (3), ზდოვეცი (10), კოტნიკი (12), მილიჩი (8)

სლოვანი: ნოვაკი (12), ლაკოვიჩი (4), ჟაკელი (2), შინკოვეცი, **უბრეხლიძე** (2), ჯურკოვიჩი (7), კოვაჩი (2), პავიჩი (1), ბოისა (6), შუშტარშიჩი, **ცძიტიშვილი** (1)

გასაგებია, რომ ლიუბლიანის „ოლიმპია“ ძალიან ძლიერი გუნდია და ევროპის საკლუბო ელიტაშიც გასულია. გასაგებია, რომ ლიუბლიანის „სლოვანი“ ახალგაზრდული გუნდია და „ოლიმპიასთან“ თანასწორად პაექრობა არ შეუძლია. გაუგებარია, როგორ უნდა აეცილო 49 სროლიდან 39. ლიუბლიანურ დერბიში „სლოვანმა“ ამგვარ შედეგს „მიაღწია“ და მატჩში 37 ქულა დააგროვა. ეს კი სლოვენიის ჩემპიონატების ანტირეკორდის გამეორება გახლავთ. ამდენივე ქულა 1997-98 წლების სეზონში... იმავე „სლოვანმა“ გააკეთა... იმავე „ოლიმპიას“ წინააღმდეგ, ოღონდ მაშინ ფავორიტებმა 80:37 მოიგეს. ამაზე ნაკლები კი ჯერ არავის ჩაუგდია.

„სლოვანი“ წაგებას თავიდანვე შეგუებული იყო და მეტოქეს ყველაფერი დაუთმო. „ოლიმპიამ“ დიდი უპირატესობით მოიგო ფარი (46:23) და პასები (7:1), სამაგიეროდ, ბურთის დაკარგვაში უპირატესობა „სლოვანის“ მხარეს იყო (19:9). პირველი ტაიმი 36:18 დასრულდა, იოლი მისახვედრია, ვის სასარგებლოდაც.

„სლოვანის“ რიგებში სამივე ქართველმა ითამაშა. მათგან ყველაზე დიდხანს, 30 წუთი, მოედანზე ვლადიმერ ბოისა იყო. მან 6 ქულა და 3 მოხსნა გააკეთა. ნიკა ცქიტიშვილმა და დავით უგრეხელიძემ 15-15 წუთი ითამაშეს. უგრეხელიძის ანგარიშზე 2 ქულა და 3 მოხსნაა, ცქიტიშვილმა კი თითო ქულა და მოხსნა მიითვალა. დათომ ხუთი პერსონალური მიიღო, ნიკამ — ოთხი.

„ოლიმპიას“ კი არ ჰყავდა ლიტველი შარუნას იასიკევიჩუსი (დაასვენეს) და ხორვატი ცენტრი ემილიო კოვაჩიჩი, რომელიც მუხლის ტრავმის გამო ალბათ, ამ სეზონში ველარ ითამაშებს. მიუხედავად ამისა, ლიდერს გამარჯვება არ გასჭირვებია. ამის უპირველესი მიზეზი კი „სლოვანის“ ცუდი თამაში იყო.

მომდევნო ტურში „სლოვანი“ შინ შეხვდება დომზალეს „ჰელიოსს“. დღეს კი ლიუბლიანელები კორაჩის თასის დასკვნით მატჩში ათენის „ნიარ ისტს“ უმასპინძლებენ. ეს შეხვედრა აღარაფერს წყვეტს, რადგან „სლოვანს“ უკვე დაკარგული აქვს მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსი. ეს უფლება „ნიარ ისტმა“ და იზმირის „ქარშიაქამ“ მოიპოვეს.

ოლიმპია	9	9	0	804:530 18
პივოვარნა	9	8	1	782:643 17
კრკა	9	8	1	701:579 17
ტრიგლავი	9	6	3	651:667 15
სლოვანი	9	5	4	603:589 14
სავინსკი	9	4	5	656:706 13
ზაგორიე	9	4	5	656:706 13
მარიბორი	9	4	5	621:699 13
ჰელიოსი	9	3	6	669:767 12
როგლა ატრასი	9	2	7	623:711 11
ლოკა კავა	9	1	8	589:707 10
კრაშკი ზიდარი	9	0	9	588:717 9

ვაქირავებ ან ვყიდი

გარემონტებულ 1-ოთახიან იზოლირებულ ბინას ტელეფონით და ბუნებრივი აირით

სარაჯიშვილის მეტროსთან

☎ 60 21 23

ჯაფარიძე ჟინაზიოს ეჩვევა

საქართველოს კალათბურთეელთა ნაკრებისა და რუსთავის „აზოტის“ აწ უკვე ყოფილი ცენტრი **ირაკლი ჯაფარიძე** ამ თვენახევრის წინ პორტუგალიას გაემგზავრა, იქაურ უმაღლესი ლიგის გუნდ „ჟინაზიოს“ გაესინჯა და სულ მალე ევროპის განაპირელებს კონტრაქტიც გაუფორმა სეზონის ბოლომდე. ქართველი ლეგიონერი კარგად მოეწყო პორტუგალიაში, „სარბიელთან“ ამასწინანდელი საუბრისას კმაყოფილებას არც მალავდა და ამბობდა, საქმეები რიგზეა, რაც მოვითხოვე, ყველაფერი შემისრულეს, ახლა მთავარი ჩემი კარგად თამაშეაო.

აი, „ჟინაზიოს“ საქმეები კი მართლაც ვერ აეწყო კარგად. ჩემპიონატში გუნდი ბოლოსწინა, მეთორმეტე ადგილზეა და ალბათ, ჯაფარიძის კლუბის კრიზისზე საუბარიც ლიგიკური იქნება, თუმცა თავად ირაკლი ყოველივეს დროებითად მიიჩნევს და სულ მალე ყველაფერი გამოსწორდებაო, ამბობს.

გუშინ ჯაფარას შინ, პორტუგალიაში დავუკავშირდით და თავდაპირველად „ჟინაზიოს“ წარუმატებლობებზე ჩამოვუგდეთ სიტყვა:

— ბოლო სამი თამაშია, ზედიზედ ვმარცხდებით, მაგრამ არ იფიქროთ, რომ გუნდი პანიკამ მოიცვა. ყველაფერი უიღბლობას დაბრალდა. ჯერ ერთი, კალენდარში არ გაგვიმართლა, უკანასკნელ სამივე შეხვედრაში ძალიან ძლიერ გუნდებთან მოგვიწია თამაშმა, ახლაც, შემდეგ ტურში, ჩემპიონატის ლიდერ „პორტუს“ ვმასპინძლობთ. და მეორეც, სამივე მატჩი ბოლო წამებზეა დავთმეთ, თანაბარ ბრძოლაში. ერთი სიტყვით, საშინლად არ გვიმართლებდა.

— ისე გამოდის, რომ მხოლოდ უიღბლობა ყოფილა „ჟინაზიოს“ აუტსაიდერობის მიზეზი, სხვა მხრივ ყველაფერი რიგზეა გუნდში?

— არის კიდევ რაღაც პრობლემები და სულ მალე ამასაც მოვევლება.

ირაკლი ჯაფარიძე

— კონკრეტულად რას გულისხმობთ?

— კარგი გამთამაშებელი გვესაჭიროება. ამ პოზიციაზე აქამდე ერთი შვედი თამაშობდა, რომელსაც დღე-დღეზე გაუშვებენ გუნდიდან. ამბობენ, ახლა ესპანელი ჩამოჰყავთ, ძლიერი კალათბურთელიაო. თუ არ ვცდები, ეს ერთ კვირაში უნდა მოხდეს.

— კი მაგრამ, თქვენს გუნდში ხომ პორტუგალიის ნაკრების უკანასკნელიც თამაშობს, ვერც ის ახერხებს ბურთის გათამაშებას?

— სხვა რა გზაა, გამთამაშებლობას ახლა სწორედ მას მიანდობენ-ხოლმე, მაგრამ იგი უფრო მსროლელია და ამ პოზიციიდან მეტი სარგებელის მოტანა შეუძლია. აი, ჩამოვა ესპანელი და ვფიქრობ, „ჟინაზიოს“ თამაში უფრო დალაგებული გახდება.

— თავად ხშირად გათამაშებენ მწვრთნელები?

— თითქმის ყოველთვის, მაგრამ არცთუ ბევრს. ნელ-ნელა მაგუებენ პორტუგალიურ კალათბურთს, თამაშიდან თამაშამდე უფრო ხშირად მიწევს მოედანზე ყოფნა. უკანასკნელ ტურში ცოტა დიდხანს მთამაშეს და ხუთი ქულაც გავაკეთე. ჩემი თავით მეც კმაყოფილი დავრჩი და მწვრთნელებმაც შემაქეს.

— ძირითადად რომელ პოზიციაზე გაყენებენ?

— უფრო ხშირად თავდამსხმელად მთამაშებენ, ხანდახან ცენტრადაც, გაჩნია, რომელი რგოლისთვის უფრო საჭირო ვიქნები.

— მანდაური ვარჯიშებს ადვილად აუღიეთ ალღო?

— თავიდან ცოტა გამიჭირდა, ახლა ეს პრობლემაც მოიხსნა, ყველაფერი მაინც შეჩვევაზეა, ღღეში ორი ვარჯიში რომ არის დანიშნული, სხვა რა გზა გაქვს, უნდა ივარჯიშო. აქ რომც გინდოდეს, საქმეს ზერელედ ვერ გააკეთებ, ყოველ ნაბიჯზე გაკვირდებიან.

— ისე, კარგად შეეწყვეთ პორტუგალიას?

— არც მოველოდი, ისე მიმიღეს, გულიანი ხალხი ჩანს. საცხოვრებელი პირობებიც ისეთია, უკეთესს ვერ ინატრებ. საერთოდ, ძალიან პატარა ქალაქია სიგუერა დაფოსი და თანაგუნდელებიც თითქმის სულ ერთად ვართ. მარტო ჩემს სასტუმროში ექვსნი ვცხოვრობთ „ჟინაზიოს“ კალათბურთეელები და თავისუფალი დრო თუ მოგვრჩება, ერთად ვატარებთ.

— უახლოეს ხანში აქეთ წამოსვლას ხომ არ აპირებთ?

— ჯერ არა, საშობაოდ ერთი კვირით დაგვითხოვენ და ძალიან მინდა, ეს დრო ჩემს რუსთავში, ოჯახთან და მეგობრებთან ერთად გავატარო. თუ რაიმე არ შეიცვალა, ალბათ, ასეც მოვიქცევი. საქართველოში დეკემბრის ბოლოსთვის მელოდეთ.

გიორგი ბიკაშვილი

საბერძნეთი

VII ტური

არისი — პანიონიოი 73:71, ირაკლისი — მარუსი 92:75, ირაკლიონი — დაფნი 84:71, ნიარ ისტი — აეკ 63:88, ოლიმპიაკოსი — პერისტერი 77:57, ესპეროსი — სპორტინგი 59:57

პანათინაიკოსი 68:57 პაოკ

პანათინაიკოსი: კატაში (14), ბოდიროგა (14), ფოცისი (7), როჯერსი (9), რებრაჩა (6), კალაიძისი (6), ბუდურისი, კოხი (3), კარაგუტისი (2), მალოსი (5), ბურკი (2)

პაოკ: კოლდებელა (4), ბაზარევიჩი (4), ედვარდსი (11), იანულისი (12), ალექსანდერი (21); ვეტულასი (2), მასლარინოსი (3), ბალოიანისი, პერალი

არა და არ დაადგა საშველი ათენის „პანათინაიკოსის“ დამარცხებას. ევროლიგის არ იყოს, ჯერჯერობით ვერც საბერძნეთში გამოინახა მისი მძლეველი. ათენურ გუნდს ზედიზედ 15 მოგება დაუგროვდა, ბოლოჯერ კი მაისში წააგო. „პანათინაიკოსის“ გამარჯვებები ტურნირების მიხედვით ასე ნაწილდება: საბერძნეთის ჩემპიონატი — შვიდი, საბერძნეთის თასი — ორი, ევროლიგა — ექვსი.

ჩემპიონატის მეშვიდე ტურში შეიძლებოდა „პანათინაიკოსის“ ჰეგემონია დამხობილიყო და მის ერთპიროვნულ ლიდერობასაც წყალი შედგომოდა. ევროლიგის ბინადარს, სალონიკის პაოკ-ს ამბიცია მოსჭარბებოდა და ათენში დიდი რიხით ჩავიდა. სავარაუდოდ, მძიმე და დაძაბული შეხვედრა უნდა გამოსულიყო, მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა: „პანათინაიკოსმა“ იოლად გაიმარჯვა და, ჩანს, ლიდერობა კარგა ხნით შეინარჩუნა.

ათენელები თავიდანვე დაწინაურდნენ, ტაიმი 36:20 მოიგეს. 18 წლის ანტონის ფოცისმა გამოთიშა თამაშიდან სალონიკელთა ამერიკელი ბილ ედვარდსი და ამით პაოკელთა უკანა ხაზი და ფორვარდები ერთმანეთს დააშორა. სტუმართაგან მხოლოდ იანულისი და ალექსანდერი იბრძოდნენ, მაგრამ პანათინაიკოსელებს ვერაფერი დააკლეს. მეორე ტაიმში ათენელთა მწვრთნელმა ჟელკო ობრადოვიჩმა უმეტესად სათადარიგოები ათამაშა და პაოკ-მაც მხოლოდ ამის გამო შეძლო დაწინაურებულ მეტოქესთან ოდნავ მიახლოება.

ამასობაში გაირკვა, რომ ათენი უმასპინძლებს 2000 წლის „ევროსტარს“ და ამ მატჩის დროს კიდევ ერთხელ დაავჯილდოებენ ბერძნული კალათბურთის „ოთხ მუშკეტერს“ — ნიკოს გალისს, პანაიოტის იანაკისს, პანაიოტის ფასულასს და ფანის ხრისტოდულუს. კვირას კი ფიბა-მ გამოაცხადა, რომ საბერძნეთშივე გაიმართება ევროპის 2003 წლის ჩემპიონატი ქალთა შორის.

საკურნირო მდგომარეობა: პანათინაიკოსი 14 ქულა, აეკ 13, პაოკ 12, ოლიმპიაკოსი 12, ირაკლისი 11, ირაკლიონი 10, არისი 10, პერისტერი 10, ნიარ ისტი 10, დაფნი 10, პანიონიოსი 10, მარუსი 10, ესპეროსი 8, სპორტინგი 7

თურქეთი

ქართველმა იზმირელებს აგინა

VIII ტური

ბეშიქთაში — თოფაში 67:69, ქომბასანი — ულქერი 56:57, გალათასარაი — ტელეკომი 78:81, მიდონოსე — ეფესი 70:85, ითუ — ტროი 74:66, დარუშაფაკა — ოიაქი 87:60

ქარშიაქა 88:93 ფენერბაჰჩე

ქარშიაქა: პაშუტინი (24), სტეფანოვი (23), თურქნაში (20), პეკერი (11), მილიჩევიჩი (8), ოზთასი (2)

ფენერბაჰჩე: ჩურჩიჩი (25), რობინსონი (23), ჯენინგსი (14), აბი (13), ენდენი (10), თუნჩერი (8)

თურქეთის ჩემპიონატის მეორე ტურში იზმირის „ქარშიაქამ“ შინ მოუგო სტამბოლის „ბეშიქთაშს“ და სატურნირო ცხრილს სათავეში მოექცა. მას შემდეგ ამ პროვინციულმა გუნდმა ზედიზედ დაიფრინა სტამბოლელი ბობოლები — „გალათასარაი“, „ეფესი“ და „ულქერი“, შუალედში კი მათ შარშანდელი ჩემპიონი, ბურსას „თოფაში“ მიაყოლა და შვიდი ტურის შემდეგ წაუგებლად ლიდერობდა. ამასობაში „ქარშიაქას“ გამარჯვებათა მთავარი შემოქმედი, მწვრთნელი ერგინ ათამანი დაწინაურეს — პროვინციიდან სტამბოლში გადაიყვანეს და სათავეში ჩაუყენეს „ეფესს“, რომლის მწვრთნელი აიდინ ორსი ორიოდ კვირის წინ გადადგა.

მერვე ტურში ქარშიაქას სტუმარი იყო სტამბოლის „ფენერბაჰჩე“, რომელსაც წლეულს მთლად კარგად ვერ მისდის საქმეები. იზმირელები ფავორიტები იყვნენ, მაგრამ „ფენერბაჰჩე“ არ დაეთანხმა საყოველთაო აზრს და ლიდერს დიდებული თამაში შესთავაზა. ძნელია სტამბოლელთა რიგებში ვინმეს გამოყოფა, რადგან უკლებლივ ყველა მოთამაშემ მთელი 40 წუთის მანძილზე ძალიან ძლიერად ითამაშა. ამერიკელი გამთამაშებელი კით ჯენინგსი უნარიანად აკონტროლებდა მატჩის ტემპს, იუგოსლავიელი ჩურჩიჩი შეუდარებელი იყო ფარზე, ხოლო ქართველი ზაზა ენდენი (ენდელაძე) მოედანზეც აკეთებდა საქმეს და მის გარეთაც. მთელი მატჩის განმავლობაში ზაზა აგინებდა და უხამს ეპეტებს უჩვენებდა იზმირელ მაყურებლებს. ეს იყო პასუხი მაყურებელთა საქციელზე: ისინი განუწყვეტლივ ესროდნენ რაღაც-რაღაც საგნებს „ფენერბაჰჩეს“ კალათბურთელებს და არც ლანძღვა-გინება მოაკლეს. მატჩის შემდეგ გულშემატკივრებმა სტამბოლელი მოთამაშეების საცემრად გაიწიეს, მაგრამ პოლიციამ მათი თავნებობა დროულად ალაგმა.



ზაზა ენდენი

ამ წაგების შემდეგ „ქარშიაქამ“ ლიდერობა გამოუყო „ეფესს“, რომელმაც ანკარაში „მიდონოსეს“ მოუგო. თავიდან „ეფესი“ აგებდა, მაგრამ ხორვატი დამირ მულაომეროვიჩის (20 ქულა) და ჰიდაიეთ თურქოღლუს (16 ქულა) კარგმა თამაშმა ბოლოს თავისი გაიტანა.

ქარშიაქა	8	7	1	609:536 15
ეფესი	8	7	1	598:541 15
თოფაში	8	6	2	599:542 14
დარუშაფაკა	8	5	3	575:549 13
ტელეკომი	8	5	3	609:569 13
ფენერბაჰჩე	8	5	3	642:592 13
ულქერი	8	4	4	551:570 12
ბეშიქთაში	8	4	4	570:578 12
ითუ	8	4	4	537:582 12
გალათასარაი	8	4	4	588:549 12
ქომბასანი	8	3	5	533:518 11
მიდონოსე	8	1	7	613:674 9
ტროი	8	1	7	558:631 9
ოიაქი	8	0	8	582:633 8

საფრანგეთი

IX ტური

საონი — ლე მანი 69:74, შოლე — პო ორტეზი 80:84, ვილერბანი — ანტიბი 87:64, ნანსი — მონპელიე 70:50, პარი სენ ჟერმენი — შამპანი 81:60, ლიმოჟი — დიჟონი 81:74, გრაველინი — ევრე 66:69

ვილერბანი	9	8	1	706:598 17
პო ორტეზი	9	8	1	717:664 17
ლიმოჟი	9	7	2	651:610 16
ლე მანი	9	7	2	630:597 16
დიჟონი	9	5	4	643:603 14
პსჟ	9	5	4	650:613 14
სტრასბური	9	5	4	653:629 14
ბეზანსონი	9	4	5	653:635 13
საონი	9	4	5	649:640 13
შოლე	9	4	5	651:649 13
ევრე	9	4	5	610:623 13
ნანსი	9	3	6	583:605 12
შამპანი	9	3	6	617:652 12
მონპელიე	9	3	6	637:690 12
გრაველინი	9	1	8	577:688 10
ანტიბი	9	1	8	544:681 10

იტალია

IX ტური

ვარეზე — ბენეტონი 62:71, ფორტიტუდო — ვიოლა 80:60, იმოლა — ადეკო 86:79, რეჯანა — ძუკეტი 74:77, მიულერი — კინდერი 70:69, სიენა — კანტუ 79:72, სკავოლინი — აეროპორტი 65:70, ტრიესტი — პეპსი 82:60

ფორტიტუდო	9	9	0	697:595 18
კინდერი	9	7	2	700:588 16
სიენა	9	6	3	614:576 15
ვიოლა	9	6	3	644:650 15
სკავოლინი	9	5	4	688:680 14
იმოლა	9	5	4	687:685 14
ძუკეტი	9	5	4	632:630 14
ბენეტონი	9	5	4	620:624 14
აეროპორტი	9	5	4	625:629 14
ტრიესტი	9	3	6	647:635 12
ვარეზე	9	3	6	640:665 12
ადეკო	9	3	6	654:684 12
მიულერი	9	3	6	607:642 12
კანტუ	9	3	6	643:696 12
პეპსი	9	2	7	591:646 11
რეჯანა	9	2	7	671:735 11

ესპანეთი

XI ტური

კასერესი — ლეონი 67:62, ხიხონი — უნიკახა 79:83, კანტაბრია — პამესა 62:99, ბრეიგანი — ხირონა 79:74, ესტუდიანტესი — რეალი 57:71, ტდკ — ფუენლაბრადა 63:76, ფორუმი — ბადალონა 82:79, კანარიასი — კახა სან ფერნანდო 85:91, ბარსელონა — ტაუ 74:85

პამესა	11	11	0	908:750 22
ტაუ	11	8	3	899:812 19
რეალი	11	7	4	826:757 18
ბარსელონა	11	7	4	826:760 18
სან ფერნანდო	11	7	4	810:751 18
უნიკახა	11	7	4	763:724 18
ხირონა	11	6	5	808:784 17
ფუენლაბრადა	11	6	5	800:786 17
ესტუდიანტესი	11	6	5	786:786 17
კანარიასი	11	6	5	795:806 17
კასერესი	11	6	5	788:807 17
ბადალონა	11	5	6	865:854 16
ფორუმი	11	5	6	751:754 16
ტდკ	11	4	7	780:799 15
ხიხონი	11	3	8	765:848 14
ბრეიგანი	11	2	9	801:908 13
კანტაბრია	11	2	9	780:917 13
ლეონი	11	1	10	668:806 12

სარბიელის რჩეულები ევროსტარისთვის

1999 წლის 28 დეკემბერს მოსკოვში გაიმართება „ევროსტარი", მატჩი ევროპის საუკეთესო კალათბურთელთა მონანილეობით. ერთმანეთს შეხვდებიან „აღმოსავლეთის" და „დასავლეთის" გუნდები.

სამოყვარულო კალათბურთის საერთაშორისო ფედერაცია (ფიბა), „აღმოსავლეთის" და „დასავლეთის" გუნდების შემადგენლობების გამოსავლენად აწყობს გულშემატკივართა საერთო-ევროპულ გამოკითხვას. ეს გამოკითხვა ევროპის თითოეულ ქვეყანაში თითო გაზეთის საშუალებით მოეწყო. საქართველოში ფიბა-ს პარტნიორობის ექსკლუზიური უფლება (საქართველოს კალათბურთის ფედერაციის რეკომენდაციით), „სარბიელს" ერგო.

ფიბა-ს მოთხოვნის შესაბამისად, „სარბიელის" მკითხველებმა გამოავლინეს 20 რჩეული:

დეიან ბოდიროგა	იუგოსლავია	პანათინაიკოსი (საბერძნეთი)
პრედრაგ დანილოვიჩი	იუგოსლავია	კინდერი (იტალია)
ალექსანდრ ჯორჯევიჩი	იუგოსლავია	რეალი (ესპანეთი)
გრეგორ ფუჩკა	იტალია	ფორტიტუდო (იტალია)
გორდან გირიჩეკი	ხორვატია	ციბონა (ხორვატია)
ალბერტო ერეროსი	ესპანეთი	რეალი (ესპანეთი)
არტურას კარნიშოვასი	ლიტვა	ფორტიტუდო (იტალია)
ოდედ კატაში	ისრაელი	პანათინაიკოსი (საბერძნეთი)
ანდრეა მენეგინი	იტალია	ვარეზე (იტალია)
მარკო მილიჩი	სლოვენია	ოლიმპია (სლოვენია)
დამირ მულაომეროვიჩი	ხორვატია	ეფესი (თურქეთი)
კარლტონ მაიერსი	იტალია	ფორტიტუდო (იტალია)
პეტარ ნაუმოსკი	მაკედონია	უგუნდოდ
დინო რაჯა	ხორვატია	ზადარი (ხორვატია)
შელკო რეზრაჩა	იუგოსლავია	პანათინაიკოსი (საბერძნეთი)
ანტუან რიგოდო	საფრანგეთი	კინდერი (იტალია)
მინდაუგას შუკაუსკასი	ლიტვა	ჟალგირისი (ლიტვა)
ტაიუს ედნი	აშშ	ბენეტონი (იტალია)
პილ ედვარდსი	აშშ	პაოკ (საბერძნეთი)
ენტონი გოლდვაიერი	აშშ	ბარსელონა (ესპანეთი)

„აღმოსავლეთის" და „დასავლეთის" გუნდების საბოლოო შემადგენლობებს ფიბა ნოემბრის ბოლოს დაასახელებს. შეგეხსენებთ, რომ თითო გუნდში 12 კალათბურთელი ითამაშებს.

ყველა მოჩხუბარი არ გადაიხდის

„სრულიად შშვიდი და უემოცო მატჩის მეორე ტაიმის ბოლო წუთებზე მოედანზე მყოფი ორი ათი ნომერი — გიორგი ჩხეიძე და გოგა ზუბიაშვილი წალაპარაკდა. ნერვებს აყოლილი კალათბურთელები სათადარიგოებით შეცვალეს. სულ მალე შეხვედრაც დამთავრდა და მოთამაშეებმა გასახდელს მიაშურეს. იქ კი ჩხეიძემ და ზუბიაშვილმა მოედანზე დაწყებული საქმე გააგრძელეს, მკლავებდაკაპიწებულნი ეძგერნენ ერთმანეთს, კვლავ მოედანზე გადაინაცვლეს და საკალთბურთო არენა კრივის სარბიელს დაამგავსეს. მართალია, ჩხეიძეს და ზუბიაშვილს თანაგუნდელებმა მუშტი-კრივი დიდხანს არ აცალეს, მაგრამ მეცხრე ეროვნული ჩემპიონატის დებულების საწინააღმდეგო ქმედება მაინც დაფიქსირდა" — ამას 2 ნოემბრის „სარბიელში" ვწერდით, ლაპარაკია მეხუთე ტურის სდასუ — ასკს დაპირისპირებაზე.

სულ ახლახან ჯონი ქარჩავამ ხელმძღვანელობით სადისციპლინო კომისია შეიკრიბა კალათბურთის ფედერაციაში, სადაც სწორედ ეს ინციდენტი განიხილებოდა. კომპეტენტურმა პირებმა ამ საკითხზე იმსჯელეს და საბოლოოდ სდასუელ გიორგი ჩხეიძესაც და არმიელ გოგა ზუბიაშვილსაც ორ-ორი მატჩის გამოტოვება მოუწევთ. სადისციპლინო კომისიამ ეს მოჩხუბართ არ აკმარა და ორივე კალათბურთელს ჩემპიონატის ბოლომდე პირობით დისკვალიფიკაცია მიუსაჯა, რაც იმას ნიშნავს, რომ მსგავსი შეხლა-შემოხლის განმეორების შემთხვევაში მათ ულაპარაკოდ აეკრძალებათ კალათბურთის თამაში, სულ ცოტა სეზონის დამთავრებამდე.

ამჯერად ფულად ჯარიმას კალათბურთელებიც გადაურჩნენ და მათი კლუბებიც. როგორც სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე ჯონი ქარჩავამ გვითხრა, მათ ეს გადაწყვეტილება ჩემპიონატის დებულების მიხედვით მიიღეს. აყალმაყალი მატჩის დროს რომ მომხდარიყო, სხვა საქმე იქნებოდაო.

სამაგიეროდ, ფინანსურად სოხუმელი რევაზ თოდუას და შევარდენელი შალვა გაგნიძის გუნდებმა იზარალეს. სსუ-საც და „შევარდენსაც" 300-300 ლარის გადახდა მოუწევთ, რადგან მათი მოთამაშეები მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფის გამო მოედნიდან დათხოვნილნი იქნენ. გარდა ამისა, თოდუაც და გაგნიძეც ორ-ორ თამაშს გამოტოვებენ.

საბა ესებუა



გოგა ზუბიაშვილი

გიორგი ჩხეიძე

ფოტოები ვლადიმერ ფოფორაძისა

სტეფანიამ ანგარიში გაიხსნა

8 ნოემბერი

ფილადელფია 117:98 სიეტლი

ფილადელფია: მაკკი (14), აივერსონი (37 ქულა, 9 მოხსნა), პიუზი (27), ლინჩი (6 ქულა, 10 მოხსნა), ჰილი (2); მაკკალოფი (12 ქულა, 10 მოხსნა), ოუენსი (7), სნოუ (6), მუჰამედი, ჯონსი
სიეტლი: პეიტონი (28), ბერი (11), პატერსონი (22), ბეიკერი (11), გრანტი (5); მაქსველი (11), მაკკოი (4), სტეფანია (4), ვილიამსი (2), ლუისი

„სიეტლ სუპერსონიქსმა" სამი მატჩის მოგების შემდეგ პირველი მარცხი იწვნია, „ზებგერითების" ქართველმა ცენტრმა კი ამ წაგებულ შეხვედრაში ექვსი წუთი დაჰყო მოედანზე შეიძლება ითქვას, ეს პირველი თამაშია ვოვასთვის ახალ სეზონში (ორი წუთით მოედანზე ყოფნას თუ არ ჩავთვლით). ამ ხნის განმავლობაში სტეფანია ურიგოდ არ გარჯილა — ორი სროლიდან ორივე ჩააგდო და ექვს წუთში ექვს ქულასაც გაიხერხებდა, ორი საჯარიმოც ისევე ზუსტად რომ ესროლა, როგორც ორქულიანები.

„სიეტლმა" კი პირველი მარცხი იწვნია „ფილადელფია 76-თან", გუნდთან, რომელიც აქამდე სამივე თამაშში დამარცხდა. ფილადელფიელები განსაკუთრებით აგრესიულად ამიტომაც დახვდნენ ქვეყნის საპირისპირო მხარიდან მოსულ „სუპერსონიქსს".

...უდიდეს ინტერესს იწვევდა გუნდების ლიდერთა შერკინება. საქმე იმაში გახლავთ, რომ ფილადელფიელ ალენ აივერსონს უდიდესი შემტევი პოტენციალი გააჩნია და წინა სეზონში მატჩში საშუალოდ მოგროვილი 26,9 ქულით ლიგის ბომბარდირი გახდა. სიეტლელი გერი პეიტონის მთავარი ღირსება კი გახლავთ ის, რომ მასზე უკეთესი დამცველი ბევრი არ მოიძებნება ლიგის უკანახაზელთა შორის და, ბუნებრივია, აივერსონის მოძალების შეჩერება სტუმართა დამრიგებელმა პოლ ვესტფოლმა სწორედ მას დაავალა. პეიტონმა კი ვერ შეძლო მასზე ათი სანტიმეტრით დაბალი აივერსონის გაუვნებლება და შეეცადა, დაცვაში ცუდი გარჯა შეტევაში შედეგიანობით გაებათილებინა. ისიც უტევდა და უტევდა მასპინძლებს, 28 ქულის მოგროვებაც შეძლო, მაგრამ აივერსონს მაინც ჩამორჩა. დაცვაში თამაშისადმი ყურადღების მისუსტებამ კი შესაბამისი ნაყოფი გამოიღო. „ფილადელფია" ბოლო მეოთხედში შეუჩერებელი გახდა. ამ დროს აივერსონმა 17 ქულა გაახერხა, მისმა გუნდმა კი გადამწყვეტი თორმეტწუთიანი 39:19 მოიგო და პირველი გამარჯვებაც იზეიმა. „სიეტლს" მარტო აივერსონმა როდი გაუჩინა პრობლემები, მის გვერდით ბრწყინავდა უკანახაზელი ლარი ჰიუზი, რომელიც ამ სეზონში პირველად თამაშობდა სასტარტო ხუთეულში გამთამაშებელ ერიკ სნოუს ნაცვლად. ცვლილებამ ბრწყინვალე შედეგი გამოიღო. ამ დუეტს „ფურინავი ძმებიც" უწოდეს. ვერც სიეტლელმა ვერნონ მაქსველმა გამოიჩინა თავი, წინა მატჩების დარად ვერ გაისარჯა სანაქებოდ და ვერც ჰიუზის შეჩერება შეძლო.

შეხვედრამ „სიეტლის" ბევრი ნაკლი გამოაჩინა და ვესტფოლს არ აწყენს, ამ პრობლემებს მიხედოს. განსაკუთრებით დაიჩაგრა მისი გუნდი ფარქვეშ. მოხსნები სტუმრებმა 40:56 დათმეს. ეს მაშინ, როცა „ფილადელფიას" ტრავმების გამო ორი უძლიერესი მომხსნელი, ძირითადი ცენტრი მეტ გეიგერი და ძირითადი თავდამსხმელი თეო რეთლიფი აკლდა.

ნიუ იორკი 111:101 მილუოკი

(ძირითადი დრო 97:97)

ნიუ იორკი: ჰიუსტონი (30), კემბი (23 ქულა, 13 მოხსნა, 6 დაფარება), სპრიუელი (21)
მილუოკი: რობინსონი (23), ალენი (18), კასელი (14 ქულა, 10 პასი)

დენვერი 115:100 ატლანტა

დენვერი: ვან ექსელი (23 ქულა, 20 პასი), ლაფრენეი (24), მერსერი (18)
ატლანტა: რაიდერი (28), ჯეკსონი (16)

კლიპერსი 79:94 იუტა

კლიპერსი: ტეილორი (23)
იუტა: მელოუნი (26), ჰორნაჩეკი (16)

ჰიუსტონი 97:102 ორლანდო

ჰიუსტონი: მობლი (25), ბარკლი (18 ქულა, 17 მოხსნა), ოლაჯუონი (16)
ორლანდო: გეტლინგი (22 ქულა, 16 მოხსნა)

ორშაბათის შეხვედრებიდან ყველაზე საინტერესოდ „ნიუ იორკ"-„მილუოკის" მატჩი მიიჩნეოდა. „ნიუ იორკი" ფინალისტი გახლავართ და ამ სეზონში თვალი მხოლოდ გამარჯვებებისკენ უჭირავს, „მილუოკის" კი წინა სამივე თამაში მოეგო და ამერიკის უდიდეს ქალაქს დაუმარცხებელი ეწვია. მართალია, „ნიქსის" ერთ-ერთ ლიდერს, პატრიკ იუინგს ტრავმა აქვს და თავისი გუნდის პირველ თამაშებში ვერ მონაწილეობს, მაგრამ „ნიქსის" მწვრთნელ ჯეფ ვან განდის ხელში



ფილადელფია — სიეტლი. რუბენ პატერსონი ფილადელფიელებს, ჯორჯ ლინჩს (მარცხნივ) და ტოდ მაკკალოფს (№50) დაუსხლტა

REUTERS ფოტოგრაფიდან

უიუინგოდ სამი სუპერვარსკვლავია, იმდენი, რამდენიც „მილუოკის" დამრიგებლის, ჯორჯ კარლის განკარგულებაში. ამდენად... თუმც ვარსკვლავთა დათვლა იქით იყოს და „მედისონ სკვერ გარდენში" მისულ 19 643 კაცს თამაშზე დასასწრებ ბილეთებში გადახდილი დოლარები ნამდვილად არ გადაუყრია წყალში. პუბლიკამ მშვენიერი თამაში იხილა, თან მამამ ჯილამ მოიგო, თუმც ოვერტაიმში, მაგრამ ამას რა დიდი მნიშვნელობა აქვს. მოსალოდნელი იყო, „ნიუ იორკს" არც მთლად ასე კარგად წასვლოდა საქმე. სტუმარი გუნდი მხოლოდ მოსაგებად იყო ჩასული და მის ლიდერ სემ კასელს, რომელიც გასული კვირის საუკეთესო მოთამაშედ დასახელეს, ძირითადი დროის ბოლოს მეექვსე პერსონალური რომ არ მიეღო, დამატებით დროში „მილუოკის" იქნებ 4:14 არც წაეგო. თამაში ოვერტაიმში კი ლატრელ სპრიუელმა გადაიყვანა, როცა ბოლო მეოთხედის დამთავრებამდე შვიდი წამით ადრე ასე მნიშვნელოვანი სამქულიანი ჩააგდო და ანგარიში 97:97 გახადა.

საშინელ დღეშია „ჰიუსტონ როკეტსი". გუნდი თავისთავს აღარ ჰგავს მას შემდეგ, რაც სკოტი პიპენი „პორტლენდში" გადაბარგდა. ხელმძღვანელობა დიდ იმედებს ამყარებდა ახალბედა სტივ ფრენსისზე, მაგრამ მას, ისევე როგორც ყველა ახალბედას, აქაურ ზემძლავრ კალათბურთთან შესაგუებლად დრო სჭირდება. დრო კი არ იცდის. შესამჩნევად დაეტყოთ სიბერე ჩარლზ ბარკლისა და ჰაკიმ ოლაჯუონს. ისინი ვერაფერს წყვეტენ მოედანზე, მათი გუნდი კი თამაშს თამაშზე აგებს, მერე რა გუნდებთან — „ორლანდოში" ლამის არავინ დარჩა ხეირიანი, მაგრამ ვინც დარჩა, როგორც ხედავთ, ვერც მათ უგებს ერთ დროს დიდი გუნდი. მართალია, ამ შეხვედრაში ჩვეული მონდომებით გაისარჯა ჩარლზ ბარკლი და 17 მოხსნაც გაახერხა, მაგრამ სამაგიეროდ რვაჯერაც დაკარგა ბური, რაც მისი გამოცდილების და შესაძლებლობების მქონე კალათბურთელისთვის ძალიან ბევრია.

მშვენივრად დაიწყო თავისი პირველი პროფესიული სეზონი ნბა-ში ახალბედა ლამარ ოდომმა და თავის სადებიუტო მატჩში „სიეტლს" 30 ქულაც კი ჩაუგდო, მაგრამ მისი შედეგიანობა თამაშიდან თამაშამდე მცირდება და აგერ მისი „კლიპერსის" მეოთხე შეხვედრაში ათ ქულამდე დავიდა. თუმცა მას მაინცდამაინც ბევრი ჯერ არ მოეთხოვება, ყოველ შემთხვევაში, „იუტასთან" შეხვედრაში მაინც, რადგან თვით კარლ მელოუნის წინააღმდეგ უწევდა თამაში, რომელიც, იმაზე რომ არაფერი ვთქვათ, რომ კლიპერსელზე ბევრად გამოცდილი და მრავალისმნახველია, მარტო ჯან-ღონით აჯობებს ორ ლამარ ოდომს.

ირაკლი ფირაზვილი

კვირის მოთამაშე

სემ კასელი • მილუოკი •



სულ ახლახან დაწყებული სეზონის პირველი კვირის საუკეთესო მოთამაშედ „მილუოკი ბაქსის" გამთამაშებელი სემ კასელი დაასახელეს და მასზე ალალიც იყო. კასელმა თამაშში საშუალოდ 29,0 ქულა და 9,0 პასი მოაგროვა, მისმა გუნდმა კი ყველა მატჩი მოიგო, თან საკმაოდ ძლიერ მეტოქეებთან. კასელი, რა თქმა უნდა, ამ გამარჯვებების სულისჩამდგმელი გახლდათ. განსაკუთრებით შავ დღეში ჩააგდო თავისი ყოფილი გუნდი „ჰიუსტონ როკეტსი", რომლის რიგებში ორჯერ — 1994 და 95 წლებში — ჩემპიონობა მოუპოვებია. ძველ გუნდს მან 35 ქულა ჩაუგდო, 24 ქულა მოუგროვდა „ატლანტასთან" და 28 — „დეტროიტთან".

კვირის მოთამაშეობაში სემ კასელს ეცილებოდნენ: კლივლენდელი ბრეკინ ნაითი, კლიპერსელი ლამარ ოდომი, ნიუ იორკელი ალან ჰიუსტონი, ორლანდოელი დარელ არმსტრონგი, ფინიქსელი ჯეისონ კიდი, სიეტლელი ვერნონ მაქსველი და ტორონტოელი ვინს კარტერი.

„ზორდა“ წვიმაშიც მაგარია

თბილისი
9 ნოემბერი

ზორდა 24:7 (7:0) ლოკომოტივი 2

ზორდა: თეზელაშვილი, ძიძაძე, ბერიაშვილი, სულთანაშვილი, მჭედლიშვილი, ხაბეიშვილი, სორდია, ჯაფარაშვილი, ჯანაშვილი, გამყრელიძე, სოზიაშვილი, ჩაკვეტაძე, გელაშვილი, პარასკებაშვილი, მაისაშვილი

ლ — ჩაკვეტაძე, მჭედლიშვილი, გამყრელიძე, თეზელაშვილი, ჯანაშვილი

2გ — მაისაშვილი

ლოკომოტივი 2: გომიაშვილი, ხინჩაგაშვილი, კერესელიძე, მამიაშვილი, უდესიანი, გიორგაძე, ჭელიძე, მხეიძე, უდესიანი, გუგავა, ყაჯრიშვილი, ხინჩაგაშვილი, ცხადაია, ქერაშვილი, პაკელიანი

ლ — — უდესიანი

გ — მხეიძე

მსაჯი: გ. ჯავახიშვილი

მეთვალყურე: გ. აბაშიძე

თამაში ვარკეთილის მეურნეობის სტადიონზე შედგა. მოედანი ჯერ კარგ ამინდში არ ვარგა და ავდარში რაღა იქნებოდა. მორაგბეებმა საკმაოდ ზილეს ტალახი, სანამ თავისთვის უჩვეულო სათამაშო სიტუაციას შეეჩვეოდნენ.

„ზორდამ“ წინა ტურში თსუ-სთან განიცადა მარცხი, ამიტომ ამ შეხვედრაში გამარჯვება სჭირდებოდა. ეგეც არ იყოს, თავმოყვარეობის ამბავია. გამოცდილ და ასაკით უფროს ზორდელებს გუშინ სანახევროდ პატარა ბიჭებით დაკომპლექტებული „ლოკომოტივი 2“ დაუპირისპირდა. რკინიგზელთა მეორე გუნდი ფაქტობრივად პირველის ფარმ-კლუბია და მათი მწვრთნელი სასწაულს არც ელოდა.

თავიდანვე ნათელი იყო, ამ მატჩში ვინც გაიმარჯვებდა. გუნდებმა პირველი ტაიმი ჭიდილში გაატარეს. ბევრი იყო შერკინებებიც, თუმცა აზრს მოკლებული. მორაგბეები ტალახში ფეხს ვერ იკიდებდნენ და რაგბის ეს ელემენტი მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით ტარდებოდა. მიუხედავად ამისა, „ზორდამ“ უფრო მალე აუღო ალღო მძიმე მინდორს და მეტოქის სალელოე მოედანზე იერიში მიიტანა. პირველი შეტევა ზედ ჩათვლის ხაზთან ჩაეშალათ. სამაგიეროდ, მეორე გამოუვიდათ — ჩაკვეტაძემ ტალახით დამძიმებული ბუცებით როგორღაც შეძლო, დასხლტომოდა მეტოქის დაცვას და ლელო გაეტანა. მაისაშვილმა გარდასახვა შეასრულა და ანგარიშში ზორდა დაწინაურდა — 7:0. ტაიმიც ასე დამთავრდა.

შესვენებისას მორაგბეები ძირითადად ბუცების წმენდით იყვნენ დაკავებულნი. განახლდა თუ არა შეხვედრა, შემსუბუქებულმა ზორდელებმა იერიში წამოიწყეს. რკინიგზელებმა ერთი პირობა სცადეს, ხელი შეეშალათ, მაგრამ ცალკე მეტოქის სიძლიერემ, ცალკე უვარგისმა მოედანმა თავისი გააკეთა. დასვრილი ხელებით ტალახიანი ბურთის დაჭერა ძნელია, თან ლოკომოტივის მორაგბეებიც მოიღალნენ და მეტოქემაც რკინიგზელთა სალელოე მოედანზე ზედიზედ 3 ბურთი დადო. თავი მჭედლიშვილმა, გამყრელიძემ და თეზელაშვილმა გამოიჩინეს. მაისაშვილმა მხოლოდ ერთი გარდასახვა შეასრულა, მაგრამ უამისოდაც ანგარიში 19:0 გახდა. „ზორდამ“ უკვე მოიპოვა ერთი პრემიალური ქულა.

აქ კი უკვე რკინიგზელებმა განაცვიფრეს საკუთარი თავიც და მწვრთნელიც. ნელ-ნელა გადავიდნენ „ზორდას“ ნახევარზე და საერთო მონდომებით უდესიანს ლელო გაატანინეს. მხეიძეს შანსი მიეცა და მანაც გამოიყენა. მისმა გარდასახვამ გუნდს კიდევ ორი ქულა შესძინა. ეს იყო რკინიგზელთა ბოლო გაბრძოლება, რადგან დარჩენილ დროში „ზორდას“ ინიციატივა ხელიდან არ გაუშვია. მალე მათი ტანმორჩილი მე-9 ნომერი ლამაზად დაუძვრა ხელიდან მეტოქეს და ეფექტური ნახტომით ბურთი სალელოე მოედანზე დადო.

თამაში მორჩა და წვიმამაც გადაიღო, თუმცა მცირე ხნით...

ზაზა ბენიძე

REUTERS სეულიდან

ხმალაობაში იტალიელ ქალებს ბადალი არ ჰყავდათ

სეულში თეთრი მანდილი ჩავარდა

... ანუ კეჭნაობა დასრულდა. მსოფლიოს საუკეთესო მოფარიკაველებმა დაშნები, ხმლები და რაპირები ქარქაშებში ჩააგეს და წიწილების დათვლას შეუდგნენ. თვლის შედეგებით ყველაზე მეტად ფრანგებმა გაიხარეს. მათმა მორაპირე ვაჟებმა ფინალში ბეწვზე გადაასწრეს ჩინელებს — 45:44, ხოლო დაშნოსტებმა ასევე ბეწვებით იტალიელებს აჯობეს — 45:40. ეს მეფიფინალი ან დანარჩენებან უნგრელ ექსპერტებიც, რომლებმაც დაშნის ტრიალში დაჯაბნეს ყველა მეტოქე, ხოლო ხმალაობაში იტალიელმა მანდილოსნებმა იმარჯვეს.

დავით გულუა

ჩემპიონატის საბოლოო შედეგები

ქალები

დაშნა

1. უნგრეთი, 2. ჩინეთი, 3. გერმანია

ხმალი

1. იტალია, 2. საფრანგეთი, 3. აზერბაიჯანი

კაცები

რაპირა

1. საფრანგეთი, 2. ჩინეთი, 3. პოლონეთი

დაშნა

1. საფრანგეთი, 2. გერმანია, 3. კუბა

ჰოლიფილდ-ლუისის სუპერვაიზერი რუსია

ამ შაბათს დაგეგმილი ჰოლიფილდ-ლუისის დიდი ორთაბრძოლის სუპერვაიზერად სამოცდასამი წლის დნეპროპეტროვსკში დაბადებული რუსი ედმუნდ ლიპინსკი დაინიშნა. ლიპინსკი საბჭოს (ვაკ) ვიცე-პრეზიდენტი და დიდი ბრძოლების სუპერვაიზერობას ჩვეული კაცია.

რას ნიშნავს ეს სუპერვაიზერი, ანუ უფრო ვრცლად სუპერ-ვაიზერ-ოლი? თუ ამ სამი სიტყვის შეთანხმებას დავუკვირდებით, ცხადია, რომ ყველაფრის ზე-კონტროლი ამ კაცს დაევალება — სხვანაირად მთავარი მსაჯული გამოდის. სუპერვაიზერს ევალება მატჩის ორგანიზაციის საფუძვლიანი შემოწმება. მან ზედმიწევნით უნდა ჩხრიკოს მოკრივეთა კონტრაქტები და სამედიცინო ფურცლები, რათა იქ დარღვევა არ გაიპაროს. იგივე უნდა დაესწროს მათ აწონვას და ერთობლივ პრესკონფერენციებს, ბრძოლის წინ დაადასტუროს მოკრივეთა ხელებზე ბინტის წესისამებრ დახვევა და კიდევ ერთხელ გაიმეოროს, რომ კორნერში ოთხ კაცზე მეტის ყოფნა არ შეიძლება.

ბრძოლის დროს მან უნდა აკონტროლოს მოკრივენი და დამთვლელი მსაჯები. შემდეგ მიიღოს ოქმები, გადაამოწმოს და გამარჯვებულის სახელი თავად ჩაწეროს შიგ. სუპერვაიზერს შეუძლია ბრძოლის მსვლელობისას გამოიცვალოს რეფერი. ასევე, თუ კრიტიკული ვითარება შეიქმნება, მხოლოდ სუპერვაიზერს შეუძლია ხუთი წუთით შეწყვიტოს ჯახი.

ამ შაბათის დიდი ორთაბრძოლა რომ სკანდალში არ გადაიზარდოს, სუპერვაიზერს დამატებითი უფლებები მიენიჭება. რახანლა მარტში, ჰოლიფილდ-ლუისის ბრძოლის შემდეგ დამთვლელ მსაჯებს ერთი ქოქოლა დააყარეს, ფრე როგორ დითვალეთ, როცა ლუისმა მოიგო. ახლა, კრივის მამებს ჰქონიათ, რომ კიდევ ერთი ასეთი ამბავი მოჰკლავს პროფესიულ ბოქსს და ამიტომ სუპერვაიზერს მაგიდაზე სამ მონიტორს დაუდგამენ. ამ მონიტორებზე გამოჩნდება, როგორ ითვლიან ქულებს დამთვლელები. თუ სუპერვაიზერი შეცდომებს დაინახავს, მივა და დამთვლელს ეტყვის, წესიერად მოიქეცი, თორემ სამუდამო დისკვალიფიკაციას გამომტყუებო.

ალბერტ ხაჩატურიშვილი

დახურული კარის ნელიწადი

ფორმულა 1 99: საინტერესო, ძალიან საინტერესო



კულჰარდი (მარჯვნივ) ჰაკინენის წინააღმდეგ: წლევანდელ ჩემპიონატში ხშირი იყო მსგავსი შეტაკებანი

ფორმულა 1-ის საიუბილეო, 50-ე ჩემპიონატი მართლაც დაბალულად და საინტერესოდ წარიმართა. ამას გუნდების ტაქტიკამ, ფია-მ და გარკვეულწილად მეტოქეთა იღბალმაც შეუწყო ხელი.

ჩემპიონატის ბედს ხშირად დახურულ კარს მიღმა მიღებული გადაწყვეტილებები, შიდა გუნდური ტაქტიკა (რომელ პილოტს უნდა ჰქონდეს უპირატესობა, მათი ურთიერთშეთანმბუნული მოქმედება ტრასაზე) და ფია-ს დადგენილებები განსაზღვრავს. წლეულსაც ასე მოხდა და ამ ორმა ფაქტორმა არაერთი ამაღელვებელი წუთი აჩუქა ავტოსპორტის მოყვარულთ.

ჩემპიონატის დაწყებამდე ყველა „მაკლარენის“ და მისი ლიდერის — მიკა ჰაკინენის უპირატესობას წინასწარმეტყველებდა. მაგრამ დაიწყო რბოლები და რონ დენისის ბოლიდები შარშანდელივით სულაც ვერ გამოიყურებოდნენ, ვერც გამძლეობით დაიკვეხნიდნენ საწყის რბოლებში. გამოიკვეთა გუნდის ტაქტიკაც. ორივე პილოტს თანაბარი სტატუსი უნდა ჰქონოდა და ტრასაზე გაერკვია, ვინ ყოფილიყო ლიდერი. მსგავსი ტაქტიკა გუნდისთვის ხშირად დამღუპველია და ამან, მაგალითად, „უილიამსს“ ჩემპიონის ტიტული რამდენჯერმე ხელიდან გამოაცალა. მართალია, 80-იან წლებში „მაკლარენს“ სწორედ ამგვარად მოუპოვებია წარმატებები, მაგრამ მაშინ გუნდში პროსტი, სენა და ლაუდა გამოდიოდნენ. ავტოსპორტის ამ გრანდებს კი ერთმანეთის დაუხმარებლად და ურთიერთპაექრობაშიც შეეძლოთ უმაღლესი შედეგების მიღწევა. ამჯერად კი კულჰარდი ხშირად ხელს უშლიდა ჰაკინენს და ამით თვითონაც ვერ ხეირობდა.

მათი ძირითადი მეტოქე, „ფერარი“ კი ერთი კაცისთვის — მიხაელ შუმახერისთვის მუშაობდა. ახალი ბოლიდიც მასზე მორგებული გახლდათ და ედი ირვინიც ერთგულად ასრულებდა მეორე პილოტის მოვალეობას. თუმც კი სულ უფრო ხშირად აცხადებდა, რომ მასაც შეეძლო ჩემპიონობისთვის ბრძოლა და ამის საშუალებას გუნდური სუბორდინაცია არ აძლევდა.

პირველი რბოლების შემდეგ, როგორც გუნდურ, ასევე პირად პირველობაში, „ფერარის“ პილოტები დაწინაურდნენ. თანაც ორი ეტაპის შემდეგ საუკეთესო ირვინი გახლდათ.

შემდეგ თითქოს ყველაფერი თავის ადგილას დადგა და ჩემპიონატი ისევ შუმი-ჰაკინენის ორთაბრძოლად უნდა ქცეულიყო, მაგრამ საქმეში შემთხვევითობა ჩაერია. შუმიმ მძიმე ავარია განიცადა და ფორმულა 1-ის ტრასებს კარგა ხნით გამოეთხოვა. ჰაკინენს რბოლა ხელიდან გაადვილებოდა, ხოლო ირვინს თავის გამოჩენის საშუალება მიეცა.

აქ თავი კვლავ გუნდურმა შეუთანხმებლობამ იჩინა. კულჰარდი კვლავ მიკას ეპაექრებოდა, მიკა კი ასპარეზობისას დასანან შეცდომებს უშვებდა. „ფერარიში“ შუმის შემცვლელი სალო ირლანდიელის საჭურველთმტვი რთველად მოგვევლინა და ედის ერთი გამარჯვებაც აჩუქა. მექანიკოსები კი თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ უფრო დააყოვნებდა თავის პილოტს ბოქსებში. გაიხსენეთ გაუმართავი ბენზინის მიმწოდებელი და რბოლისას დაკარგული უკანა თვალი ჰაკინენის „მაკლარენზე“, ანაც „ფერარის“ ბოქსებში დაკარგული ბორბალი, რამაც ირვინს იქნებ ჩემპიონობაც კი დააკარგვინა. ეს ყველაფერი იმაზე მიუთითებდა, რომ „მაკლარენში“ ყველაფერი შარშანდელივით აწყობილი არ იყო, ხოლო „ფერარი“ კვლავ ერთი კაცის — შუმის გუნდი გახლდათ. ასეა თუ ისე, ჩემპიონატის მიწურულისთვის ორივე პილოტი, ჰაკინენიცა და ირვინიც პირველობის შანსს ინარჩუნებდა.

აქ კი სცენაზე მიხაელ შუმახერი გამოჩნდა, რომელიც მალაიზიაში კვლავ მიუჯდა ბოლიდის საჭეს. გერმანელმა პილოტმა, როგორც ჩანს, გადაწყვიტა, დაემტკიცებინა, რომ მართლაც „კარგი ბიჭია“, შეუძლია საკუთარი ამბიციების დავიწყება და გუნდის ინტერესებისთვის ბრძოლა. მართლაც, სპანგის ტრასაზე შუმი თანაგუნდელს პირველობის დაბრუნებაში დეხმარა, თან ორი კურდღლის დაჭერაც მოახერხა: ყველას აჩვენა, რომ კვლავინდებურად ლიდერია და ერთგული თანაგუნდელის როლიც შესანიშნავად შეასრულა. აქ „ფერარიმ“ სწორედ ის გუნდური ტაქტიკა შეარჩია, რომლის გამოც ხშირად მეტოქეებს უჩიოდა. გუნდმა წინასწარ გადაწყვიტა, ვინ უნდა ყოფილიყო პირველი.

აქ კი საქმეში ფია ჩაერია. გამარჯვებული ბოლიდების ტექნიკური დათვალიერების შემდეგ გამოცხადდა, რომ „ფერარის“ ავტოები ტექნიკურ რეგლამენტს არ შეესაბამებოდა. პირველობა ჰაკინენს მიეკუთვნა და ფინელმაც ჩემპიონის ტიტული მეორედ მოიპოვა.

მაგრამ „ფერარიმ“ გადაწყვეტილება გააპროტესტა და ყველაფერი კვლავ დახურულ კარს მიღმა გადაწყდა. თუ მალაიზიაში მიღებული გადაწყვეტილება არ გაუქმდებოდა, ჰაკინენი ირვინისთვის მიუწვდომელი ხდებოდა და ბოლო ეტაპს აზრი ეკარგებოდა, რამაც ორგანიზატორები შემოსავლის შემცირების საფრთხის წინაშე დააყენა. მიუხედავად იმისა, რომ იაპონიაში ფორმულას მრავალრიცხოვანი თაყვანისმცემელი ჰყავს, ბევრ მათგანს შესაძლოა არ მოესურვებინა ასპარეზობაზე დასწრება. ფია-ს კომიტეტმა ალბათ სწორედ ეს გაითვალისწინა და ირვინს გამარჯვება დაუბრუნა. ახლა უკვე ჰაკინენს სჭირდებოდა მხოლოდ გამარჯვება, თანაც ისე, რომ ირლანდიელს 2 ქულაზე მეტი არ უნდა მოეპოვებინა.

იაპონიაში ყველა გუნდურ პაექრობას ელოდა. რონ დენისმა, როგორც იქნა, უპირატესობა ჰაკინენს მიანიჭა. კულჰარდი ფინელს უნდა დახმარებოდა, შუმის კი თავისი სიტყვა ბოლომდე უნდა ეთქვა და ირვინისთვის ზურგი გაემაგრებინა.

გერმანელმა თავისი მისია კი შეასრულა და სტარტზე ჰაკინენის წინ მოიპოვა ადგილი, მაგრამ რბოლის დაწყებისთანავე იმის ნაცვლად, რომ უპირატესობა გამოეყენებინა, გაუგებარი მანევრით კულჰარდს გზა ჩაუკეტა. ამით თითქოს ირვინისთვის ბრიტანელის ჩამოტოვების შანსი უნდა მიეცა, პირიქით კი მოხდა. ჰაკინენს კი, რომელსაც საშუალება გაუჩნდა, მეტოქეებს დაშორებოდა, გამარჯვება აღარ გასჭირვებია. შუმიმ შემდეგ ტემპს უმატა, წრის რეკორდიც დაამყარა, მაგრამ უკვე ყველაფერი ამაო იყო. ფინელი ჩემპიონი გახდა.

„მაკლარენმა“ არასწორი გუნდური ტაქტიკის გამო გუნდური ჩემპიონობა დაკარგა, „ფერარიმ“ კი, შესაძლოა, იმით, რომ ერთი კაცის გუნდი გახლავთ, ხელიდან გაუშვა პირად პირველობაში ჩემპიონის ტიტული, რომელსაც უკვე ოცი წელია ამაოდ ელიან „სკუდერას“ თაყვანისმცემლები.

ალეკო ბაგუკიანი

მარათონი და პოლიტიკა

კვირას ნიუ იორკში გამართულ მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ მარათონს პოლიტიკური შეფერილობა ჰქონდა.

პლანეტის დედაქალაქად წოდებულ მეგაპოლისში ტრადიციულ რბოლაში ათიათასობით ადამიანმა მიიღო მონაწილეობა და ამჯერად ერთი რეკორდიც დამყარდა: ფინიშის ხაზი 31807-მა კაცმა გადაკვეთა, რაც ძველ საუკეთესო შედეგს 268-ით სჯობს.

კაცებს შორის გამარჯვება კენიელ ჯოზეფ ჩებეტს ხვდა წილად, რომელმაც 42 კილომეტრი ორ საათს, 9 წუთსა და 14 წამში გაირბინა. ჩებეტმა დისტანციის ბოლოს მცირე სპურტით ჩამოიტოვა რევოლუციური გვარის პატრონი პორტუგალიელი დომინგოშ კასტრო, რომელიც ჩემპიონს 6 წამით ჩამორჩა. სახელოვანი მორბენლებით მდიდარი კენიის კიდევ ერთი წარმომადგენელი — შემ კორარია კი მესამე იყო.

ქალებში ყველას მექსიკელმა ადრიანა ფერნანდესმა გაასწრო არცთუ შთამბეჭდავი შედეგით 2:25,06. კენიის რეპუტაცია მშვენიერი სქესის წარმომადგენლებში არცთუ მშვენიერმა კატრინ ნდერებამ დაიცვა, რომელიც გვარიანი საპრიზოების ეშხით მსოფლიოს ლამის არც ერთ მარათონს არ აცდენს და მეორე ადგილზე გასვლით ახლაც მწვანე ათასებით გაისქელა ჯიბე.

როგორც ზევით უკვე მოგახსენეთ, წლევანდელ ნიუ იორკის მარათონს პოლიტიკური შეფერილობა ჰქონდა და ძირითადად იმიტომ, რომ მასში ამ ერთ-ერთი უძველესი პროფესიის წარმომადგენლებმა გადაწყვიტეს მონაწილეობა.

სტარტი აიღო და სახელგანთქმულ ცენტრალურ პარკში ფინიშამდე მიღწევა მოახერხა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა იოშკა ფიშერმა. ფიშერი უსაფრთხოების ზომების გამო მოგონილი სახელით ასპარეზობდა და დისტანციის დაფარვას 3 საათი, 56 წუთი და 13 წამი მოანდომა.

თუ იოშკას ნიუ იორკში გაშლილი ხელებით დაუხვდნენ, ამას ვერაფრით იტყვი ავსტრიის ულტრამემარჯვენე „თავისუფლების პარტიის“ ლიდერ იორგ ჰაიდერზე, რომლისთვისაც ამასწინანდელმა საპარლამენტო არჩევნებმა, ჩვენი მემარჯვენეებისგან განსხვავებით, ძალიან წარმატებულად ჩაიარა.

ჰაიდერს, რომელსაც წარსულშიაც ურბენია მარათონები, რბოლის ორგანიზატორებმა „ოფიციალური მონაწილის“ სტატუსიც კი დაამადლეს და მოგონილი სახელის მიუხედავად, ნომერი ერთხელაც შეუცვალეს. ბრუკლინის ებრაულ კვარტალ უილიამსბურგში ჰაიდერს მცირე, მაგრამ ხმამაღალი საპროტესტო აქციითაც კი შეხვდნენ. მან დისტანცია ოთხ საათზე ოდნავ ნაკლებში გაირბინა და ბოლოს ჩასაფრებული ჟურნალისტების გარემოცვაში მოხვდა.

მარათონის დირექტორმა ალან სტაინფელდმა, რომელიც თავადაც ებრაული წარმოშობისაა, ჰაიდერს სულაც აფერისტობაში დასდო ბრალი, ფინიშის ხაზთან კი გამოცხადდა, მაგრამ ვფიქრობ, გზა თვითნებურად შეიმოკლაო. თურმე ავსტრიელმა ფეხსაცმლიდან სავალდებულო კომპიუტერული ჩიპი მოირგო რის გამოც შუალედურ ფინიშებზე იგი ვერავინ დააფიქსირა.

მარათონში თავგამოჩენილთა შედეგები კი ასეთია:

კაცები

1. ჯოზეფ ჩებეტი — 2:09,14
2. დომინგოშ კასტრო — 2:09,20
3. შემ კორარია — 2:09,32
4. ჯაკომო ლეონე (იტალია) — 2:09,36
5. ჯონ კაგვე (კენია) — 2:09,39
6. ელია ლაგატი (კენია) — 2:09,59
7. აბდელხადერ ელ მუაზიზი (მაროკო) — 2:10,28

ქალები

1. ადრიანა ფერნანდესი — 2:25,06
2. კატრინ ნდერება — 2:27,34
3. კატრინ დორე-ჰაინიგი (გერმანია) — 2:28,41
4. ფრანკა ფიაკონი (იტალია) — 2:29,49
5. ირინა ტიმოფეევა (რუსეთი) — 2:31,21

კახა არჯევანიძე



AP ნიუ იორკიდან

მორბენალთა ზღვა ნიუ იორკის ქუჩებში

რონ ფრენსისმა (მარცხნივ) მილოცვების მიღებას უწმირა

ფრენსისი მისტერ ჰოკეისთან მივიდა

წლევანდელი სეზონი კაროლინელ ფორვარდ რონ ფრენსისისთვის იღბლიანად დაიწყო. 35 წლის პლეიმეიკერი ჩინებულად ასპარეზობს და ლამის არც ერთ მატჩში არ რჩება უქულოდ. ნჰლ-ს ბომბარდირთა სიაშიც სულ უფრო და უფრო მაღლა მიიწევს. გასულ კვირას გაცნობეთ, რომ ფრენსისმა თავის ყოფილ პარტნიორ, სახელოვან მარიო ლემიეს გაუსწრო, ამ უქმეებზე ჩატარებულ ორივე მატჩში კი პარტნიორები ახალ მიღწევებს ულოცავდნენ. ჯერ ბენ ფალოუ-ვანკუვერ-ოტავა-ფილადელფია-ტორონტო-ბოსტონ-ბუფალო-მონრეალ-ოტავა-ბოსტონ-ტორონტო-ბუფალო-ოტავა-ბოსტონ-ტორონტო-ბუფალო-ოტავა-ბოსტონ-ტორონტო-ბუფალო

ინგლისი

I დივიზიონი

გადადებული მატჩი

ფულემი 1:0 პორტსმუთი

II დივიზიონი

გადადებული მატჩი

ოლდემი 2:1 მილუოლი

თასის I ეტაპი

გადათამაშება

ბორნმუთი 4:2 ნოტსი

ბრაიტონი 3:0 პიტერბრო

კარდიფი 3:1 ლეიტონი

ჯილინგემი 3:2 ჩელტენემი

ჰალი 4:0 მაკლსფილდი

ბლიმუთი 2:1 დ.დ. (1:1) ბრენტფორდი

საფრანგეთი

XV ტური

სედანი 2:1 სტრასბური

II დივიზიონი

XVIII ტური

გენგამი 1:2 სოშო

ლავალი 2:1 გენიონი

ნიმი 1:2 ლორიანი

ნიცა 0:0 ვალანსი

აიაჩო 1:0 კანი

შატორუ 0:0 კაენი

ლუანი 0:1 ლე მანი

ტულუზი 1:1 ნიორი

ვასკეალი 1:0 კრეტეი

ამიენი 0:1 ლილი



REUTERS სიდნეიდან

გვიკვირს!

ალსრულდა! გუშინ ფრანგმა მორბენალმა სერჟ ჟირარმა სიდნეის ოპერის შენობას მიაღწია. ვითომ რაო, არა? რაო და ისაო, რომ ამ კაცმა 47 დღეში 4 ათასი კილომეტრი გაირბინა და მთელი ავსტრალია გადაკვეთა პერტიდან სიდნეიმდე. ამით ჟირარმა ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა, რახან 16 დღით ადრობა წინა გაშრბენს — ამერიკელ ჯეს რაილის. აქვე უნდა ითქვას, რომ ჟირარი დღეში მხოლოდ ორ მარათონს მაინც გაშორბოდა პერტიდან, ხშირად 45-გრადუსიან სიცხეში, რახანლა გზად უდაბნოებიც ხვდებოდა.

ახალი ფაბრიკა

ამ დღეებში დიდი ამბავი იყო სიდნეიში, სადაც მედიამაგნატმა რუპერტ მერდოკმა კინოსტუდია „ფოქსის“ ავსტრალიური ფილიალის პრეზენტაცია მოახდინა. „ფოქსი“ ისედაც მერდოკისაა, მაგრამ მისი ფილიალის გახსნა ახალ მიზნებს ისახავს. საქმეში სამასი მილიონი დოლარია ჩადებული და 25 ჰექტარამდე მინაც მოღობილი ყოფილა, რათა ავსტრალიაში ძალუმად ამუშავდეს ამერიკული ყაიდის კინოფაბრიკა. სპორტთან კავშირი კი (ჯერჯერობით მაინც) იმით ამოიწურება, რომ პრეზენტაციაზე განთქმული ჩოგბურთელი პატრიკ რაფტერი იყო მიწვეული.

შეხვედრა ამანში

REUTERS ამანიდან

აბა, იორდანიის მეფე აბდულას სწვევიან, თუ სწვევიან. ამანის სამეფო სასახლეში მიშელ პლატინი მისულა და ულაპარაკია არაბთა მხარეში ფეხბურთის კიდევ უფრო განვითარების გამო. პლატინი მარტო არ ყოფილა. კიდევ მეტიც, ფრანგი ხლებია ფიფას პრეზიდენტ ზეპ ბლატერს, რომელიც წინამორბედ სეუ ჟოაოს კვალს დადგომია და მსოფლიოში სიარული განუზრახავს, ისევ და ისევ ფეხბურთის პოპულარიზაციისთვის.

ჯილდო ანდრიუშას

ვინ არის ყველაზე ცნობილი უკრაინელი? რა თქმა უნდა, ანდრეი შევჩენკო. ვინ არის . ყველაზე ძვირი უკრაინელი? ისევ და ისევ „მილანელი“ ანდრიუშა. განა გასაკვირია, რომ თავად პრეზიდენტი ლეონიდ კუჩმა ალილდოვებდეს?

REUTERS კიევიდან

სხვა პარკინსონი

REUTERS ჰავაიდან

სერფინგი მამაცთა და ყმაწვილთა სპორტია. მამაც ყმაწვილთათვის კი სერფით განავარდების საუკეთესო ადგილი ჰავაია, ჰონოლულას ყურე. ხარობს 18 წლის ავსტრალიელი ჯოელ პარკინსონი, რომელსაც ბილაბონგის მსოფლიო ჩემპიონატის ყმაწვილთა თასი მოუგია. ისე კი, მაგარი ყოფილა ეს პარკინსონი, წელსვე მოუპოვებია სერფინგის პროფესიონალთა ასოციაციის ტურის ჯილდო სამხრეთ აფრიკაში და ჯამში ექვსასი ათასი დოლარიც მოუგროვებია სერფაობით.

REUTERS სან რემოდან

სან რემო და რალი

სან რემო, სან რემო... განა მხოლოდ სიმღერაო? რალიცო. რალი კი დიდებულია, თავის მუხრუჭთა ღრჭიალით, ცუდ ამინდში ბღუილითა და თავისი ამბით. სან რემოს რალის მომგები ფინელი ტომი მაკინენი კი თავისი წარმატების მიზეზს ირიბულად მიგვანიშნებს — დიადი მანქანის „მიცუბიში ლანსერის“ ხის მოდელს ათვალიერებს.

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიბრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** გიორგი ვაშაკიძე, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. **საფოსტო მისამართი:** თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. **ტელეფონი:** 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli